დამოუკიდებელი და ზეპარტიული
WWW.ASAVALI.COM

# ასავალ დასავალი

2022 წლის 26 სექტემბერი - 2 ოქტომბერი
N 40 1452
ფასი 3 ლარი და 90 თეთრი

# ყველაფერი არის ძლიერ კარგად, ყველაფერი ძლიერ ცუდად არის!

«ქართული ოცნების» 10 კარგი და 10 ცუდი საქმე 10 წელიწადში

# ყველაფერი არის ძლიერ ცუდად, ყველაფერი ძლიერ კარგად არის!

## ჯიმი ჩარკვიანი:




მე, ჯანსუღ ჩარკვიანის ძმა – ჯიმი ჩარკვიანი მადლობელი ვარ ბიძინა ივანიშვილის,




„ჩემი ძმა რომ ცოცხალი ყოფილიყო, ეს არ მოხდებოდა!“

რომ ჩემი ძმა სიცოცხლეშიც და სიკვდილშიც დააფასა და ჩემი ძმისშვილი მამუკა ჩარკვიანი გადამირჩინა!

## საბალალო ამბავი, ანუ

მამუკა ხაზარაძე თავისივე მოედანზე ყაჩაღ-ბანკირად გამოაცხადეს და „საბას“ საბანკო პრემიაში ჩაუქაქეს!




## საავალალოა!




## ინტერვიუ ბერი გაბრიელის დასთან






«სულ ვეკითხებოდი ჩემს ძმას – გაბრიელ, რატომ სტირი, რატომ განიცდი... მაგრამ სიცოცხლეში ვინ გაუგო გაბრიელს?

ვერავინ!»

# იხილეთ და აღელდით!









## კარტისკაცის მამა

რეჟისორ ლევან კოღუაშვილის გენიალური ფილმი „მეოთხე ბრაიტონი“ ყველა ქართველმა უნდა ნახოს!

## «დიდი ამერიკელობა» საქართველოში 19

# ყველაფერი არის ძლიერ კარგად,

***სულ რამდენიმე დღეში, 2022 წლის 1 ოქტომბერს, 10 წელი შესრულდება, რაც საქართველოს ხელისუფლებაში „ქართული ოცნება“ მოვიდა. ეს მრგვალი თარიღი თავისთავად გვიბიძგებს, „ოცნების“ მმართველობის ავი და კარგი პოლიტიკური სასწორის პინაზე მოვათავსოთ და საფუძვლიანად ავწონოთ.***

რაკი 2012 წლის 1 ოქტომბრიდან **10 წელი** გადის, სიმბოლური იქნება, რომ „ქართული ოცნების“ მმართველობიდან **10 წარმატებული და 10 წარუმატებელი ეპიზოდი, 10 კარგი და 10 ცუდი საქმე** გამოვყოთ.

## „ქართული ოცნების“ 10 კარგი და 10 ცუდი საქმე 10 წელიწადში

### მოდით, კარგით დავიწყოთ:

**1. წერტილი დაესვა მასობრივ რეპრესიებსა და სახელმწიფოს მხრიდან მოქალაქეებზე ტოტალურ ძალადობას!**

**2.** ქართული პოლიცია აღარ წარმოადგენს მმართველი პარტიის ზონდერულ ქვედანაყოფს და სადამსჯელო პოლიტიკურ იარაღს ხელისუფლების ხელში!

**3. აღარ ხდება ბიზნესის ტერორი და აღარ არსებობს ე.წ. ღამის ნოტარიუსების კასტა, რომელთა მეშვეობითაც ხდებოდა დატერორებული ბიზნესმენების ქონების გადაფორმება ხელისუფლების მაღალჩინოსნებისათვის!**

**4.** პენიტენციურ სისტემაში აღმოფხვრილია არაადამიანური მოპყრობის, წამებისა და გაუპატიურების პრაქტიკა, რომელიც ნაცრეჟიმს, ფაქტობრივად, სახელმწიფო პოლიტიკის რანგში ჰქონდა აყვანილი!

**5. სახელმწიფო ბიუჯეტის შევსების ერთ-ერთ მთავარ წყაროს აღარ წარმოადგენს პროკურატურის მიერ ბრალდებულებსა და მსჯავრდებულებთან გაფორმებული საპროცესო შეთანხმებებით აკუმულირებული მილიონები, ანუ პატიმრის ოჯახს უკანონო ან უსამართლოდ დიდი სასჯელის თავიდან ასაცილებლად პროცენტიანი ვალის აღება ან ერთადერთი საცხოვრებლის გაყიდვა თუ ბანკში დაგირავება აღარ უწევს!**

**6.** საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის წყალობით საგრძნობლად შემცირდა ისეთი შემთხვევების რაოდენობა, როცა ადამიანები უსახსრობის გამო კვდებოდნენ, რადგან ნორმალურ სამედიცინო სერვისს ვერ იღებდნენ და გადაუდებელ ოპერაციებს ვერ იკეთებდნენ, ბევრს კი ამისათვის კერძო საკუთრების — ბინის, ავტომობილისა თუ სულაც მარჩენალი პირუტყვის გაყიდვა უწევდა!

**7. ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმებამ და ევროპის ქვეყნებში უვიზო მიმოსვლამ საქართველოს მოქალაქეებისათვის სოციალური და ეკონომიკური წინსვლის მეტი პერსპექტივა გააჩინა!**

**8.** ხელისუფლებამ უარი თქვა მილიტარისტულ და საომარ რიტორიკაზე რუსეთის ფედერაციასთან, რამაც უზრუნველყო ყველაზე ხანგრძლივი მშვიდობისა და სტაბილურობის პერიოდი დამოუკიდებელი საქართველოს უახლეს ისტორიაში!

**9. რუსეთ-უკრაინის ომის კვალდაკვალ მთელ მსოფლიოში და განსაკუთრებით ევროპის კონტინენტზე შექმნილი მძიმე კრიზისის მიუხედავად, ხელისუფლება ახერხებს, საქართველოს თავიდან აააცილოს სერიოზული რყევები როგორც პოლიტიკური და ეკონომიკური, ისე სახელმწიფო უსაფრთხოების თვალსაზრისით!**

**10.** უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში პირველად საქართველოს ჰყავს ხელისუფლება, რომელმაც ქართული სახელმწიფოს შინაურ საქმეებში ცხვირის ჩაყოფასა და ხელების ფათურს დაჩვეულ დასავლელ პოლიტიკოსებსა და დიპლომატებს სიტყვის შებრუნება და კრიტიკა გაუბედა და ყველას გასაგონად თქვა — საქართველო სუვერენული სახელმწიფოა, რომელიც საკუთარ ეროვნულ ინტერესებს ყველაფერზე მაღლა აყენებს!




### ახლა 10 ცუდი საქმის შესახებაც ვთქვათ:

**1. არ მოხდა სააკაშვილის დანაშაულებრივი რეჟიმის სისტემური გასამართლება, არ შედგა ქართული „ნიურნბერგის პროცესი“ და პოლიტიკური საქმიანობა არ აეკრძალა მკვლელი, მწამებელი და გამაუპატიურებელი რეჟიმის შემქმნელ ნაციონალურ მოძრაობას, რის გამოც სისხლის სამართლის ბევრ დამნაშავეს**

# ყველაფერი არის ძლიერ ცუდად,

### კვირგვინოსნები

**ირაკლი ღარიბაშვილი**
*საქართველოს პრემიერ-მინისტრი*



**ქართული ოცნებები რეალობად იქცევა!** ბოლო ათწლეულების განმავლობაში **ჩვენი ერი, რომლის ისტორიაც ათასობით წელს ითვლის,** არაორდინარული გამოწვევების ფონზე გახდა **გამძლეობისა და წინსვლის მაგალითი.**

„იმედინიუსი“

**კახა კალაძე**
*თბილისის მერი*



ნაციონალური მოძრაობა არის პოლიტიკური პარტია, რომელსაც **არანაირი კავშირი არა აქვს დემოკრატიულ ღირებულებებთან და ევროპულობასთან.** ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაცია **პირდაპირ ჩართული იყო რევოლუციურ სცენარში.** ეს ადამიანები არიან ჩვეულებრივი პოლიტიკოსები, ოპოზიციური სპექტრის რადიკალური წარმომადგენლები.

„იმედინიუსი“

**ირაკლი ბათიაშვილი**
*პროფესორი, ფილოსოფოსი*



დღევანდელი ხელისუფლების პირობებში **მეორე ფრონტის საშიშროება არ არსებობს.** წინარე ხელისუფლების პირობებში ამის საფრთხე იქნებოდა, რომელიც შეიძლება დამთავრებულიყო ჩვენთვის სავალალო შედეგით.

„TV იმედი“

**თეა წულუკიანი**
*კულტურის მინისტრი*



**ჰკითხეთ** ბახარიას, **რატომ ააშენა სასაფლაოზე ახალი სპორტის სასახლე.** გეთანხმებით, რომ ეს, რბილად რომ ვთქვათ, უხერხულია. როდესაც ერთ-ერთი მატჩის დროს წამოვედი, გამოვიარე სასაფლაო. როგორც წესი, ტელეფონში მაქვს ხოლმე თავი ჩარგული, **ავწიე თავი და ვხედავ, რომ ბაბუაჩემის საფლავთან ვარ.**

„აიპრესი“

# ყველაფერი ძლიერ ცუდად არის!




## „ქართული ოცნების“ 10 ცუდი და 10 კარგი საქმე 10 წელიწადში

**დღეს ოპოზიციონერი პოლიტიკოსისა და კრიტიკული მედიის დამფინანსებლის მანტია აქვს მორგებული. სწორედ ამის გამო ყოველდღიურად ექმნება საფრთხე ქართული სახელმწიფოს უსაფრთხოებას, სამოქალაქო მშვიდობასა და სტაბილურობას!**

**2.** მიუხედავად იმისა, რომ მკვლელი, მწამებელი და გამაუპატიურებელი რეჟიმის მთავარი შემოქმედი **მიხეილ სააკაშვილი** ციხეში ზის, მას ჯერაც არა აქვს ბრალი წარდგენილი იმ ძირითადი დანაშაულებისათვის, რომლებიც ხელისუფლებაში ყოფნის დროს ჩაიდინა. მაგალითად, ჯერაც არ არის გამოძიებული დავითგარეჯის ნაწილის აზერბაიჯანისათვის გადაცემის საქმე, ახალგორის რაიონისა და კოდორის ხეობის რუსეთისათვის ჩაბარების საკითხი და სხვა არაერთი ფაქტი, რომლებშიც სააკაშვილის მხრიდან სახელმწიფო ღალატისა და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის ნიშნები იკვეთება. 6-წლიანი სასჯელი, რომელიც სააკაშვილს შეუფარდეს, მისნაირი მძიმე დამნაშავისათვის, უბრალოდ, თავზე ხელის გადასმაა!

**3. „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ 10 წლის განმავლობაში ვერ შეძლო, საქართველოში ეტაპით ჩამოეყვანა და ქართული მართლმსაჯულების წინაშე წარედგინა ისეთი მძიმე სისხლის სამართლის დამნაშავეები, როგორებიც ზურაბ ადეიშვილი და დავით კეზერაშვილი არიან. აღარაფერს ვამბობთ არანაკლებ მსხვილფეხა კრიმინალებზე — ერეკლე კოდუაზე, დათა ახალაიაზე, სოსო თოფურიძესა და სხვებზე, რომლებიც ევროპაში თავისუფლად დასეირნობენ!**

**4.** არ მოხდა ძალოვან და მართლმსაჯულების ორგანოთა წმენდა ნაცრეჟიმის დროს რეპრესიებში მონაწილე და დანაშაულებრივი ბრძანებების შემსრულებელი პოლიციელების, პროკურორებისა და მოსამართლეებისაგან. ის კი არა, ბევრი მათგანი დღევანდელი ხელისუფლების პირობებში დაწინაურდა კიდეც!

**5. საქართველოს უამრავი მოქალაქე, რომელიც იმედოვნებდა, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლება სააკაშვილის რეჟიმის მიერ დარღვეულ უფლებებს აღუდგენდა და უკანონოდ ჩამორთმეულ ქონებას დაუბრუნებდა, დღემდე უშედეგოდ ელოდება სამართლის აღსრულებას!**

**6.** „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ არ თუ ვერ გადადგა საკმარისი ნაბიჯები ქვეყანაში ღრმად ფესვგადგმული საბანკო და ფარმაცევტული მაფიისათვის საკანონმდებლო ლაგამის ამოსადებად, რაც არაადეკვატურად მაღალი საბანკო პროცენტებითა და მედიკამენტების უსაშველო სიძვირით წელში გაწყვეტილ მოსახლეობას ამოსუნთქვისა და თვალებში გამოხედვის საშუალებას მისცემდა!

**7. მთავრობის მიერ ამოქმედებული ცალკეული პროექტები არ აღმოჩნდა საკმარისი იმისათვის, რომ საქართველოში ადგილობრივი წარმოება აღორძინებულიყო და ქართველი გლეხებისა თუ მცირე მეწარმეებისათვის შექმნილიყო კონკურენტუნარიანი გარემო, რომელშიც ეროვნული სოფლის მეურნეობის პროდუქცია თურქეთიდან, ირანიდან, რუსეთიდან თუ სხვა ქვეყნებიდან იმპორტირებულ ანალოგიურ საქონელთან, როგორც მინიმუმ, არ დაიჩაგრებოდა!**

**8.** ხელისუფლებამ არ თუ ვერ გადადგა ქმედითი და ეფექტიანი ნაბიჯები, რომლებიც საგრძნობლად შეამცირებდა ქვეყანაში უმუშევრობისა და სიღარიბის დონეს. „ქართული ოცნების“ მმართველობის 10 წელიწადში თუ არ გაზრდილა, არც შემცირებულა საარსებო წყაროს საძებრად უცხოეთში გადახვეწილი ემიგრანტების რიცხვი!

**9. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლებამ რუსეთთან მიმართებაში მილიტარისტული და საომარი რიტორიკა უკუაგდო, ეს მაინც არ აღმოჩნდა საკმარისი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის კუთხით პროგრესის მისაღწევად. „ქართული ოცნების“ მხრიდან დღემდე ვერ ვხედავთ ეფექტიან პოლიტიკას, რომელიც ოკუპირებული რეგიონებისა და იქ მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების ქართულ სახელმწიფოში რეინტეგრაციის მიმართულებით თუნდაც რამდენიმე ნაბიჯით წაგვწევდა წინ!**

**10.** მწვავე კრიტიკას იმსახურებს „ქართული ოცნების“ საკადრო პოლიტიკა მაღალ სახელმწიფო თანამდებობებზე დასანიშნი თუ ასარჩევი პერსონების ხელდასხმისას. უპირველეს ყოვლისა, ქვეყანა და ხალხი ზარალდება, როცა მმართველი ძალის მიერ შერჩეული პრეზიდენტები, პრემიერ-მინისტრები თუ სხვა მაღალი თანამდებობის პირები არათუ უბრალოდ ოპოზიციაში მიდიან, არამედ ყველაზე დესტრუქციული, რევანშისტული და ანტისახელმწიფოებრივი ბანდის — ნაციონალური მოძრაობის მოკავშირეები ხდებიან. საკმარისია, თუნდაც ყოფილი პრეზიდენტი **მარგველაშვილის,** მოქმედი პრეზიდენტი **ზურაბიშვილის,** ყოფილი პრემიერი **ბახტარიასა** და სუსის უფროსის ყოფილი პირველი მოადგილის **ბოგაშვილის** მაგალითები დავასახელოთ. აღარაფერს ვამბობთ **ბუბაზ სანიკიძეზე, მურმან დუმბაძესა** და მსგავსი პოლიტიკური კალიბრის სხვა ყოფილ ქოცებზე, რომლებიც დღეს ნაცებზე უფრო დიდ ნაცებად გვევლინებიან!

**აი, ასე შეიძლება, შეფასდეს მოკლედ და კონკრეტულად „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში ყოფნის ათწლედი თავისი კარგითა და ცუდით, წარმატებებითა და წარუმატებლობებით, გამოყენებული და გამოუყენებელი შანსებით, გამართლებული და გაცრუებული იმედებით!**

ამათგან რომელი რომელს წონის და რომელი რომელს აბათილებს, ეს ქართველმა ხალხმა უნდა განსაჯოს და საკუთარი ვერდიქტი მომავალ არჩევნებში გამოიტანოს!

ისე კი, „ქართული ოცნების“ ათწლედის შეფასებისას, შესაძლოა, ბევრს **დიდი გალაკტიონის** ცნობილი ტაეპიც წამოაგონდეს — **„ყველაფერი არის ძლიერ კარგად, ყველაფერი ძლიერ ცუდად არის!“**

შეგვიძლია, გალაკტიონს შევბედოთ და მისი ტაეპი ასე შევატრიალოთ — **ყველაფერი არის ძლიერ ცუდად, ყველაფერი ძლიერ კარგად არის!**

შედარებით **ოპტიმისტური ფინალის ხათრით,** გალაკტიონი ამ თავხედობას გვაპატიებს!

**ჯაბა ხუბუა**

# ყველაფერი ძლიერ კარგად არის!

## კვირგვინოსნები

**სანდრო ბრეგაძე**
„ქართული მარშის“ ლიდერი



**ელენე ხოშტარიამ** აღიარა, რომ ფულს იღებს პატიმრების გამაუპატიურებელი **კეზერაშვილისაგან,** ხოლო მანამდე აღიარა, რომ მისი ოჯახი ყოველთვიურად **რუსეთისგანაც იღებს დაფინანსებას!** ამ ბინძურ დედაკაცს 2 დაფინანსების წყარო აქვს — **კეზერა და კრემლი!** თან ყოფნის თავხედობა და სხვებისთვის ითხოვს სანქციების დაწესებას! წესით და რიგით, **კრემლთან თანამშრომლობის და საერთაშორისო დამნაშავე კეზერაშვილთან კავშირების გამო** თავად **ლაშა ხოშტერიას** უნდა დაუწესდეს სანქციები!

„ფეისბუქი“

**ლელა მოროშკინა**
ჟურნალისტი



**პირველად მსოფლიო და საქართველოს ისტორიაში:** 1. **ყველგან** ომებია — **ჩვენთან** მშვიდობა; 2. **ყველგან** ეკონომიკური ვარდნაა — **ჩვენთან** აღმავლობა; 3. **პროცენტულად ყველაზე მეტი** ქართველი სპორტსმენი დაწინაურდა გუნდურ და ინდივიდუალურ სპორტულ სახეობაში; 4. **პროცენტულად ყველაზე დიდი** ყურძნის მოსავალი მივიღეთ; 5. **პროცენტულად ყველაზე ბევრ** ტურისტს ვმასპინძლობთ; 6. **ყველაზე მაღალი დონის** მუსიკალურ ფესტივალებს ვმასპინძლობთ; 7. **9 ოქტომბერს სტარტს იღებს** საერთაშორისო ავტორალი; 8. **გრანდიოზული მშენებლობები** მიდის მთელი ქვეყნის მასშტაბით; 9. **ყველა სასტუმრო და რესტორანი** 100-პროცენტიანი დატვირთვით მუშაობს; 10. **ევროკავშირის ქვეყნების ლიდერები** უშუალოდ მასპინძლობენ საქართველოს პრემიერს; 11. **როდშილდებმა** საქართველო ეკონომიკურ ჰაბად მონათლეს; 12. **მრავალ უცხოურ კომპანიას** სათავო ოფისები საქართველოში გადმოაქვს. **ესეც თქვენი 12 პუნქტი!** მადლობა პირადად **ირაკლი ღარიბაშვილს!**

„ალია“

**ირაკლი კაკაბაძე**
მწერალი



მწერალთა გილდია არ არსებობს — **მწერლები შიმშილით სულს ლაფავენ და მწერალთა კავშირის შენობაში არის მდიდრების დუქანი,** სადაც ერთი კურკლი 100 ლარი ღირს და იქ მწერალი ვერც შეჭამს და ვერც დალევს ვერაფერს.

„ალია“

***30 სექტემბერს ცნობილ ქართველ პოეტს ჯანსუღ ჩარკვიანს დაბადებიდან 91 წელი შეუსრულდებოდა. ჯიმი ჩარკვიანი, რომელიც ასევე 30 სექტემბერს გახლავთ დაბადებული, უფროს ძმას იხსენებს, საქართველოში არსებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებას ეხმიანება და აცხადებს, ჯანსუღი რომ ცოცხალი ყოფილიყო, უსათუოდ ბიძინა ივანიშვილისა და დღევანდელი ხელისუფლების გვერდით დადგებოდა!***







## ჯიმი ჩარკვიანი:

## მე, ჯანსუღ ჩარკვიანის ძმა – ჯიმი ჩარკვიანი მადლობელი ვარ ბიძინა ივანიშვილის, რომ ჩემი ძმა სიცოცხლეშიც და სიკვდილშიც დააფასა და ჩემი ძმისშვილი მამუკა ჩარკვიანი გადამირჩინა!

— სამივე დედმამიშვილი ერთ დღეს ვიყავით დაბადებული... **30 სექტემბერს** ჯანსუღი 91 წლის გახდებოდა, ჩვენი და — **ლუიზა** — 89 წლის, ხოლო **მე** — 86 წელი შემისრულდება. სამწუხაროდ, მხოლოდ მე დავრჩი, ჯანსუღმაც და ლუიზამაც დამტოვეს... ჯანსუღისგან ვიცი, პატრიარქმა ამის შესახებ რომ შეიტყო, ხელები აღაპყრო და თქვა — **თქვენს დაბადებაში ნამდვილად ღმერთის ხელი ურევია, რადგან ძალზე იშვიათად ხდება, როცა სამივე დედმამიშვილი სხვადასხვა წელს, მაგრამ ერთსა და იმავე დღეს არის დაბადებული!**

ჯანსუღზე ორ ისეთ რამეს გეტყვით, რაც არავინ იცის... სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს, პიონერთა სასახლის დირექტორმა, რომელიც ქალბატონი იყო, ჯანსუღს ორშაბათ დღეს დაურეკა და სთხოვა — ბატონო ჯანსუღ, პირადად არ ვიცნობ, მაგრამ სააკაშვილი ვინმე ვაშაძეს 1 ლარად ჩუქნის პიონერთა სასახლეს და, თუ სასწრაფოდ არ ვიმოქმედეთ, შაბათს, ორ საათზე, სასახლეს წაიღებენ, გვიშველეთო! თურმე, საუბარია ნინო ანანიაშვილის ქმარზე, — **გრიგოლ ვაშაძეზე...** ჯანსუღმა სასწრაფოდ ჩართო საქმეში მწერალთა კავშირი, მხატვართა კავშირი, კომპოზიტორთა კავშირი, ძველი სპორტსმენები, მთელი მაშინდელი ოპოზიცია და შაბათს, 12 საათზე, პიონერთა სასახლესთან დანიშნა საპროტესტო მიტინგი. ოთხშაბათს დამირეკა სააკაშვილის ბაბუამ **გივი ალასანიამ,** რომელსაც დიდი ხანია, ვიცნობდი. გივი მეკითხება — **ჯიმი, შენი ჭირიმე, ახლა დამირეკეს, რომ ჯანსუღი პიონერთა სასახლის გადასარჩენად, თურმე, მიტინგს გეგმავს და მითხარი სიმართლე, სასახლეს ჩემი შვილიშვილი მართლა ყიდის?** ცხადია, ვუთხარი, რაშიც იყო საქმე... **გივი ალასანია,** რომელსაც დიდი ხნის წინათ ძალიან დიდი საქმე გავუკეთე და დავეხმარე, არც კი დაფიქრებულა, ისე მითხრა — **დავუშვათ მე ვაშაძე ვარ, ვერ ვარ მთლად კარგად და ვერ ვაცნობიერებ, რომ პიონერთა სასახლე არ უნდა ვიყიდო, მაგრამ ჩემს შვილიშვილს — სააკაშვილსა და ბიჭი უგულავას რამ გამოულიათ ტვინი და აზროვნების უნარი, რომ ამ სამარცხვინო საქმეზე ხელს აწერენ?** მეც მოვდივარ საპროტესტო აქციაზე და ჯანსუღს გადაეცი, რომ შაბათს თქვენს გვერდით დავდგებიო!

**— ბატონო ჯიმი, გივი ალასანია იმ საპროტესტო მიტინგზე მართლა მოვიდა?**

— დიახ, მოვიდა!

**— რა ვალი ჰქონდა ასეთი თქვენ წინაშე გივი ალასანიას, რომ იმ მიტინგზე მისვლით, ფაქტობრივად, თავის შვილიშვილს დაუპირისპირდა?**

— სხვათაშორის, ეს შეკითხვა თავის დროზე, როგორც მითხრეს, ბიძინა ივანიშვილსაც დაუსვამს... (იცინის) შეკვეთილში სახლი მაქვს, სადაც ადრე ბიძინა ივანიშვილი ჩემი მეზობელი იყო. ჰოდა, ვიდრე ხელისუფლებაში მოვიდოდა, ბიძინას თავის სახლში გამართულ ერთ-ერთ მცირე წვეულებაზე უკითხავს — **მაინც რა გაუკეთა ჯიმი ჩარკვიანმა სააკაშვილის ბაბუას ისეთი, რომ კაცი შვილიშვილს დაუპირისპირდაო?** ეს ძალიან დელიკატური თემაა...

### თავის დროზე სააკაშვილის ბაბუამ გივი ალასანიამ მთხოვა – სანამ ცოცხალი ვარ, ამის შესახებ ნურავის ეტყვი, მაგრამ ჩემი სიკვდილის შემდეგ, თუ საჭიროდ ჩათვლი, სიმართლე თქვი!

**საქმე ეხებოდა ზოოვეტერინარულ ინსტიტუტში ერთი ბიჭის მოწყობას...** მაშინ ცეკაში **ჯუმბერ პატიაშვილის** თანაშემწედ ვმუშაობდი და ცეკადან ზოოვეტში მისაღები გამოცდების კომისიის თავმჯდომარედ გახლდით მივლინებული. **გივი ალასანიამ** მთხოვა, მისაღებ გამოცდებში დავხმარებოდი აბიტურიენტს, რომლის დედაც გახლდათ ყრუმუნჯი... ალასანიას ეს თხოვნა შევუსრულე და ის ბავშვი სტუდენტი გავხადე... თუ ვინ არის ის ბიჭი და რა აკავშირებდა მას გივი ალასანიასთან, დაე, საიდუმლოდ დარჩეს... **მიუხედავად იმისა, რომ გივიმ ნება დამრთო, მისი სიკვდილის შემდეგ სიმართლე მეთქვა, მაინც ვფიქრობ, რომ არ ღირს!**

**— საინტერესოა, ჯანსუღ ჩარკვიანის მთაწმინდაზე დასაფლავება ვინ გადაწყვიტა?**

— ჯანსუღს ბიძინა დიდ პატივს სცემდა და მისი მთაწმინდაზე დასაფლავება სწორედ ივანიშვილმა, მწერალთა კავშირმა, პატრიარქმა და ხელისუფლებამ გადაწყვიტეს! **სიმართლე უნდა ითქვას — მთავარი მაინც ბიძინას პოზიცია იყო...** ჯანსუღის დასაფლავების დღეს მთაწმინდაზე რომ ავედით, ბიძინა ცოლთან ერთად იქ დაგვხვდა... ბიძინა და ჯანსუღი ძალიან მეგობრობდნენ. ბიძინა ჯანსუღს სულ ეხმარებოდა...

**— მაინც როგორ ეხმარებოდა?**

— **ჯერ 2 ათას ლარს უგზავნიდა ყოველთვიურად, შემდეგ — 3 ათას ლარამდე გაუზარდა სტიპენდია!** ჩემი ძმისშვილი მამუკა ხომ საერთოდ ბიძინას გადარჩენილია. პირადად ჯანსუღმა სთხოვა დახ-

## კვირგვინოსნები

**დავით კახალაშვილი**
*ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში*



**გოგაშვილის** საქციელი შეიცავს **უცხოეთის დაზვერვის მიერ გადაბირებული** პირის ქმედებების ნიშნებს. **გოგაშვილმა** დამიბარა და მითხრა, ჩემი ფუნქცია-მოვალეობის შესრულებისთვის თავი დამენებებინა, ანუ არ მიმეწოდებინა ის ინფორმაციები სახელმწიფოსთვის, რისი მოპოვებაც ჩემს კომპეტენციაში შედიოდა... მე არ შემისრულებია მისი განკარგულება. დღეს, როგორც მამხილებელს, **შემიძლია იმაზე მეტი ინფორმაცია მივაწოდო გამოძიებას,** რაზეც ის, სავარაუდოდ, მუშაობს.

„კვირის პალიტრა“

**ლევან მურუსიძე**
*საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი*



დაკავების შემდეგ **სოსო გოგაშვილმა** წერილი მომწერა და დამემუქრა, რომ თუ არ გათავისუფლდებოდა, მტრისას!

„საქართველოს რესპუბლიკა“

**გიორგი ლილუაშვილი**
*თავდაცვის სამინისტროს მე-11 ბრიგადის საარტილერიო დივიზიონის სამედიცინო სამსახურის ყოფილი უფროსი*



როგორ ბედავენ **მოღალატე ნაცები** ან მათი ტელევიზიები და ხმას როგორ იღებენ, როცა **ვანო მერაბიშვილის** ნაჩუქარი თურქული ჯავშანტრანსპორტიორი „კობრა“ რუსეთის სამხედრო მუზეუმშია გამოყენებული ექსპონატად, როგორც საქართველოზე გამარჯვების სიმბოლო.

„ალია“

**რამაზ საყვარელიძე**
*პოლიტოლოგი*



უნდა დაიწყოს გამოძიება და თუ არ დადასტურდება ბრალდება, ასეთ შემთხვევაში, **ცრუ ბრალდებისთვის აღიძრას სისხლის სამართლის საქმე გოგაშვილის წინააღმდეგ** და თუ დადასტურდა, ასეთ შემთხვევაში — პირიქით, **თავად გოგაშვილმა უჩივლოს გომელაურს,** რა უშლის ხელს?

„საქართველოს რესპუბლიკა“

მარება ბიძინას და იმავე დღესვე „ქართუ ფონდმა“ **120 ათასი ევროთი დააფინანსა მამუკას მკურნალობა.** რომ არა ბიძინა ივანიშვილი, მამუკა კარგა ხნის გარდაცვლილი იქნებოდა... აი, ეს რომ ვიცი და კიდევ ბევრი რამ რომ ვიცი, იმიტომ ვარ გაგიჟებული და აღარ ვიცი, რა გავაკეთო!

პირადად მე, ჯანსუღ ჩარკვიანის ძმა — ჯიმი ჩარკვიანი მადლობელი ვარ ბიძინა ივანიშვილის, რომ ჩემი ძმა სიცოცხლეშიც და სიკვდილშიც დააფასა და ჩემი ძმისშვილი — **მამუკა ჩარკვიანი გადამირჩინა! მე უმადური კაცი არ ვარ და სანამ ცოცხალი ვიქნები, ბიძინა ივანიშვილს ამ სიკეთეს არ დავუვიწყებ!** ბიძინას ერთხელ ვარ მხოლოდ შენახვედრი, მერე ჯანსუღის ქელეხის სუფრაზეც იყო მოსული ცოტა ხნით... ერთი რამ ვიცი, — **უბედურება დაიწყო ჯანსუღის გარდაცვალების შემდეგ, ჩემი ძმა რომ ცოცხალი ყოფილიყო, ეს არ მოხდებოდა!**

**— ბატონო ჯიმი, ჯანსუღის მიერ სააკაშვილისადმი „მიძღვნილი“ფუნაგორიებისა და ნაკვესების შესახებ საქვეყნოდ ცნობილია! როგორ ფიქრობთ, დღეს რომ ჯანსუღ ჩარკვიანი ცოცხალი ყოფილიყო, სააკაშვილის მიმართ ისევ ისეთი პოზიცია ექნებოდა?**

— ამაში დარწმუნებული ვარ! ჯანსუღი ამ ე.წ. ოპოზიციის გვერდით არავითარ შემთხვევაში არ დადგებოდა და უფრო უარესად დაუპირისპირდებოდა და უფრო საშინელ ფუნაგორიებს დაუწერდა ნაცებსა და მათ ფიურერს, რადგან სააკაშვილსა და მის ხროვას საქართველოს განადგურება და ომში ჩათრევა უნდათ... **სწორედ ამ მიზნით ჩამოგვითრიეს საქართველოში... არავითარი ავად სააკაშვილი არ არის, ეგ აფერისტობს ახლა...**

**— ისტორია ვის გაამართლებს — სააკაშვილს თუ ივანიშვილს?**

## – არა მგონია, ისტორია ისე დამახინჯდეს, ბიძინა ამ აფერისტთან და ქვეყნის დამაქცევარ სააკაშვილთან გამტყუნდეს!

**— ბატონო ჯიმი, ზვიად გამსახურდია და ჯანსუღ ჩარკვიანი თავიდან ძმაკაცობდნენ, თუმცა, მერე ისინი ერთმანეთის მტრები გახდნენ... მაინც რა იყო ამ მტრობის მიზეზი?**

— ეჰ, საწყალ ზვიადზე იმდენი რამე შემიძლია გავიხსენო! **ზვიადი** და ჩვენ ჯაფარიძის ქუჩაზე კარის მეზობლები ვიყავით...**მერაბ კოსტავამ** ასეთი რამ მიამბო: მე და ზვიადი პატარები ვიყავით, როცა სკოლიდან გამოსულებს გზაში ორი ძველი ბიჭი დაგვხვდა და გვითხრა — ორ დღეში ზუსტად ამ ადგილზე ფულს მოიტანთ, თუ არადა, საქმე ცუდად გექნებათო! საგონებელში ჩავვარდით და აღარ ვიცოდით, ვისთვის გვეთხოვა დახმარება... ბოლოს ზვიადს მოაგონდა ჯანსუღი და მითხრა — მე ჯანსუღის გარდა სხვას არავის ვიცნობ, რომელსაც რუსთაველზე ავტორიტეტი აქვსო! ცნობისათვის, ჯანსუღი ზვიადსა და მერაბზე ათი წლით უფროსი იყო. მოკლედ, ბავშვები მოვიდნენ ჯანსუღთან და თავიანთი გასაჭირი უთხრეს. ჯანსუღმა ის ე.წ. ძველი ბიჭები დაიფრინა და ზვიადსა და მერაბს ჩამოაშორა. უთხრა კიდეც ორივეს — **ნუ გეშინიათ, ის ბიჭები აწი თქვენ ველარ შეგეხებიანო!** ამის შემდეგ ზვიადი და მერაბი ჯანსუღს „მფარველ ანგელოზს“ ეძახდნენ... რაც შეეხება ზვიადისა და ჯანსუღის მტრობას, მაინც მგონია, რომ ამ დაპირისპირების გამოწვევით და გაღრმავებით ძალიან იყო დაინტერესებული მესამე ძალა.

## სიცოცხლეში თუ მეზობლები ვიყავით, ახლა მთაწმინდაზე ზვიადისა და ჯანსუღის საფლავებს სულ რაღაც ორი მეტრი აშორებთ და, ალბათ, იმქვეყნად მაინც შეურიგდებიან ერთმანეთს... ძალიან

## განვიცდიდი, როცა ჯანსუღი და ზვიადი ერთმანეთის მტრები გახდნენ. არადა, საქვეყნოდ ცნობილი ფაქტია, რომ ჯანსუღს ზვიადის მწერალთა

## კავშირიდან გარიცხვისთვის ხმა არ მიუცია...

**— ბატონო ჯიმი, სააკაშვილს ჯანსუღ ჩარკვიანი რატომ ვერ იტანდა, პიროვნული წყენა ხომ არ ჰქონდა მის მიმართ?**

— არა, პიროვნული არაფერი ყოფილა... **ვერ იტანდა სააკაშვილს ჯანსუღი, რადგან მიაჩნდა, რომ ნაცები ქვეყანას აქცევდნენ!**

**— ჯანსუღი უფრო ენაკვიმატი იყო თუ ნოდარ დუმბაძე?**

— ვერ გეტყვით, მაგრამ ის კი დანამდვილებით ვიცი, რომ ლიკანში, სადაც შევარდნაძე ისვენებდა, ერთხელ ჯანსუღმა და ნოდარმა ედუარდს ჩააკითხეს და იმდენი იმაიმუნეს, რომ შევარდნაძე სიცილისგან ცუდად გახდა... მახსოვს, დიეტაზე ვიყავი, როცა ერთხელ ნოდარი და ჯანსუღი რესტორანში ქეიფობდნენ. ნოდარმა რომელიღაც კერძი მომაწოდა, რაზეც უარი ვუთხარი — დიეტაზე ვარ-მეთქი! ნოდარი არც დაფიქრებულა, მაშინვე ღიმილით მითხრა — დიეტაზე თუ ხარ ძამა, რესტორნებში კი არ უნდა იარო, სახლში უნდა დიეტიეო!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***




## „პირადად ჯანსუღმა სთხოვა დახმარება ბიძინას და იმავე დღესვე „ქართუ ფონდმა“ 120 ათასი ევროთი დააფინანსა მამუკას მკურნალობა. რომ არა ბიძინა ივანიშვილი, მამუკა კარგა ხნის გარდაცვლილი იქნებოდა!“



## „არავითარი ავად სააკაშვილი არ არის, ეგ აფერისტობს ახლა!“




**ჯანსუღ ჩარკვიანის ხელნაწერი – მან ეს ფუნაგორია სააკაშვილს ჯერ კიდევ გაპრეზიდენტებამდე, 2002 წელს მიუძღვნა**



## „ჯანსუღი ამ ე.წ. ოპოზიციის გვერდით არავითარ შემთხვევაში არ დადგებოდა და უფრო უარესად დაუპირისპირდებოდა და უფრო საშინელ ფუნაგორიებს დაუწერდა ნაცებსა და მათ ფიურერს!“

### კვირგვინოსნები

**თაკო ჩარკვიანი**
*„კანონი და სამართლის“ ლიდერი*



**ივანიშვილმა** ოპოზიციაში განხეთქილებაა**ნიკა მელიასა** და **გიგა ბოკერიას** ხელით შემოიტანა — მე მათ ცოლ-ქმრად მოვიაზრებ, რადგან თვითონაც არ მალავენ, რომ **პოლიტიკური ტანდემი** აქვთ. „პალიტრანიუსი“

**ირაკლი ჩიქოვანი**
*პარლამენტარი*



ყველამ კარგად უნდა დავინახოთ, რომ **ბოლო 10 წელიწადი არის ერთადერთი 10 წელიწადი** საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ, როცა ქვეყანაში მშვიდობა იყო. „TV იმედი“

# საბაღალო ამბავი

## მამუკა ხაზარაძე თავისივე მოედანზე ყაჩაღ-ბანკირად გამოაცხადეს და „საბას“ საბანკო პრემიაში ჩაუქაქეს!



2022 წლის პრემია „საბას“ ლაურეატი თემო რეხვიაშვილი და დაჯილდოების ცერემონიალის უცვლელი წამყვანი რატი ამაღლობელი



**რატი ამაღლობელი, პრემია „საბას“ ლაურეატი:**

**ყველა ლექსი,** ალბათ, დაწყებული მაქვს **სველ წერტილში, ტუალეტში. ყველა ლექსი,** იმიტომ რომ, მე იქ შევდივარ წიგნებით, ფურცლებით და ა.შ. **ყველაზე დიდი ხელოვნება იქმნება, დიახაც, იკითხება და იქმნება სწორედ ამ ადგილზე...** ეს ის სივრცეა, სადაც, დიახ, იქმნება დიდი პოეზია.

*2022 წლის 21 სექტემბერს თბილისში, მთაწმინდის პარკში, „თიბისი ბანკის“ მიერ დაარსებული ლიტერატურული პრემიის — „საბას“ გადაცემის მორიგი ცერემონიალი გაიმართა, რომელსაც ტრადიციულად უძღვებოდა მამუკა ხაზარაძის „უბორნიის პოეტთა“ ამქრის ერთ-ერთი მოწინავე წარმომადგენელი რატი ამაღლობელი, ავტორი საქვეყნო განაცხადისა: ყველა ლექსის წერა დაწყებული მაქვს სველ წერტილში და, საერთოდაც, მიმაჩნია, რომ ჭეშმარიტი პოეზია სწორედ ტუალეტში იქმნებაო!*



## ახალგაზრდა კაცმა, რომელსაც „თიბისი ბანკის“ მიერ დაარსებული პრემია გადასცეს, განაცხადა, რომ იძულებულია, საქართველოდან წავიდეს, რადგან ბანკების არანორმალური პროცენტების გამო ცხოვრება გაუსაძლისი გახდა!

ბარემ აქვე შეგახსენებთ, რომ **რატი ამაღლობელის** აღიარებას — **ლექსებს ტუალეტში ვწერო,** თავის დროზევე გამოეხმაურა დიდი ქართველი პოეტი **ტარიელ ჭანტურია,** რომელმაც „უბორნიის პოეტებს“ უკვდავი სტროფი მიუძღვნა:

**„მე სულ სხვაგვარად ვფიქრობ,**
**ლექსი — ეს არის ტანჯვა!**
**ეგრე სადაა, ძმაო,**
**თან ლექსი წერო, თან ჯვა!“**

მოკლედ, მამუკა ხაზარაძის „საბარასტთა“ ატამანი **რატი ამაღლობელი,** რომელიც თან ლექსებს წერს და თან **ჯ...ავს,** ომახიანად უძღვებოდა „საბას“ პრემიის მინიჭების ცერემონიალს, რომელსაც არც წლეულს ჩაუვლია ტრადიციულ ნომინანტთა გარეშე. **საერთოდ, „თიბისი ბანკის“ მიერ დაარსებული პრემია კარგა ხანია, ერთგვარ სექტანტურ ორდენად გადაიქცა, რომელიც ერთსა და იმავე წრეზე ტრიალებს და ერთსა და იმავე ადამიანებს ენიჭება.** ალბათ, მსოფლიოში არ მოიძებნება პრეცედენტი, რომ ერთი და იგივე ლიტერატურული პრემია ერთსა და იმავე ავტორს მრავალგზის გადასცემოდეს, ხაზარაძის ბანკის მიერ დაარსებულ ჯილდოს კი ასეთი მარადმწვანე ლაურეატები, მოგეცათ ლხენა, არაერთი ჰყავს. მაგალითისთვის ავიღოთ თუნდაც ცნობილი უნიტაზიდან მოქადაგე **ლაშა ბუღაძე,** რომელსაც პრემია „საბა“ **ოთხჯერ** აქვს მიღებული, თუმცა, წლევანდელ დაჯილდოებაზე ნომინირებული არ იყო და სწორედ ეს გახლდათ **ერთადერთი სიახლე,** რომელიც „საბას“ გადაცემის ბოლო ცერემონიალს წინანდელებისაგან განასხვავებდა.

სხვა მხრივ, **ხაზარაძის ბანკის მიერ დაარსებული ლიტერატურული პრემიის მინიჭების საღამო ახლაც ისევე რუტინულად და შაბლონურად ჩაივლიდა, როგორც აქამომდე ჩაუვლია, რომ არა ერთი ფრიად უცნაური და, შეიძლება ითქვას, სკანდალური ფაქტი, რომელიც დაჯილდოების ცერემონიალზე მოხდა.** კერძოდ, ერთმა ახალგაზრდა კაცმა მთაწმინდის პარკში მიმდინარე ღონისძიების სცენიდან და **ქეზერაშვილის ტელეკანალიზაცია „ფორმულას“ ეთერიდან,** რომელშიც ეს ღონისძიება გადაიცემოდა, ენის ერთი მოქნევით გააცამტვერა **მამუკა ხაზარაძის მრავალწლიანი მცდელობა, როგორმე მოიშოროს ხალხის გამტყავებელი ყაჩაღ-ბანკირის რენომე და ქველმოქმედისა და ქართულ ლიტერატურაზე მზრუნველის იმიჯი მოირგოს.**

დიახ, ახალგაზრდა ავტორმა **თემო რეხვიაშვილმა,** რომელსაც პრემია „საბა“ **წლის ლიტერატურული დებიუტის ნომინაციაში** გადასცეს წიგნისათვის **„კურიერის ამბები“,**

**პრემია „საბას“ ოთხგზის ლაურეატი ლაშა ბუღაძე:**

**განათლების მიღება საპირფარეშოშიც შესაძლებელია და არათუ შესაძლებელი, ზოგჯერ ძალიან სასიამოვნოც კი. ისეთი ავტორებიც კი ვიცი, ვინც საპირფარეშოში არათუ კითხულობს, არამედ წერს კიდეც.**

## კვირგვინოსნები



**მურმან დუმბაძე**
*„ნაციონალური მოძრაობა — გაერთიანებული ოპოზიციის“ წევრი*

**„ლელო“ და „სტრატეგია აღმაშენებელი“** ერთმანეთისგან არ განსხვავდება. **პარტია, რომელიც ორ პროცენტს ვერ აღწევს,** რა საჭიროა, უნდა გაქრეს პოლიტიკური ველიდან.

„ახალი თაობა“



**დავით ქიქინაძე**
*პოლიტიკური მოძრაობა „ტრიბუნას“ ლიდერი*

„ლელოს“ ყველა ინიციატივა **რეალობას აცდენილია.** ხალხზე მზრუნველი ბანკირებისა არ მჯერა და ერთ ასეთს თუ იპოვით და გამაცნობთ, დიდად დამავალებთ.

„ალია“



**გიორგი გობრონიძე**
*საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი*

ჩვენს ქვეყანაში გვაქვს **სრული პოლიტიკური აპათია.** პოლიტიკური ძალების მიმართ **უდიდესი უნდობლობა** ჩამოყალიბდა. კარგი ოპოზიციის პირობებში ასე არ იქნებოდა.

„კვირის პალიტრა“



**ვახტანგ მაისაია**
*ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში*

ქუთაისში **„საქართველოს ბანკში“ შეჭრა** კლასიკური **ტერორისტული აქტია.**

„ახალი თაობა“



**ანდრო ბარნოვი**
*პოლიტოლოგი*

ხომ არიან ოპოზიციაში **ლიდერები, ვისაც ბიძინა არ აკონტროლებს?** რატომ არ იწყებენ ძალების გაერთიანებას მეოცნებე ბანდიტების სახლებსა და ციხეებში გასაშვებად?!

„აიპრესი“



**ლევან იოსელიანი**
*პარლამენტის ვიცე-სპიკერი, „მოქალაქეების“ წევრი*

ანგელოზი არც მე ვარ, მაგრამ **არ ვიტყუები** მაინც და ვმუშაობ.

„კვირის პალიტრა“

თავის სამადლობელ სიტყვაში ასეთი რამ თქვა:

*„ძალიან დიდი მადლობა. ძალიან ვღელავ. გუშინ ვფიქრობდი ძილის წინ, თუ მე ავიღე ეს ჯილდო, რა ვთქვა-მეთქი და პატარა დავწერე და წავიკითხავ, იმიტომ, რომ ძალიან ვღელავ. მინდა, ამ შემთხვევით და სასიამოვნო დამთხვევით ვისარგებლო და 65 წლის იუბილე მივულოცო უდიდეს ავსტრალიელ მუსიკოსს* ***ნიკ ქეივს,*** *რომელიც „კურიერის ამბების“ ბოლო ორი თავის მთავარი პერსონაჟია, ნიკ ქეივის თავების წინა თავი კი გაკვრით ეხება საბინაო პოლიტიკას.* ***მინდა, ეს ჯილდო სიმბოლურად მივუძღვნა ჩემს მშობლებს, ჩემს ემიგრანტ დედას და სხვა ემიგრანტ დედებს, რომელთა ნაწილი სწორედ ამ და სხვა პრობლემების გამო იმყოფებიან ემიგრაციაში, უმუშევრად დარჩენილ მამაჩემს და სხვა მამებს, რომლებიც ამ ქვეყანაში, სადაც პატიოსანი შრომით ცხოვრება შეუძლებელია, თავიანთ ადგილს ვერ იმკვიდრებენ.*** *რამდენიმე დღეში მეც დავტოვებ ამ ქვეყანას, სადაც მედიკამენტების ხელოვნურად გაბერილი ფასები, ბანკების არანორმალურად მაღალი პროცენტები, შრომის კოდექსის უფუნქციობა და კიდევ მრავალი სხვა რამ გვაწამებს და ამოსუნთქვის საშუალებას არ გვაძლევს საქართველოს მოსახლეობის თითქმის აბსოლუტურ უმრავლესობას.* ***მივდივარ და ვიტოვებ იმედს, რომ ყველაფერი მალე შეიცვლება. მადლობა კიდევ ერთხელ“.***

გაიგონეთ? წაიკითხეთ?

არა, არც თვალი გატყუებთ და არც — ყური!

**დიახ, ნამდვილად ასე მოხდა: ხაზარაძის ბანკის მიერ დაარსებული პრემიის ლაურეატმა განაცხადა, რომ ემიგრაციაში მიდის და ამის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად ბანკების არანორმალურად მაღალი პროცენტები დაასახელა!**

აბა, კიდევ ერთხელ გასინჯეთ: **ახალგაზრდა კაცმა, რომელსაც არანორმალურად მაღალი პროცენტებით ხალხის გამტყავებელი „თიბისი ბანკის“ მიერ დაარსებულ-დაფინანსებული პრემია გადასცეს, თქვა, რომ იძულებულია, საქართველოდან წავიდეს, რადგან ბანკების არანორმალური პროცენტების გამო ცხოვრება გაუსაძლისი გახდა!**

წარმოიდგინეთ, რაშია საქმე: **რატი ამაღლობელი, ლაშა ბუღაძე და სხვა „საბარასტები“** წლებზე ფეხს იდგამენ, რომ **მამუკა ხაზარაძე** გაათეთრონ და საზოგადოება დააჯერონ, თითქოს იგი მევახშე და ყაჩაღ-ბანკირი კი არ არის, როგორც ხალხში მოიხსენიებენ, არამედ კეთილშობილი ბიზნესმენია, რომელიც ქართული ლიტერატურის განვითარებისა და ერის სულიერების ამაღლებისათვის იღვწის, **ამ დროს კი ხაზარაძის ბანკის მიერ დაარსებული პრემიით დაჯილდოებული ახალგაზრდა მთელი ქვეყნის გასაგონად ამბობს — რამდენიმე დღეში გავიქცევი საქართველოდან, სადაც მოსახლეობის უმრავლესობას ბანკების არანორმალურად მაღალი პროცენტები ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევსო!**

ამაზე დიდი მეხი **მამუკა ხაზარაძეს,** ალბათ, მას შემდეგ არ დასცემია, რაც ზონდერკომკავშირელობაში, ეროვნული მოძრაობის მიტინგის დარბევასა და **მერაბ კოსტავაზე ხელის აღმართვაში** იქნა მხილებული!




# ამაზე დიდი მეხი ხაზარაძეს, ალბათ, მას შემდეგ არ დასცემია, რაც ზონდერ-კომკავშირელობაში, ეროვნული მოძრაობის მიტინგის დარბევასა და მერაბ კოსტავაზე ხელის აღმართვაში იქნა მხილებული!




## „ასავალ-დასავალის“ შემდეგ მამუკა ხაზარაძე არცერთ პოლიტიკურ ოპონენტს, პროკურორსა თუ მოსამართლეს არ ჩაუგდია ისეთ მძიმე დღეში, როგორშიც მისი ბანკის მიერ დაარსებული პრემიით დაჯილდოებულმა თემო რეხვიაშვილმა ჩააგდო!

## „საბას“ პრემიის ლაურეატ თემო რეხვიაშვილის ვერბალურ პერფორმანსს საზოგადოების თვალში ფასი და წონა მაშინ ექნებოდა, არანორმალურად მაღალი პროცენტებით ხალხის გამყვლეფი ბანკის მიერ დაარსებული პრემია პროტესტის ნიშნად რომ არ აეღო!

**„ასავალ-დასავალის“ შემდეგ მამუკა ხაზარაძე არცერთ პოლიტიკურ ოპონენტს, პროკურორსა თუ მოსამართლეს არ ჩაუგდია ისეთ მძიმე დღეში, როგორშიც მისი ბანკის მიერ დაარსებული პრემიით დაჯილდოებულმა თემო რეხვიაშვილმა ჩააგდო!**

არ ვიცით, მამუკა ხაზარაძის ბანკის მიერ დაარსებული პრემიის ლაურეატმა **მამუკა ხაზარაძე** და მისი ბანკი მოსახლეობის გაყვლეფაში შეგნებულად ამხილა თუ უნებლიე მხილება გამოუვიდა, მაგრამ ფაქტია — **ხაზარაძე უკვე თავისივე დაარსებული პრემიის გადაცემის საზეიმო ცერემონიალზე გამოცხადდა ყაჩაღ-ბანკირად და წურბელად, რომელიც საქართველოს მოსახლეობას ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევს!**

რაც შეეხება დებიუტანტ მწერალ **თემო რეხვიაშვილს,** რომელმაც „საბას“ სცენიდან საქართველოში არსებულ მძიმე სოციალურ ყოფაზე ისაუბრა, უფლებას ვიტოვებთ, მის გულწრფელობაში ეჭვი შევიტანოთ და მისი პროტესტი არაადეკვატურად ჩავთვალოთ!

დიახ, **როცა ბანკების არანორმალურად მაღალ პროცენტებს აპროტესტებ, როგორც მინიმუმ, იმ ბანკის მიერ დაარსებულ პრემიას არ უნდა იღებდე, რომელიც არანორმალურად მაღალი პროცენტების მხრივ ქვეყანაში ერთ-ერთი პირველია!**

როცა საბინაო პოლიტიკას აკრიტიკებ და ამბობ, რომ ქვეყანაში არსებული სოციალური სიდუხჭირის გამო იძულებული ხარ, ემიგრაციაში წახვიდე, **სულ ცოტა, იმ ბანკის მიერ დაარსებული ჯილდო არ უნდა გეჭიროს ხელში, რომლის გამოც შენი ბევრი თანამემამულე ერთადერთი საცხოვრებელი ბინის გარეშე დარჩა!**

ეს, რბილად რომ ვთქვათ, ორმაგი სტანდარტია, ორმაგი სტანდარტებით ოპერირება კი ადამიანს, მით უფრო, მწერლობაზე პრეტენზიის მქონე ახალგაზრდა კაცს, ნამდვილად არ შეშვენის!

თუმცა, მისი პერფორმანსი **მამუკა ხაზარაძის** მხილებად მაინც ღირდა!

**კი, ნამდვილად ღირდა, რომ მამუკა ხაზარაძე თავისივე მოედანზე ყაჩაღ-ბანკირად გამოაცხადეს და „საბას“ საბანკო პრემიაში ჩაუქაქეს!**

ხაზარაძისათვის ეს მართლაც სავალალო, გნებავთ, **საბა**ლალო ამბავია, რომელიც ადრე თუ გვიან აუცილებლად უნდა მომხდარიყო და მოხდა კიდეც!

***ჯაბა ხუბუა***

# როცა ბანკების არანორმალურად მაღალ პროცენტებს აპროტესტებ, როგორც მინიმუმ, იმ ბანკის მიერ დაარსებულ პრემიას არ უნდა იღებდე, რომელიც არანორმალურად მაღალი პროცენტების მხრივ ქვეყანაში ერთ-ერთი პირველია!

## კვირგვინოსნები

**დავით უსუფაშვილი**
*პარტია „ლელოს“ წევრი*



**ქუჩა თუ პარლამენტი?!**

— დროა, საკითხი ასე აღარ დადგეს! კი, კონსტიტუციაში წერია, რომ მოქალაქეებს შეუძლიათ, **ქუჩაში გამოხატონ თავიანთი ნება, პროტესტი,** მაგრამ კაცობრიობის გამოცდილება, ცივილიზაციური კულტურა გულისხმობს, რომ **ქუჩით სახელმწიფო არ იმართება,** ქუჩიდან ევროკავშირში ვერ შევალთ.

„კვირის პალიტრა“

**ვახტანგ ძაბირაძე**
*პოლიტიკის ანალიტიკოსი*



საზოგადოებაში არანაირი მზაობა იმისა, რომ **„ცხელი შემოდგომა“** იქნება, არ არის. როდესაც ოპოზიცია გვპირდება **„ცხელ შემოდგომას“,** რომელსაც არც საზოგადოებრივი მხარდაჭერა აქვს და არც პარტნიორების, ისიც უნდა იცოდეს, რომ **ეს რუსეთისთვის იქნება მომგებიანი.**

„კვირის პალიტრა“

**ლადო კახაძე**
*პარლამენტარი*



ოპოზიციავ, **ენის** ჭკუაზე არ იაროთ, **ენა** მეტყველების ორგანო არაა, **ენა** მეტყველებაში მონაწილე ორგანოა, მას ტვინი აკონტროლებს და 32 კბილი, ბოლო-ბოლო **ენას** უნდა დააჭირო. **მოსახლეობასთან თავს ნუ ირცხვენთ!** მტკივა გული, რომ ოპოზიცია აღარ არსებობთ!

„ინტერპრესნიუსი“

**ვლადიმერ ბოჭაძე**
*თბილისის საკრებულოს წევრი*



**მაქარაშვილი და ბერძენიშვილი,** რომლებიც საკუთარ სამშობლოს უჩიოდნენ, **დამარცხდნენ და მომავალშიც აუცილებლად დამარცხდებიან,** რადგან მათი ბრძოლა უკანონო და საზოგადოებისთვის მიუღებელია.

„იმედინიუსი“

# კარტისკაცის მამა

***წინამდებარე წერილის სათაური „კარტისკაცის მამა“, რა თქმა უნდა, რეზო ჩხეიძის აღიარებულ კინოშედევრს „ჯარისკაცის მამას“ ეხმიანება და ეხება თანამედროვე ქართველი რეჟისორის ლევან კოლუაშვილის მხატვრულ ფილმს „მეოთხე ბრაიტონი“, რომლის სატელევიზიო პრემიერაც ამა წლის 17 სექტემბერს შედგა საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის „პირველი არხის“ ეთერში.***

**ლევან კოლუაშვილის „მეოთხე ბრაიტონი“, რეზო ჩხეიძის „ჯარისკაცის მამის“** მსგავსად, ქართველი მამა-შვილის ურთიერთობის სულისშემძვრელი დრამაა. ეს არის ამბავი ხანდაზმულ ქართველ მამაზე, რომელმაც ოკეანის გაღმა გადახვეწილი და კარტის თამაშის გამო ვალებში ჩაფლული ვაჟის დასახმარებლად რკინის ქალამნები ჩაიცვა. **ჩვენ წინაშეა ცხოვრებისეული ისტორია ტრაგიკული დასასრულითა და იმავდროულად ოპტიმისტური ფინალით.**

საერთოდ, **„მეოთხე ბრაიტონი“** არის ფილმი დამსხვრეული ოცნებების შესახებ, რომელშიც ნაჩვენებია უკეთესი ცხოვრების საძიებლად შორეულ ამერიკაში გადახვეწილი ქართველი კაცებისა და ქალების უმძიმესი ყოფა. **პათეტიკისა და პროპაგანდის გარეშე, მინიმალისტური, მაგრამ მკაფიო კინოენით არის გადმოცემული, თუ როგორ ჩამოეშლებათ ქართველ ემიგრანტებს ოჩოფეხებზე მდგარი იმედების ხუხულა.**

ლევან კოლუაშვილის ფილმში ქართველი ლეგენდები მონაწილეობენ.

მთავარ გმირს — ამერიკაში გადახვეწილი და **კარტის თამაშის გამო ვალებში ჩაძირული სოსოს მამას განასახიერებს** ლეგენდარული ქართველი ფალავანი, თავისუფალ ჭიდაობაში ორგზის ოლიმპიური, ოთხგზის მსოფლიო და სამგზის ევროპის ჩემპიონი, **74 წლის ლევან თედიაშვილი,** რომელსაც ფილმში **კახი** ჰქვია.

აშშ-ში, კერძოდ, ბრუკლინში მცხოვრები და რესტორანში კარისკაცად მომუშავე მხცოვანი ქართველი ემიგრანტის, ოპერის ყოფილი მომღერლის **სერგოს** როლს ქართული თეატრისა და კინოს ლეგენდა, აწ გარდაცვლილი **კახი კავსაძე** თამაშობს. **ეს ქართულ კინოში მისი უკანასკნელი როლი აღმოჩნდა და ლევან კოლუაშვილმა „მეოთხე ბრაიტონი“ სწორედ კახი კავსაძის ხსოვნას მიუძღვნა.**

აღსანიშნავია, რომ ფილმის მთავარ პერსონაჟს — **კახის** მისი როლის შემსრულებელ **ლევან თედიაშვილთან** დიდი საერთო აქვს — **ისიც ყოფილი მოჭიდავეა, ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონი, რომლის სახელიც შორს არის გავარდნილი.** როცა კახი თავის შვილს — **კარტის მოთამაშე სოსოს** ბრაიტონის პერიფერიულ სამორინეში ვალის ნაწილის დასაფარად გაჰყვება, იქაურობის ერთ-ერთი ბოსი, თავადაც ყოფილი მოჭიდავე, მას მაშინვე იცნობს. **ფილმში ლევან თედიაშვილის ვარჯიშისა და ასპარეზობის ამსახველი დოკუმენტური კადრებიც არის შესული, კინოსურათის მთელი მსვლელობისას კი იგრძნობა, რომ კახის ჭიდაობის ნოსტალგია აწვალებს — საჭიდაო დარბაზში შესულსა და მოვარჯიშე ახალგაზრდების შემხედვარეს თვალები უწყლიანდება.** ასევე შთამბეჭდავია სცენა, თუ როგორ ასწავლის **ლევან თედიაშვილის** პერსონაჟი ჭიდაობის ილეთებს მისი შვილის — სოსოს საცოლეს, **რუს ემიგრანტს,** რათა მან სამაგიერო მიუზღოს ყოფილ ქმარს, რომელმაც მიატოვა და ცოლად მისი დაქალი შეირთო.

**— ეს არის სცენები თანამედროვე ქართული ცხოვრებიდან, — იტყვის ერთ-ერთ ინტერვიუში „მეოთხე ბრაიტონის“ მთავარი რეჟისორი ლევან კოლუაშვილი და მართლაც ასეა.**

აზარტულ თამაშებში თავფეხიანად გადაშვებული ქართველი მამაკაცები, რომლებიც ემიგრაციაში შავ მუშებად წასული ცოლების მიერ წვალებით შეგროვებულ და გამოგზავნილ ფულს ტოტალიზატორსა და კაზინოში აგებენ; ლუკმაპურის საშოვნელად გადაგებული, ოჯახსა და სამშობლოს მოწყვეტილი ქართველები, რომლებსაც ამერიკა ოცნებების ახდენის ადგილად წარმოუდგენიათ, მაგრამ, ხშირ შემთხვევაში, მიწიერ ჯოჯოხეთში ხვდებიან; უცხოეთში თითქოსდა სასწავლებლად გამგზავრებული ქართველი ახალგაზრდები, რომლებიც უნივერსიტეტებისა და ბიბლიოთეკების მაგივრად სამორინეებში ათენ-აღამებენ და საარსებო სახსარს მძიმე ფიზიკური შრომით მოიპოვებენ! — **ვაი, რომ ეს თანამედროვე ქართული რეალობაა, მძიმე სინამდვილე, რომელიც ჩვენ გარშემო ჰგიებს და რომლითაც დაღდასმულია ბევრი ჩვენგანის, ჩვენი მეგობრების, მეზობლებისა თუ ნათესავების ცხოვრება.**

აღსანიშნავია, რომ ფილმი არამხოლოდ ქართველების, არამედ სხვა პოსტსაბჭოთა ერების წარმომადგენელთა მძიმე ემიგრანტულ ყოფასაც გვიჩვენებს. საერთოდ, **ბრუკლინის სამხრეთით, ატლანტის ოკეანის სანაპიროზე მდებარე ქალაქი ბრაიტონ-ბიჩი, სადაც ფილმის ძირითადი სიუჟეტი ვითარდება,**

## ლევან კოლუაშვილის გენიალური ფილმი „მეოთხე ბრაიტონი“ ყველა ქართველმა უნდა ნახოს!







## იხილეთ და

კადრები ფილმიდან „მეოთხე ბრაიტონი“





**კომპაქტურად არის დასახლებული რუსულენოვანი ემიგრაციით, რომელმაც იქ ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დაშლამდე მოიკიდა ფეხი, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კი ძალიან გაიზარდა. ასე რომ, რუსები, ქართველები, სომხები, ყაზახები თუ უზბეკები ბრაიტონ-ბიჩზე შინაურებად ითვლებიან, ლევან კოღუაშვილის კინოსურათში კი მათი გამაერთიანებელი შტრიხი გაჭირვება და ემიგრანტის დაულხენელი ცხოვრებაა.**

**„მეოთხე ბრაიტონი"** თბილისის ერთ-ერთ ტოტალიზატორში გადაღებული სცენით იწყება. ჯან-ღონით სავსე ქართველი მამაკაცები, რომლებმაც თავიანთი ცხოვრება იმაზე გახადეს დამოკიდებული, მოუგებს თუ არა **„მანჩესტერი" „ლივერპულს"** და მოაწვდის თუ არა რომელიმე გუნდი მატჩში 8,5-ზე მეტ კუთხურს, ნერვიულობისაგან ლამის ტანსაცმელს იხევენ და მზად არიან, ერთმანეთს ყელი გამოსჭამონ, ამ დროს კი მათი ცოლები, დედები თუ შვილები ოკეანის გადაღმა მოხუცებს პამპერსს უცვლიან, რესტორანში თეფშებს რეცხავენ და სასტუმროს ნომრებს ალაგებენ.

**ლევან თედიაშვილის გმირის — კახის ძმა ემიგრანტი მეუღლის მიერ ბინის საყიდლად გამოგზავნილ ფულს ტოტალიზატორში აგებს და კუდის რიკამდე გაფცქვნილი ღია ცის ქვეშ რჩება.** კახი, ამერიკაში შვილთან გამგზავრების წინ ძმას საჭიდაო დარბაზში მიიყვანს და მწვრთნელს სთხოვს, ცოტა ხნით ერთი ოთახი დაუთმონ, სახლში მისული კი ცოლს სასხავათაშორისოდ, თითქოს განსაკუთრებული არაფერი მომხდარიყოს, ეუბნება — **ჩემმა ძმამ ბინა წააგო!**

**კახი ავლაბრის ბაზარში ნაყიდი სამი თავი ჟველით ამერიკაში მიდის, შინ კი ფეხმოტეხილ მეუღლესა და საყვარელ ძაღლს ტოვებს. მამისაგან განსხვავებით, დედამ არ იცის, რომ სოსო კარტისკაცია, კაზინოში თამაშობს და ვალებში იხრჩობა. მას ჰგონია, რომ ვაჟი ამერიკაში სწავლობს და თვალები წიგნების კითხვით აქვს ამოღამებული.**

მეოთხე ბრაიტონი ის მისამართია, სადაც ამერიკაში, ბრუკლინის სამხრეთში, ქართველი ემიგრანტები ბარაკის ტიპის საერთო საცხოვრებელში ცხოვრობენ. მათ შორის არიან კახის შვილი სოსო და რძალი — კახის ძმის ცოლი, რომლის ქმარმაც ბინის ფული ტოტალიზატორში დაამღერა. თუმცა, კახი რძალს უმალავს, რომ მისმა ქმარმა ფული წააგო, ხოლო რძალი კახის ეუბნება — ამ ბოლო დროს სოსო არ მომწონს, ღამეები არ სძინავს და ბევრს ეწევაო!

**— ამერიკაში კარტის სათამაშოდ გამოგიშვი?** — მშვიდად, აუღელვებლად, დაუტუქსავად ეუბნება **ლევან თედიაშვილის** პერსონაჟი თავის შვილს და ეს ისეთი ნათქვამია, რომელსაც, წესით, ნებისმიერ დატუქსვასა თუ შეგონებაზე დიდი ძალა უნდა ჰქონდეს, მაგრამ **კარტისკაცი სოსო** უკვე იმდენად ღრმად არის ჩაფლული ლუდომანიის საბედისწერო ჭაობში, რომ მისი გონს მოყვანა შეუძლებელი ხდება.

**კახი — ჭიდაობის დიადი ჩემპიონი — მოხუცი ამერიკელი ცოლ-ქმრის მომვლელად იწყებს მუშაობას. დამთრგუნველად ამაღელვებელია სცენა, როცა იგი დაუძლურებულ მამაკაცს საკუთარი ხელით ბანს, ამ დროს კი მოხუცის ცოლში — თავადაც ბებერ დედაკაცში ქალი გაიღვიძებს, ეროტიკული ვნებები აეშლება და კახის ხელების ფათურს დაუწყებს, თუმცა, იგი ალერსს მოწყურებულ ბებოს თავაზიან უარს ეტყვის და ცივად გაეცლება იქაურობას.**

ლევან თედიაშვილის გმირი თავის მიერ გამომუშავებულ პირველ გასამრჯელოს — 2 000 დოლარს შვილს აძლევს და ეუბნება, რომ ვალების გასტუმრება დაიწყოს, თუმცა, სოსო მამის მიერ მიცემულ ფულსაც კარტში წააგებს.

ცალკე გამოყოფის ღირსია სიუჟეტის ის ხაზი, რომელიც **ლევან თედიაშვილის** პერსონაჟის — **კახისა და კახი კავსაძის პერსონაჟის — სერგოს** ურთიერთობას ასახავს. ეს ორი ხანდაზმული ქართველი ემიგრაციაში მალევე დამეგობრდა და ერთმანეთს პატივისცემით ექცევიან. მიუხედავად იმისა, რომ **ოპერის მომღერალი სერგო** იძულებული გახდა, სიბერის ჟამს ემიგრანტის მძიმე ტვირთი წამოეკიდებინა და უცხო ქვეყანაში კარისკაცად ემუშავა, ხალისსა და იმედს მაინც არ კარგავს. **მას სულ ემღერება, რასაც მეზობლები, ცოტა არ იყოს, არასერიოზულად უყურებენ, კახი კი ერთადერთია, ვისაც სერგოს სიმღერა არ ბეზრდება და მუდამ მზად არის, სიამოვნებით მოუსმინოს.**

ამ ორი ლეგენდარული ადამიანის — ლევან თედიაშვილისა და კახი კავსაძის ურთიერთობა კულმინაციას ფილმის ფინალში მიაღწევს, რაც გენიალური სცენით იქნება გადმოცემული.

**მას შემდეგ, რაც სოსოს მევალეები ფიზიკურად გაუსწორდებიან და კარტში წაგებული ფულის მოსატანად ე.წ. წამმზომს ჩაურთავენ, კარტისკაცის მამა — ვეტერანი ფალავანი, თავისუფალი ჭიდაობისა და სამბოს სახელოვანი ჩემპიონი საოცარ გადაწყვეტილებას იღებს — შვილის მევალეს, რომელიც ასევე ყოფილი მოჭიდავეა, ორთაბრძოლას სთავაზობს და პირობას უყენებს — თუ დაგამარცხებ, ჩემს შვილს მთელი ვალი ჩამოაწერე, ხოლო, თუ მე დავმარცხდი, ვალს ორმაგად დაგიბრუნებო!** მცირე ჭოჭმანის შემდეგ მევალე კახის შეთავაზებას თანხმდება და ბრაიტონის ქვიშიან სანაპიროზე ერთმანეთს ორი ფალავანი ერკინება. **მიუხედავად იმისა, რომ მოწინააღმდეგე კახიზე ბევრად ახალგაზრდაა, დიდი ჩემპიონი უკანასკნელ ძალას მოიკრებს და მას ბეჭებზე გააკრავს.** მორჩა, **კარტისკაცს** ვალს ჩამოაწერენ. კარტისკაცის მამამ შეძლო, მოეგო თავისი ცხოვრების ყველაზე მთავარი ორთაბრძოლა — ბრძოლა შვილის გადასარჩენად. თუმცა, ეს პიროსის გამარჯვება აღმოჩნდა — **გამარჯვება დიდი დანაკარგით, რომელიც მარცხის ტოლფასია.** მოხუც ფალავანს მასზე ახალგაზრდა მოწინააღმდეგესთან ჭიდილმა სასიცოცხლო ენერგიის უკანასკნელი ულუფაც გამოაცალა — **კახის გულის შეტევა დაემართა.**

**ლევან თედიაშვილის გმირი მეოთხე ბრაიტონის საერთო საცხოვრებლის ერთ პატარა ოთახში, ორსართულიანი საწოლის ქვედა ნარზე დალევს სულს. სიკვდილამდე რამდენიმე წუთით ადრე კახი კავსაძის პერსონაჟი სერგო ლევან თედიაშვილის პერსონაჟ კახის ეკითხება — „მითხარი გულახდილად, რა გინდა, რომ მე გავაკეთო შენთვის?" — ის კი პასუხობს — „თუ შეიძლება, „მრავალჟამიერი" მიმღერე".** სერგო მიდის თავისი მეგობრების — მომღერლების მოსაყვანად, რათა მომაკვდავ კახის მათთან ერთად უმღეროს „მრავალჟამიერი", მაგრამ ახალშეძენილ მეგობარს ცოცხალს ვეღარ მოუსწრებს. და აი, სწორედ აქ ვითარდება ფილმის ფინალური სცენა, რომელსაც ძნელია, ჟრუანტელისა და ცრემლების გარეშე უყურო — კახი კავსაძის პერსონაჟი ქუდს მოიხდის, ლევან თედიაშვილის პერსონაჟის — **კახის ცხედართან დადგება და წამიერი გარინდების შემდეგ მთელი ხმით წამოიწყებს „მრავალჟამიერს"!**



კახი კავსაძე და ლევან თედიაშვილი ფილმ „მეოთხე ბრაიტონის" გადასაღებ მოედანზე

# ორი ქართველი ლეგენდის – ლევან თედიაშვილისა და კახი კავსაძის ეკრანული დუეტი გულს აგიჩქროლებთ და სულს აგიფორიაქებთ!







კადრები ფილმიდან „მეოთხე ბრაიტონი"

## კახის მიერ კახის ცხედართან ნამღერი „მრავალჟამიერი" საქართველოს მარადიულობის სიმბოლოა! კახის მიერ კახის ცხედართან ნამღერი „მრავალჟამიერი" იმის ნიშანია, რომ ქართველ ერს ყველაზე მძიმე მდგომარეობაშიც შესწევს ძალა, გაიმარჯვოს თვით სიკვდილზეც კი!

**კახიმ იმღერა კახის ცხედართან — „მრავალჟამიერ"!**

**კარტისკაცის მამის უკანასკნელი სურვილი ასრულდა!**

ლევან კოღუაშვილის **„მეოთხე ბრაიტონი"** დამთავრდა!

**ოდესმე დამთავრდება მძიმე ქართული რეალობაც, რომელიც ლევან კოღუაშვილმა თავის ფილმში დიდოსტატურად ასახა, ხოლო მამაშვილობის ქართული პარადიგმა, რომელსაც ლევან კოღუაშვილმა თავისი ფილმით დიდებული ძეგლი დაუდგა, არასოდეს უნდა დამთავრდეს!**

**ჯაბა ხუბუა**

# ალელდით!





კადრები ფილმიდან „მეოთხე ბრაიტონი"

# სულ ვეკითხებოდი ჩემს ძმას – გაბრიელ, რატომ სტირი, რატომ განიცდი... მაგრამ სიცოცხლეში ვინ გაუგო გაბრიელს? ვერავინ!

## „უკვე ვიცი – მოთმინებით უნდა მივიყვანო ჩემი სული უფალთან!“

*„როცა სიმართლე თვალდათხრილია, მართავს ეშმაკი სოფელს ანარევს... ვისჯებით, ვიდრე გადათხრილია გაბრიელ ბერის თბილი სამარე!“ — პოეტ* ***ლაშა ნადარეიშვილის*** *ამ მრავალმნიშვნელოვანი სტროფით მთავრდება მასალა, რომელიც სვეტიცხოვლის დიდ ტაძარში დასვენებულ ქუდიან ჯვარს მივუძღვენი და იგივე განწყობა ასაზრდოებს თანამედროვეობის უდიდესი წმინდანის* ***გაბრიელ ბერის*** *ყოფილ განსასვენებელთან ჩავლისას მიღებულ შთაბეჭდილებას, სადაც უწინ უამრავი მომლოცველი იკრიბებოდა.*



**ჯულიეტა ჯიბიტიანი:**

იყო დრო, როცა ყველასგან დევნილი და შეურაცხყოფილი სალოსი ბერი სიყვარულით ეგებებოდა ქრისტეს მოყვარულ მლოცველებს, მოგვიანებით კი, მონასტრის მახლობლად დაკრძალული, აღასრულებდა სნეულთა კურნებას და სხვა უამრავ ხილულ სასწაულს! **ნასაფლარზე, მწვანე მარმარილოსთან დამხობილს, ცრემლები წამსკდა — მე ხომ აქ უამრავჯერ ვმდგარვარ მომლოცველთა რიგში, რათა რამდენიმე წუთით დაჩოქების საშუალება მომცემოდა! აქედან არაერთხელ წამოვსულვარ უკიდეგანო ენერგიითა და რწმენით აღვსილი, წამომიღია სასწაულთმოქმედი ზეთი და ჩემი ცხოვრებისეული მრავალი წარმატება სწორედ ამ ადგილზე მოსვლასთან დამიკავშირებია!** ახლა კი უჩვეულოდ დაცარიელებულა და გაცივებულა წმინდანის თბილი სამარე, რომლის ნეშტიც სამთავროს ტაძარში ლუსკუმად წოდებულ ვიტრინაში ჩაუსვენებიათ.

### „ასავალ-დასავალმა“ არაერთი მასალა მიუძღვნა ამ უდიდეს სულიერ ტრაგედიას – დიახ, აღარ არის იმ სამარეში წმინდანი. სიკვდილის შემდეგაც უშრეტი ენერგიის გამომცემელი ნეშტი სანახაობად გადააქციეს!

მართლმადიდებელი მრევლი ღვთისმშობლობას აღნიშნავდა, როცა წმინდანის დას, **85 წლის ჯულიეტა ჯიბიტიანს** ვესტუმრე. მასთან საუბრის შემდეგ დავრწმუნდი, წმინდა ბერი გაბრიელი ქართველ ერს თავს კიდევ მრავალჯერ შეახსენებს თავისი სასწაულებითა და წინასწარმეტყველებათა აღსრულებით:

— მე და **ბოდერძი** *(რედ. ასე ერქვა ერში გაბრიელს, ბერად აღკვეცამდე)* ერთი დედის შვილები ვართ. დედაჩვენი 14 წლისა გაათხოვეს და 15 წლისას უკვე **ემა** ჰყავდა, მერე — **მიშიკო,** უმცროსი კი **ბოდერძი** გახლდათ. მათი მამა **ვასილი** კომუნისტი, სოფლის რაიკომის მდივანი ბრძანდებოდა, ზნეობრივი ცხოვრების წესით ცხოვრობდა. ალბათ, ოდესმე სარწმუნოებამდეც თავად მივიდოდა, მაგრამ არ დასცალდა — რეჟიმმა იმსხვერპლა. მის მკვლელებს კი უფალმა მიუზღო — სახლში ცოცხლები არ დაბრუნებულან.

ჩვენ გარშემო ახლაც მრავლად ცხოვრობენ ნათელი ადამიანები, თუმცა, სამწუხაროდ, ქრისტეს არსი არ ესმით. თუ ადამიანს გული სუფთა აქვს, რა ეპოქაშიც არ უნდა მოღვაწეობდეს, ქრისტე არ მიატოვებს. ვასილის სიკვდილის შემდეგ 3 ობოლი შვილით დარჩენილ დედას ძალიან გაუჭირდა. **ბოლოს ის გაჰყვა პატიოსან და საზოგადოებაში დაფასებულ სომეხ კაცს მიხეილ ჯიბიტიანს,** რომელმაც გერებზე ზრუნვა თავის თავზე აიღო. ამასობაში მეც დავიბადე. მამა გერებს ღვიძლ შვილში არ ასხვავებდა! 12 წლის ვიყავი, მამა რომ გარდაიცვალა.

მე მჯერა, საქართველოში ადამიანი რომ იბადება, ის უკვე მორწმუნეა — უფლის სწამს, მაგრამ შეიძლება არ ესმის. უფალი რომ შეიცნო, დრო, ლოცვა, შრომა და მონდომებაა საჭირო. ჩვენ ის ხალხი ვართ, ვისაც უფალმა უამრავი რესურსი უბოძა ღვთის შესაცნობად, მაგრამ, სამწუხაროდ, ხშირად ამ საგანძურს ვანიავებთ. მარტო პირჯვრის გადაწერა და სანთლის დანთება რწმენა არ გახლავთ!

**— წმინდანად აღიარებული ბერი გაბრიელი სიცოცხლეში დევნილი იყო. მღვდელმსახურთა ერთი ნაწილი მას დასცინოდა და ავიწროებდა...**

— უფალი ამბობს — **მემსახურეთ მე, სულში და ჭეშმარიტებაში!** ალბათ, ეს მღვდელმსახურები ჭეშმარიტებისგან შორს იდგნენ... გაბრიელი თავის კელიაში სულ ტიროდა, მისთვის მთავარი იყო ეკლესიაში სიარული, ზიარება... მაგრამ ხშირად ამის საშუალებას არ აძლევდნენ. სულ ვეკითხებოდი — **გაბრიელ, რატომ სტირი, რატომ განიცდი... მაგრამ, სიცოცხლეში ვინ გაუგო გაბრიელს?** — ვერავინ!

**— ახლა თუ ესმით საქართველოში წმინდა გაბრიელ ბერის?**

### – წმინდანის გაგება არ არის ადვილი, მითუფრო, როცა ქვეყნად ეშმაკი ძალადობს ადამიანთა გონებაზე. ეროვნებას ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს, მისი ესმის ყველას, ვისაც უფლის ცნებების გააზრება შეუძლია.

წმინდა გაბრიელ ბერის სახელს ხომ უამრავი რუსი, უკრაინელი, ბელარუსი და სხვა მართლმადიდებელი ერის წარმომადგენლებიც ეთაყვანებიან, თავიანთ ენებზე დაუჯდომელ საგალობლებს უძღვნიან!

როცა სამთავროს მონასტერში უცხოელები მოსალოცად მოდიან და იგებენ, რომ მე გაბრიელის და ვარ, მეხვევიან, აღფრთოვანებას, პატივისცემას გამოხატავენ, არადა, თბილისის ქუჩებში ვერავინ მცნობს. **არ ვიცი, ასეთი ბედნიერება რად მარგუნა უფალმა, რატომ ამარჩია, რომ გაბრიელის და ვყოფილიყავი.** მუდმივად ვფიქრობ ამ დიდ მადლზე. გაბრიელი ჩემი ძმა გახლდათ — დატანჯული, გაუბედურებული, ნაცემ-ნატყეპი, ერთი დღეც რომ არ უცხოვრია დალხენილად, მაგრამ მაინც უსაზღვროდ ბედნიერი იყო, იმიტომ, რომ უფალი ჰყავდა, უფალს იცნობდა!

**— ბერად შედგომის მერე სად ნახულობდით ხოლმე ძმას?**

— ჩემს ძმასთან კავშირი არასოდეს გამიწყვეტია, იმის მიუხედავად, რომ, როცა ადამიანი ბერი ხდება, ის ვალდებულია, ოჯახი დატოვოს, რათა მთელი დარჩენილი ცხოვრება უფალს მიუძღვნას. **ბათხოვების მერეც, ყოველ კვირა დღეს, დედასთან ერთად მონასტერში მივდიოდი. გაბრიელი ლოცვას რომ მორჩებოდა, დაკეტილ კელიას გააღებდა და დაგვიძახებდა ხოლმე.**

**— მის საფლავზე უამრავი მომლოცველი დადიოდა, მიჰქონდათ კურნების ძალის მქონე ზეთი. გადასვენების შემდეგ თითქოს მადლი დაიკარგა, მომლოცველების ნაკადიც შეთხელდა... იქნებ წმინდანის ნეშტის საფლავში დაბრუნება ჯობდეს?**

— ეს საკითხი უბრალო ადამიანების დონეზე არ წყდება. ჩემთვის რომ ეკითხათ, ძველ სამარეში დატოვებას ვისურვებდი, ოღონდ საფლავზე პატარა სამლოცველოს ავაშენებდი და იქ მომლოცველთა ზღვა მოაწყდებოდა! ვფიქრობ, მადლიც უფრო დიდი იქნებოდა, მაგრამ ეს ჩემი პირადი აზრია და არავის თავს არ ვახვევ!

**— ბოლოს როდის ნახეთ ძმა?**

— გარდაცვალებამდე ბოლო სამი დღე დედა და მე მუდმივად მასთან ვიყავით. იმ პერიოდში დედაჩვენი ჩემს სახლში ცხოვრობდა და მოესწრო შვილის გარდაცვალებას... 1 ნოემბერს რომ მივედით, **დედა პარასკევამ** გვითხრა — ცუდად არის გაბრიელიო. გვიანობამდე ვიყავით მე, ჩემი ბიჭი **მიშიკო** და დედაჩემი. წამოსვლას არც ვაპირებდით, გაბრიელის დატოვება არ გვინდოდა, მაგრამ ის ხომ გრძნობდა, რომ ჩვენ იქ ვიყავით!

ღამის პირველი საათი ხდებოდა, დედა პარასკევას ჩვენთან დაიბარა — **ნუ რჩებიან მონასტერში, წავიდნენ სახლშიო!** მთელი მონასტერი გარეთ გამოეფინა... იძულებული გავხდით, წავსულიყავით. ღამე სახლში რა მოგვასვენებდა? დილის შვიდი საათი ხდებოდა, ისევ სამთავროში რომ მივედით და დედა პარასკევას **ბოდერძის** მდგომარეობის შესახებ ვკითხეთ. — ცუდად არისო. ვთხოვეთ — ნუ გაგვაგდებთ, კელიის გარეთ ვიქნებით-მეთქი. — არა, რატომ კელიის გარეთ, თქვენზე ახლობელი განა ვინ ჰყავსო? **ჰოდა, კელიაში ვისხედით მე და დედაჩემი, ვიდრე ღამის 10 საათზე გაბრიელი ჩვენ თვალწინ გარდაიცვლებოდა.**

**— რაიმე სასწაული გახსოვთ მისგან, რომელიც უშუალოდ თქვენზე აღსრულდა?**

— მისი ყოველი სიტყვა სასწაული იყო. სულ ამბობდა — **„მოთმინებითა შენითა...“** მაშინ ვფიქრობდი ჩემთვის, მუდმივად **მოთმინებაზე** რად ლაპარაკობს-მეთქი. ახლა, სიბე-



რეში, ეგ სიტყვები ძალიან დამჭირდა, ჩემთვის ეს სასწაულია! უკვე ვიცი — **მოთმინებით** უნდა მივიყვანო ჩემი სული უფალთან! ხშირად ვეზიარები. **მამა დავითი (კონჯარია)** მოდის ხოლმე ჩემთან. ამ დილითაც მან მაზიარა.

კიდევ ერთ სასწაულზე მოგახსენებთ: **გაბრიელის გარდაცვალების შემდეგ დედაჩვენი მონაზონი გახდა, დედა ანა ეწოდა.** ჯერ არ უნდოდა მონაზვნობა, შემდეგ დათანხმდა. გაბრიელის გარდაცვალებიდან ოთხი წლის შემდეგ, 6 მარტს, საღამოს, მისი ხიროტონია (მონაზვნად ხელდასხმა) მოხცხოვრებას ვერ შეძლებდა. მეორე დღესვე რომ ასეთი ტკივილები მიიღო და დაუჩივლელად დაითმინა — ეგეც უფლისგან იყო, რომ ნამდვილ მონაზვნად გაეყვანა და განედიდებინა დედა ამ ცხოვრებიდან. მაგრამ ამაზე დიდი სასწაული კიდევ სხვა მოხდა!

**— გვიამბეთ...**

— **დედა სულ მეუბნებოდა, გოდერძის გვერდით უნდა დავიმარხოო.** მე მეღიმებოდა, ან რას ვეტყოდი ხანდაზმულ მშობელს — გოდერძის გვერდით ვინ დაასაფლავებდა, ის ხომ უკვე წმინდანად იყო მიჩნეული! მაგრამ, დახეთ სასწანამდვილად დედას გამოსახულებაა! ვისაც სურს, წავიდეს და საკუთარი თვალით იხილოს!

**— რა ნატვრა აქვს წმინდანად აღიარებული ბერი გაბრიელის დას?**

**– ძალიან მოვხუცდი. მოვლა მჭირდება... ისე მოხდა, რომ ჩემი შვილი მაია რუსეთში გათხოვდა. ახლაც იქ ცხოვრობს.**



## „ᲒᲐᲑᲠᲘᲔᲚᲘ ᲩᲔᲛᲘ ᲫᲛᲐ ᲒᲐᲮᲚᲓᲐᲗ – ᲓᲐᲢᲐᲜᲯᲣᲚᲘ, ᲒᲐᲣᲑᲔᲓᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ, ᲜᲐᲪᲔᲛ-ᲜᲐᲢᲧᲔᲞᲘ, ᲔᲠᲗᲘ ᲓᲦᲔᲪ ᲠᲝᲛ ᲐᲠ ᲣᲪᲮᲝᲕᲠᲘᲐ ᲓᲐᲚᲮᲔᲜᲘᲚᲐᲓ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲣᲡᲐᲖᲦᲕᲠᲝᲓ ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲘ ᲘᲧᲝ, ᲘᲛᲘᲢᲝᲛ, ᲠᲝᲛ ᲣᲤᲐᲚᲘ ᲰᲧᲐᲕᲓᲐ, ᲣᲤᲐᲚᲡ ᲘᲪᲜᲝᲑᲓᲐ!“



და, მეორე დილით, 7 მარტს კი, ხელ-ფეხი მოიტეხა, ერთიანად დაილეწა! ეს ამბავი ასე მოხდა: მონაზვნები სასაუზმოდ წავიდნენ, **დედა ანა** კი მარტო დატოვეს და მორჩილების ფარგლებში, საქმის გაკეთება დაავალეს. დედამ, როგორც კი მარტოდ დარჩა, იფიქრა, მოდი, გოდერძის საფლავზე წავალო, საქმე გადადო და შვილის საფლავისკენ გაემართა. მაშინ პანთეონში ასასვლელი გაცილებით შემაღლებულზე იყო, დედა იქ დაგორდა და დაილეწა... მას შემდეგ ლოგინიდან ვეღარ წამოდგა.

**— მიგაჩნიათ, რომ ეს დაუმორჩილებლობის გამო შეემთხვა?**

— არა, მე სხვანაირად ვუყურებ ამ ამბავს. როცა ხიროტონია მიმდინარეობდა, მე შევეცადე, მოხუცი დედის ფეხებზე თბილი პლედი დამეფარებინა, ამ დროს მას ჯვარი და სახარება გაუვარდა და მე თავზე დამეცა. ვფიქრობ, უფალმა მაშინ მინიშნება მოგვცა, რომ ასეთი ხანდაზმული დედა მონასტრულ ულს — **დედა ახლა იქ მარხია, სადაც გოდერძი იყო დაკრძალული!** ეს ჯერ ყველაფერი არ არის, სასწაული კიდევ მოხდა, როცა გოდერძი საფლავიდან ამოასვენეს და მონასტერში მისთვის ლუსკუმას აკეთებდნენ. ერთ დღეს მშენებარე ლუსკუმას ბეტონზე, მოულოდნელად დედაჩემის გამოსახულება გამოჩნდა, რაც დღემდე არის შემორჩენილი! იმდენად დიდი მოვლენა იყო, რომ ადგილზე მივიდა პატრიარქი... გამოსახულებას ფოტო გადაუღეს, ჩარჩოში ჩასვეს და ლუსკუმასთან დაასვენეს. **დედა ქეთევანი, მონაზვნები, მღვდელმსახურები ამბობენ, რომ ეს არის თავად გაბრიელის გამოსახულება, მაგრამ მე მწამს, რომ ეს არის დედაჩემი, რომელმაც აქაც, შვილის სამარის მახლობლად, ისურვა ყოფნა!** შეუძლებელია, მონაზვნის ტანსაცმელში ქალის გამოსახულება იყოს გაბრიელი! ჩემი მეზობლებიც, რომლებიც დედას კარგად იცნობდნენ, ამბობენ, რომ იქ

**ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲝᲑᲐ ᲘᲗᲮᲝᲕᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲢᲔᲡᲢᲨᲘ ᲠᲐᲦᲐᲪ ᲨᲔᲪᲓᲝᲛᲔᲑᲘ ᲓᲐᲣᲨᲕᲘᲐ ᲓᲐ ᲣᲐᲠᲘ ᲣᲗᲮᲠᲔᲡ. ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲛᲘᲜᲓᲐ, ᲩᲔᲛᲘ ᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲨᲕᲘᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲩᲔᲛ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲗ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ ᲓᲐ ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔ ᲒᲐᲛᲘᲚᲐᲛᲐᲖᲝᲜ.**

მე ხომ სულ მარტო ვცხოვრობ. მადლობა უფალს, ჯერ ვახერხებ და, საკუთარ თავს თავად ვუვლი. ყოველივე ამქვეყნად უფლის ნებაა!

**ᲕᲜᲐᲢᲠᲝᲑ, ᲬᲛᲘᲓᲐ ᲒᲐᲑᲠᲘᲔᲚ ᲑᲔᲠᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲔᲑᲐ ᲑᲝᲚᲝᲛᲓᲔ ᲐᲦᲡᲠᲣᲚᲓᲔᲡ ᲓᲐ ᲦᲛᲠᲗᲘᲡᲛᲨᲝᲑᲚᲘᲡ ᲬᲘᲚᲮᲕᲓᲝᲛᲘᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲦᲕᲗᲘᲡ ᲜᲐᲗᲔᲚᲨᲘ ᲒᲐᲑᲠᲬᲧᲘᲜᲓᲔᲡ!**



„ჩემთვის რომ ეკითხათ, ძველ სამარეში დატოვებას ვისურვებდი, ოღონდ საფლავზე პატარა სამლოცველოს ავაშენებდი და იქ მომლოცველთა ზღვა მოაწყდებოდა!“



„ასავალ-დასავალი“, 2016 წლის 11-17 აპრილი, №15



„ასავალ-დასავალი“, 2017 წლის 27 თებერვალი - 5 მარტი №9

### ᲑᲝᲚᲝᲗᲥᲛᲐ

**ᲘᲛ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ,** სადაც ჯალათებს წმინდა საკურთხეველში ტრაპეზს უშლიან და წმინდა გიორგის ორდენით აჯილდოებენ, ხოლო წმინდანებს ლოცვას უკრძალავენ, დასცინიან და დევნიან... **ᲘᲛ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ,** სადაც გადამთიელებს მოქალაქეობას ბითუმად ურიგებენ, თუმცა, წმინდანად აღიარებული ბერის დისშვილს უარს ეუბნებიან... **ᲘᲛ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ,** სადაც მღვდელმსახურთა ნაწილი მრევლს პოლიტიკური შეხედულების მიხედვით კატეგორიებად ყოფს, სადაც სულის ცხონებას მატერიალური მაზანდა ედება, სადაც სულის სიმდიდრეზე და ღმერთის შეცნობაზე უპირატესი უსულოდ დაშთენილი ტაძრების სიმრავლეზე ყურადღების გადატანაა — **ძნელად წარმოსადგენია, სულიერი გაბრწყინება აღსრულდეს, მაგრამ...** შეუცნობელ არიან გზანი უფლისანი! უფალი გვაუწყებს — **მრავალნი არიან გადარჩენისთვის მოწოდებულნი, თუმცა, მათ შორის ცოტაა, ვინც უფლის სიტყვას ბოლომდე უერთგულებს, ამქვეყნიურ განსაცდელებს დაითმენს და ვიწროჭიშკრიანი გზიდან არსად გადაუხვევს...** ისინი აუცილებლად გადარჩებიან და ცხონდებიან! მაგრამ ქვეყანას, რომელიც ანგარებაზე და ამქვეყნიურ სიამეზეა დაფუძნებული, გადარჩენა არ უწერია. ამჯერადაც პოეტ **ᲚᲐᲨᲐ ᲜᲐᲓᲐᲠᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ** მრავალმნიშვნელოვანი ლექსი ამეკვიატა, **რომელშიც ულმობელი განაჩენია გამოტანილი მათთვის, ვინც ღვთის სახლში მადლის შეგნებულად მოსაშთობად იღვწის:**

ქონდრისკაცების
შეგვძრა ტატანმა,
მიკიოტების გვესმა
ხორხოცი...
უფლის ტაძარში
დადგა სატანა —
პირსისხლიანი
სახის მომხოცი.
რაკი წყვდიადი
იხმეთ სამეფოდ,
ლოცვად მონათლეთ
სიტყვა უშვერი, —
დანგრეულია
თქვენი სამეფოც,
ხიშტი და ტყვია
ვეღარ უშველის!

*მოამზადა*
***ᲖᲐᲖᲐ ᲓᲐᲕᲘᲗᲐᲘᲐ***

# ნანა დევდარიანი:
# ეს ზამთარი ძალიან ბევრ რაღაცას შეცვლის!

***უკრაინელთა მცირე წარმატების მაუწყებელ შეძახილებს, რომლებიც ამ დღეებში ფრონტიდან გაისმა, პუტინმა ნაწილობრივი მობილიზაციის გამოცხადებით უპასუხა. როგორც ყოფილი პარლამენტარი და სახალხო დამცველი ნანა დევდარიანი ამბობს, ომი ახალ, სახიფათო ფაზაში გადავიდა, ხოლო გადარჩენის ფორმულა კიდევ უფრო ნათელი გახდა:***



**„არ შეიძლება მიხეილ სააკაშვილი სარგებლობდეს ისეთი უფლებებით, რომლითაც არცერთი სხვა პატიმარი არ სარგებლობს!“**

— უკრაინულ პროპაგანდას რომ უგდო ყური, ახლა კრემლიც უნდა ჰქონდეთ აღებული, მაგრამ ერთია, რა ინფორმაციას გვაწვდის მედია, მეორეა რეალობა!

პირველ რიგში, გავიხსენოთ სერბეთის პრეზიდენტის **ალექსანდრ ვუჩიჩის** გამოსვლა გაეროს გენერალურ ასამბლეაზე, სადაც მან ნატო და დასავლეთი, შეერთებული შტატების მეთაურობით, ორმაგ სტანდარტებში დაადანაშაულა. გამომსვლელმა ისიც შეახსენა საზოგადოებას, რა დამართეს სერბეთს 1999 წელს, როცა ნატომ დაბომბვები გაეროს უშიშროების საბჭოს თანხმობის გარეშე განახორციელა. თუ ამ ისტორიულ პრეცედენტს არ გავითვალისწინებთ, რასაც უამრავი ადამიანის დაღუპვა და სუვერენული ქვეყნის დაშლა მოჰყვა და პარტიულ ტელევიზიებს ავყვებით, ნაციონალების ნება-სურვილს რომ ახმოვანებენ, ვერასოდეს გავუსწორებთ თვალს სიმართლეს.

**— და როგორია რეალობა?**

— დასავლეთმა კატასტროფული შეცდომა დაუშვა, როცა შუაგულ ევროპაში კოსოვოს დამოუკიდებლობა აღიარა. **ეს დაახლოებით იგივეა, მცხეთა-დიდგორში მუსლიმანური სახელმწიფო რომ აღიარონ!**

რა გამოდის, ის, რაც ნებადართული ყოფილა შუაგულ ევროპაში სერბეთისთვის, ძალიან ცუდია უკრაინისთვის?! **იქ პირდაპირ ნატო აწარმოებდა დაბომბვებს, უამრავი ადამიანი, მათ შორის, ბავშვი დაიღუპა, თუმცა, როგორც დღეს არავის ეცოდება ერაყის ტერიტორიაზე თურქების მიერ დახოცილი იეზიდი ბავშვები, ისევე არავის ანაღვლებდა სერბეთში დაღუპული პატარების სიცოცხლეც.**

გეკითხებით, თუ შეერთებულ შტატებს აქვს უფლება, იუგოსლავია რამდენიმე რესპუბლიკად დაშალოს, რატომ არა აქვს სხვა ქვეყნებს ამის უფლება, მითუმეტეს, თუ ძველი წესრიგი აღარ მოქმედებს?! რამდენიმე დღის წინათ რუმინეთის საგარეო საქმეთა ყოფილმა მინისტრმა პირდაპირ აღნიშნა — უკრაინა ვეღარ დარჩება იმ საზღვრებში, რომლებშიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იყოო. მკითხველს შევახსენებ, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ უკრაინას შეუერთდა რუმინეთის, უნგრეთის, პოლონეთისა და რუსეთის კუთვნილი ტერიტორიები. ასე რომ, გამოთქმა — **ვეღარ დარჩება თავის ძველ საზღვრებშიო** — იმას ნიშნავს, რომ ყველა თავ-თავის მიწას მოითხოვს.

პირდაპირ შეიძლება ითქვას, შეერთებული შტატების დამსახურებით, კოსოვოს მაგალითზე დაიწყო მეორე მსოფლიო ომის შემდგომ დამყარებული წესრიგის ნგრევა, რაზეც ჯერ კიდევ მაშინ აღნიშნა **ვლადიმერ პუტინმა** — პანდორას ყუთი გახსნესო.

**— მერე, ეს ამართლებს რუსეთს?**

— მე ხომ არცერთი სიტყვით არ გამიმართლებია რუსეთის მოქმედება?! ვამბობ იმას, რაც თქვა **ვუჩიჩმა — აღარ არსებობს საერთაშორისო სამართალი, მხოლოდ ძლიერის სამართალი მოქმედებს!** ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს იმას, რუსეთი სწორია თუ არა, აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ ჩვენს ტერიტორიაზე მას ორი რესპუბლიკა აქვს აღიარებული. კარგად დავაკვირდეთ რუკას, რუსეთი არის 145-მილიონიანი ქვეყანა, ჩვენ — 3-მილიონნახევრიანი, უკრაინაში კი 40-მილიონამდე მცხოვრებია... **ასეთ დროს ომში ჩაბმა იმისთვის, რომ ათიათას რუს ჯარისკაცს მოვაცდენთ და უკრაინა შვებას იგრძნობს, შიზოფრენიკის ბოდვა უფროა, ვიდრე სწორი პოლიტიკური ნაბიჯი.**

ნუ დაგვავიწყდება, იმ **პუტინზეა** საუბარი, რომელმაც ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ ერთ-ერთ ინტერვიუში ბირთვული იარაღის გასროლასთან დაკავშირებით აღნიშნა — **რაში მაინტერესებს მსოფლიო, რომელშიც რუსეთი აღარ იქნებაო.** მან, ფაქტობრივად, პირდაპირ თქვა, თუ მისი სახელმწიფოს ინტერესები მოითხოვს, უკან არაფერზე დაიხევს. ამასთან დაკავშირებით მედვედევსაც აქვს გაკეთებული განცხადება — ევროპელები იმ დღეს მოესწრებიან, როცა მაგათ ფეხქვეშ მიწა დაიწვება და ბეტონი გადნებაო! ბეტონი რისგანაც დნება, ყველამ კარგად ვიცით...

**— ანუ ატომური იარაღის გასროლისკენ მიდის საქმე?**

— შეშფოთება ატომური იარაღის გასროლაზე არის აბსოლუტურად საფუძვლიანი. ომი ახალ, სულ სხვა სტადიაში გადავიდა. რუსეთი აღარ მალავს, რომ უკრაინას კი არა, ნატოსა და შეერთებულ შტატებს ეომება.

**— ასეთ დროს როგორ უნდა მოიქცეს საქართველო — რუსეთიდან გამოქცეული ადამიანების დიდი არმია შეიფაროს თუ გადაკეტოს საზღვარი, როგორც ამას ხელისუფლებისგან ოპოზიციონერები მოითხოვენ?!**

— ოპოზიციამ კიდევ ერთი პუნქტი უნდა დაუმატოს თავის მოთხოვნებს — სამტრედიაში რკინიგზის გადაკეტვა! ასე უფრო ადვილად დამარცხდება რუსეთი... **ეს ხომ სრული სიბიუეა?! იმ ოპოზიციონერებმა, რომლებიც ამას მოითხოვენ, კარგად გაიხსენონ, 2008 წლის ომის შემდეგ უვიზო რეჟიმი ვინ დაუწესა რუსეთს?! მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს რუს ტურისტებს ლარსსა და ყაზბეგში ყვავილებით რომ ხვდებოდნენ, მაშინ არ იყო რუსეთი ოკუპანტი და დღეს არის? 2008 წელს იყვნენ ქვეყანაში შემოსაშვები და ახლა არა? როგორც უნდათ, ისე ჭრიან და კერავენ.**

**— სააკაშვილი ახსენეთ. მანაც გააკეთა ციხიდან კომენტარი — პუტინმა საკუთარი თავი ისევ ხაფანგში შეიყვანა, რეჟიმის დასასრული და რუსეთის დაშლა დააჩქარაო...**

— იუმორიც აღარ ჰქვია ამას, კაცი იმ ქვეყნის ციხეში ზის, რომლის პრეზიდენტიც იყო და სხვა ქვეყნის ლიდერზე ამბობს, ხაფანგში მოიქცია თავიო... ვისზეც ახლა ლაპარაკობს, ლანგრით მიართვა ტერიტორიების 20 პროცენტი, თუ მას დაავიწყდა, ხალხსა და ისტორიას ახსოვს ყველაფერი! თურმე, ავად არის, ფეხზე ვერ დგება და თან საერთაშორისო პოლიტიკას ალაგებს...

**— აქვე, როგორც ყოფილ სახალხო დამცველს, გკითხავთ — უნდა გადაიყვანონ თუ არა ექსპრეზიდენტი საზღვარგარეთ სამკურნალოდ?**

— ასეულობით უჩინო პატიმარი ციხიდანაც დამიხსნია, კლინიკებშიც გადამიყვანია და უკანონობის შემთხვევაში ბოლომდეც მიბრძოლია. დღესაც კი მახსენებენ თავს და მიხდიან მადლობას. სააკაშვილი იქნება თუ ნებისმიერი სხვა ვინმე, მისი უფლება დაცული უნდა იყოს, მაგრამ არ შეიძლება მიხეილ სააკაშვილი სარგებლობდეს ისეთი უფლებებით, რომლითაც არცერთი სხვა პატიმარი არ სარგებლობს! მერე რა, რომ პრეზიდენტი იყო. ეს მას პრივილეგიას არ ანიჭებს!

**— ომბუდსმენთან დაკავშირებით რას იტყვით, როგორ შეაფასებთ ძველს და რას იტყვით მომავალზე?**

— სამწუხაროდ, ომბუდსმენის ინსტიტუტის დისკრედიტაცია მოხდა, რაზეც განსაკუთრებულად მწყდება გული. დიდი ენერგია შევალიე ამ ინსტიტუტის ფეხზე დაყენებას. მეორე სახალხო დამცველი ვიყავი და ბევრმა რამ ჩემს მხრებზეც გადაიარა. დღეს ეს ინსტიტუტი ელიტარულ დამცველად არის გადაქცეული, რომელიც მხოლოდ გახმაურებული საქმის ფიგურანტებს, ექსპრეზიდენტებს ექომაგება. **არ მახსენდება არცერთი რიგითი უჩინო პატიმარი, რომლის უფლებების დარღვევაზეც სახალხო დამცველმა ხმა აიმაღლა.**

ნინოწმინდის პანსიონზე რომ ატყდა ერთი ამბავი, სპეციალურად დავინტერესდი სახალხო დამცველის ანგარიშით. მხოლოდ ერთი ძირითადი შენიშვნა ჰქონდათ — მოუწესრიგებელი დოკუმენტები. პარალელურად, პანდემიამდე ანალოგიური შემოწმება ჩაატარეს აჭარის მუსლიმანურ პანსიონში, სადაც ანტისანიტარიიდან დაწყებული, ვადაგასული პროდუქტების ჩათვლით უამრავი დარღვევა იყო აღმოჩენილი. როგორც დავინახეთ, თავდასხმები მხოლოდ მართლმადიდებლური ნინოწმინდის პანსიონზე მოხდა. ეს არის **ორმაგი სტანდარტი,** რაც აქაც ისევე დაუშვებელია, როგორც საერთაშორისო ურთიერთობებში!

**— ასე ფიქრობს ამერიკის საელჩო და ჩვენი ე.წ. ოპოზიცია, მეტიც, ამ ქვეყნის მნიშვნელოვან წარმატებად სწორედ ამ ინსტიტუტს ასახელებენ...**

— მოდით, ღიად და გახსნილად ვთქვათ. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა თავისი დაფინანსებით შექმნა რამდენიმე ძლიერი ენჯეო, რომელიც საქართველოს ხელისუფლებაში შესაყვანი კადრების სამჭედლოდ აქცია. ამ არასამთავრობოდან არის **ნინო ლომჯარიაც, ეკა ბიბაურიც** და სხვებიც. მათ ამერიკელები 20 წელია, აფინანსებენ.

ძალიან ცუდია, რომ ეს მხოლოდ ახლა დაინახა „ქართულმა ოცნებამ“ და 4 დეპუტატის პირით ახმოვანებს იმას, რა უბედურებებიც ამ ხნის განმავლობაში ხდებოდა. **სად იყვნენ მანამდე, როცა ამერიკის საელჩოს თავს მოხვეული კანდიდატურა ქვეყნისთვის საზიანო გადაწყვეტილებებს იღებდა?!**

ეს პოსტი, პირველ რიგში, ხალხს ეკუთვნის. ვფიქრობ, დღეს ყველაზე მეტად საზოგადოებამ უნდა აიმაღლოს ხმა და გამოიჩინოს არნახული სიფრთხილე. ხელოვნურად გაცოცხლებული ნაციონალური მოძრაობის ინტერესების გათვალისწინებით ეს ქვეყანა წინ ვერ წავა! ღვთის მადლით, ჯერ კიდევ არიან ქვეყანაში წესიერი და პატრიოტი ადამიანები!

ევროპა ისეთი პრობლემების წინაშე დგას, დამერწმუნეთ, ჩვენი 12-პუნქტიანი რეკომენდაცია ყველაზე ნაკლებად ადარდებთ. ეს ზამთარი ძალიან ბევრ რაღაცას შეცვლის! კიდევ ერთხელ ხაზგასმით მინდა, ვთქვა — **ჩვენთვის ახლა უმთავრესი ამ პატარა ქვეყნის გადარჩენაა!**

**— და მაინც, რაშია გადარჩენის ფორმულა — ევროპაში თუ რუსეთში?**

— ბოლო ათწლეულების ისტორიამ საქართველოში დაადასტურა, რომ ამ ქვეყნის გადარჩენა **სრულ ნეიტრალიტეტშია.** გაიხსენეთ, ყარაბაღის კონფლიქტი. მიუხედავად იმისა, რომ სომხებით და აზერბაიჯანელებით დასახლებული რეგიონები გვაქვს, ნეიტრალური პოზიციის წყალობით, ეს კონფლიქტი საქართველოში არ გადმოსულა. წლებია, ვამბობ და კიდევ ერთხელ გავიმეორებ — **სრული ნეიტრალიტეტი უნდა დავიცვათ, ეს არის ჩვენი ქვეყნის გადარჩენის ფორმულა!**

ხელისუფლებამ თებერვლიდან დაწყებული დღემდე სწორი ტაქტიკა აირჩია — არ ჩართო ქვეყანა ომში და არ შეუერთდა ტოტალურ სანქციებს. არც ამჯერად უნდა აჰყვეს პროვოკატორებს. რახან ამდენი ხანი გაუძლეს, იმედი მაქვს, ქვეყანაში მეორე ფრონტი აღარ გაიხსნება, ამას, პირველ რიგში, **ირაკლი ღარიბაშვილი** არ დაუშვებს!

*ესაუბრა*
***ნატო ფოცხიშვილი***

**„სრული ნეიტრალიტეტი – ეს არის ჩვენი ქვეყნის გადარჩენის ფორმულა!“**



**„შეშფოთება ატომური იარაღის გასროლაზე არის აბსოლუტურად საფუძვლიანი!“**

**„თუ შეერთებულ შტატებს აქვს უფლება, იუგოსლავია რამდენიმე რესპუბლიკად დაშალოს, რატომ არა აქვს სხვა ქვეყნებს ამის უფლება, მითუმეტეს, თუ ძველი წესრიგი აღარ მოქმედებს?!“**

# ვენეჩელისიმესი

№24-25 (148-149) ★ 2022 წლის 26 სექტემბერი ★ გამოდის 2003 წლიდან


**ღვთისმშობლობა დღეს პუტინის მიერ ხელმოწერილი ბრძანებით, მთელი რუსეთი ისე შეტორტმანდა, როგორც კონსტანტინოპოლის კედლები ტორტმანებდა 1453 წლის მაისში თურქთა შემოსევის დროს!**

# ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველო და ღვთისმშობლობას გამოცხადებული პუტინის მობილიზაცია



**ვიდრე ჰხვალ?! ★**

***21 სექტემბერს, ყოვლადწმინდა და მარადის ქალწული ღვთისმშობლის შობის დღეს, ვლადიმერ პუტინმა ხელი მოაწერა საგანგებო ბრძანებას რუსეთში ნაწილობრივი მობილიზაციის გამოცხადების შესახებ... კრემლის გეგმით, რუსეთის არმიას, რომელმაც უკანასკნელ ხანს უკრაინაში მძიმე დანაკარგი განიცადა, 300 ათასი მეომარი უნდა შეემატოს! ამ 300 ათას კაცში, ალბათ, არ იქნებიან კრემლის ბინადართა და რუს ოლიგარქთა შვილები, რომლებიც რუსეთში ისედაც არ ცხოვრობენ... ვერც საშუალო კლასის ბიზნესმენები და მათი ახლობლები მოხვდებიან მობილიზებულთა რიგებში, რადგან, ვისაც კი 2 ათასი დოლარი აქვს, სუყველა ან ბათუმში აპირებს ჩამოფრენას, ან — სომხეთში, ან შუა აზიის რესპუბლიკებსა და მონღოლეთში, რათა ომის ქარცეცხლსა და საშინელებას გაექცეს და მობილიზაციას თავი დააღწიოს.***

ერთი სიტყვით, **ღვთისმშობლობა** დღეს პუტინის მიერ ხელმოწერილი ბრძანებით, მთელი რუსეთი ისე შეტორტმანდა, როგორც კონსტანტინოპოლის კედლები ტორტმანებდა 1453 წლის მაისში თურქთა შემოსევის დროს...

მობილიზაცია, რომელიც რუსეთში გამოცხადდა, ემსახურება ერთადერთ მიზანს — **ღვთისმშობლის მადიდებელ ხალხებს შორის გახანგრძლივდეს ძმათამკვლელი ომი, რათა დაინგრეს, დანაფოტდეს და მიწასთან გასწორდეს ყველა ის სიკეთე, რაც უკრაინელებსა და რუსებს ღვთისმშობლისა და მართლმადიდებლობის სახელით ათასწლოვანი ისტორიის გზა-შარა**ზე არაერთხელ უკეთებიათ...

## რაოდენ დიდია ღვთის სხივმოსილება და საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების სიბრძნე, რომ მავანთა ჩხიკინისა და გაქეზების მიუხედავად, საქართველო უკრაინაში ადუღებულ კუპრში თავით არ ჩახტა და ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა საშვილთაშვილოდ არ გაიწირა.

**სტალინის 29-წლოვანი ტრიუმფალური მმართველობის ჟამს** ღვთისმშობლის სახელს ცოტა უფრო სხვა დატვირთვა ჰქონდა... **ბელადმა, რომელმაც გორისა და თბილისის სემინარიებში ბრწყინვალე სასულიერო განათლება მიიღო და დედაღვთისმშობლის ძალმოსილების შესახებ ზედმიწევნით იცოდა, 1941 წლის ოქტომბერში, როცა გერმანელები მოსკოვის მისადგომებთან დაძრწოდნენ, თვითმფრინავებით სწორედ ყაზანის ღვთისმშობლის ხატი შემოატარა მოსკოვსა და ლენინგრადს...** ამ ფაქტმა მთელი რუსეთის მოსახლეობაზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა და ხალხი ღვთისმშობლისა და სტალინის დროშით ფაშისტი დამპყრობლების წინააღმდეგ აღდგა. **ღვთისმშობლის სახელზე აღვლენილმა ლოცვამ** გადაარჩინა საცოდავი ქართველობა უცილობელ დაღუპვას 1256 წელს, ალამუთის ციხის ალყის დროს, როცა ასასინმა მკვლელმა **მონღოლთა ნოინი ჩაღათა** მძინარე მოკლა და ლელიანში მიიმალა, ხოლო მონღოლებმა მკვლელობა ქართველებს დააბრალეს!

დღევანდელი გადასახედიდან, როცა **პუტინის მიერ გამოცხადებულ მობილიზაციას** რუსები გაურბიან და ზოგი მონღოლეთს აფარებს თავს და ზოგი — საქართველოს, კიდევ ერთხელ დადასტურდა, **თუ რა დიდი იყო სტალინი...** გავიხსენოთ, რა შესაძლებლობები ჰქონდა ჰიტლერს 1941 წელს, როცა ის საბჭოთა კავშირს თავს დაესხა. **რომ არა ჰიტლერის საბედისწერო პოლიტიკური შეცდომა, როცა მან 1941 წლის 19 ივლისს სმოლენსკთან მისული გერმანული არმადა უკან შემოატრიალა და კიევისკენ დაძრა, დიდი იყო იმის ალბათობა, რომ აგვისტო-სექტემბერში ფაშისტებს მოსკოვი აეღოთ, რაც უდიდესი პოლიტიკური გამარჯვება იქნებოდა და ომის მსვლელობაზე უსათუოდ გავლენას იქონიებდა.**

მიუხედავად იმისა, რომ 1941 წლის ზაფხულის მდგომარეობით ჰიტლერს დაახლოებით 3 მილიონამდე საბჭოთა ჯარისკაცი ჰყავდა დატყვევებული და ალაფის სახით იმაზე მეტი საბჭოთა ტანკს ფლობდა, ვიდრე სტალინი, საბჭოთა სამხედრო კომისარიატებში ახალგაზრდების რიგები იდგა! **სამობილიზაციო შტაბები მოხალისეებს ვერ აუდიოდნენ... კომისარიატები რომ უარს ეუბნებოდნენ, 15-16 წლის ბიჭები ომში მიიპარებოდნენ, პარტიზანთა რიგებში წევრიანდებოდნენ და მტერს სისხლს უშრობდნენ.**

## სტალინის მიერ გამოცხადებულ მობილიზაციას

*გაგრძელება მე-2 გვერდზე*



# УКАЗ

ПРЕЗИДЕНТА РОССИЙСКОЙ ФЕДЕРАЦИИ

**Об объявлении частичной мобилизации в Российской Федерации**

В соответствии с федеральными законами от 31 мая 1996 г. № 61-ФЗ "Об обороне", от 26 февраля 1997 г. № 31-ФЗ "О мобилизационной подготовке и мобилизации в Российской Федерации" и от 28 марта 1998 г. № 53-ФЗ "О воинской обязанности и военной службе" п о с т а н о в л я ю:

1. Объявить с 21 сентября 2022 г. в Российской Федерации частичную мобилизацию.

2. Осуществить призыв граждан Российской Федерации на военную службу по мобилизации в Вооруженные Силы Российской Федерации. Граждане Российской Федерации, призванные на военную службу по мобилизации, имеют статус военнослужащих, проходящих военную службу в Вооруженных Силах Российской Федерации по контракту.

3. Установить, что уровень денежного содержания граждан Российской Федерации, призванных на военную службу по мобилизации в Вооруженные Силы Российской Федерации, соответствует уровню денежного содержания военнослужащих, проходящих военную службу в Вооруженных Силах Российской Федерации по контракту.

4. Контракты о прохождении военной службы, заключенные военнослужащими, продолжают свое действие до окончания периода частичной мобилизации, за исключением случаев увольнения военнослужащих с военной службы по основаниям, установленным настоящим Указом.

2 100068 23976 8

## ბიზანტია საქართველოსთვის რუსეთზე უფრო ტკბილი მეზობელი არ ყოფილა, პირიქით, რუსეთზე უფრო მტაცებელი და აგრესიული იყო, მაგრამ მისმა დაცემამ საქართველოც დასცა!

*დასაწყისი პირველ გვერდზე*

# ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველო და ღვთისმშობლობას გამოცხადებული პუტინის მობილიზაცია



რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი და თავდაცვის მინისტრი სერგეი შოიგუ

**ვერავინ დაემალებოდა, რადგან უმაღლესი მთავარსარდალი და მომავალი გენერალისიმუსი, რომელიც, ფაქტობრივად, მთელი ევროპის შემოტევას მარტოდმარტო იგერიებდა, პირადი ცხოვრებით იძლეოდა მაგალითს, რომ სამშობლოს დაცვა ყველას წმიდათაწმიდა ვალი იყო!**

სტალინის ორივე ვაჟიშვილი ფრონტზე იბრძოდა... უფროსი — **იაკობი,** დიდი ალბათობით, 1941 წლის 17 ივლისს ბელორუსიაში დაიღუპა, ხოლო უმცროსი — **ვასილი,** რომელსაც სულძაღლმა ხრუშჩოვმა გვარის ტარებაც კი აუკრძალა, როგორც ცნობილია, **ესტატე ტატანაშვილთან** ერთად ხშირად დაფრინავდა ლენინგრადის ცაზე და მტერს მუსრს ავლებდა. **გენერალი იყო თუ მარშალი, მინისტრი იყო თუ ადმირალი, ექიმი თუ კოლმეურნე, ყველას შვილი ფრონტზე იბრძოდა. ამდენად, მოსახლეობასაც ისღა დარჩენოდა, მიებაძა ხელისუფალთა მაგალითისთვის და შვილები კი არ გადაემალათ, არამედ სამშობლოს დასაცავად ფრონტზე გაეგზავნათ!**

ამ ყველაფრის ორგანიზება და ამდენი ეროვნების ადამიანის ერთი დროშის ქვეშ გაერთიანება, პრაქტიკულად, იყო **სასწაული, რომელიც სტალინმა მოახდინა.** სხვათაშორის, როცა ჰიტლერმა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომი დაიწყო, ფიურერს დიდი იმედი ჰქონდა, რომ პირველივე წინააღმდეგობა მრავალეროვან წითელ არმიას დაშლიდა, არევდა და აჭრიდა. მოხდა პირიქით — **სტალინისა და ბერიას უმტკიცესი ხელის წყალობით, ქართველი, რუსი, ტაჯიკი, უკრაინელი, ყაზახი თუ თურქმენი სანგარში ერთად ისხდნენ და ერთმანეთის გადასარჩენად თავს წირავდნენ...**

**სტალინს მცირერიცხოვანი აფსუები ომში არ გაუწვევია, მაგრამ ვლადიმერ პუტინის მიერ ღვთისმშობლობას ხელმოწერილი ბრძანება და ის ხმები, რომელიც აფხაზეთიდან და ცხინვალიდან ისმის, იმის უტყუარი მანიშნებელია, რომ აფსუებსაც და ოსებსაც მოუწევთ უკრაინაში ომი.**

სხვანაირად არ გამოვა, რადგან დღეს ისინი დაპყრობილი არიან და უნდათ თუ არა, სამხედრო ბეგარა უნდა გადაიხადონ! **ასეთ სამხედრო ბეგარას იხდიდნენ ოსები, ჩერქეზები, ხაზარები, ვოლგისპირელი თათრები და სომხები მაშინ, როცა 1380 წლის 8 სექტემბერს კულიკოვოს ბრძოლაში მამაი ყაენის ლაშქარში იბრძოდნენ და ეთნიკურ მონღოლებთან ერთად რუსების სისხლს ღვრიდნენ.**

ამაოდ აფრთხილებდა დიდი ქართველი პოეტი **მურმან ლებანიძე** ოსებს — **ვოლგის ტალღები წაგიღებთ, ხოლო ჩემი ლიახვი არას გერჩითო!** ამ გაფრთხილება-შეგონებიდან არა გამოვიდა რა! საქმე ის გახლავთ, რომ, როგორც წესი, მონღოლების შემოსევიდან მოყოლებული, როცა საქართველოს განსაკუთრებით უჭირდა, ოსები ქართულ სახელმწიფოებრიობას ყოველთვის ხანჯალს ჩასცემდნენ-ხოლმე. **თუნდაც მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ 1918-1921 წლებში, საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დროს, ოსებმა, რომლებიც პირადად ლენინისა და შაუმიანის ინსტრუქციებით მოქმედებდნენ, საქართველოში სამჯერ მოაწყვეს აჯანყება.** აჯანყების ერთ-ერთ მოთავეს — ბოლშევიკ **ლადო სანაკოევსა** და სხვა ბანდიტებს ვერაფერი რომ ვერ მოუხერხეს, **ვალიკო ჯუღელმა** ცხინვალში გვარდია შეიყვანა და იქაურობა საქართველოს მტრებისგან გაწმინდა...

ასე რომ, **უახლოეს მომავალში ცხინვალსა და სოხუმში უკრაინიდან შტაბელებად დაწყობილი ოსებისა და აფსუების გვამები აუცილებლად ჩამოვა, რაც პირადად მე სულაც არ მახარებს, რადგან ის ადამიანები, რომლებსაც დამოუკიდებელი საქართველო უნდა აეშენებინათ, სამარეში მიჰყვებიან რუსეთს, რომლის ინტერესების დაცვაზეც თვით რუსებიც კი უარს ამბობენ და ქვეყნიდან მიიპარებიან!**

## ვიდრე ჰხვალ?! ★

თუ კარგად დავაკვირდებით, რაც ხდება, ეს ყველაფერი **ოსებისა და აფსუების ტრაგედიაა!** აღარაფერს ვამბობთ იმის შესახებ, რომ

**უკიდურესად ტრაგიკულ სიტუაციაში არიან როგორც რუსები, ისე უკრაინელებიც, რადგან ეს ომი იმისთვის არ დაწყებულა, რომ რუსეთმა ან უკრაინამ გაიმარჯვოს! პირიქით, ეს ომი გაჩაღდა ამ ორი ხალხის დასამარცხებლად, რათა შუა ევროპაშიც შეიქმნას ორი კორეა, რომლებიც არასოდეს შერიგდებიან.**

რაც ყველაზე მთავარია, ომი უკრაინაში დაიწყო არა 2022 წლის 24 თებერვალს, არამედ 2014 წლის შემოდგომაზე, როცა მეიდანზე თავშეყრილ შეიარაღებულ გადამტრიალებლებს ამერიკელი ემისრები ფუნთუშებსა და ცხელ ყავას ურიგებდნენ და აგულიანებდნენ, ხოლო კიევში ჩათესლებული და ნატოს მიერ გაწვრთნილი სააკაშვილის სნაიპერები ხალხს უმისამართოდ ხოცავდნენ და ამით ცეცხლზე ნავთს ასხამდნენ.

**უკრაინის ომი დღეს ისეთ ფაზაში შევიდა, რომ დასავლეთის ქვეყნებს რუსეთის დაშლის ცდუნება უჩნდებათ... პუტინი ამ საფრთხეს გრძნობს და ატომური იარაღის გამოყენებით იმიტომაც იმუქრება. რუსეთის დაშლის პერსპექტივა ჩვენში, ალბათ, ბევრს სიხარულს მოჰგვრის და გაიფიქრებს, რომ რუსეთის დანგრევისა და დაქუცმაცების შემთხვევაში საქართველოს გაერთიანებას წინ ვერაფერი დაუდგება. მაგრამ ასეთებს შევახსენებთ პოლიტიკურ პროცესთა იმ საბედისწერო განვითარების პრეცედენტს, რომელიც ბიზანტიის იმპერიის დაშლას მოჰყვა.** ბიზანტია საქართველოსთვის რუსეთზე უფრო ტკბილი მეზობელი არ ყოფილა, პირიქით, რუსეთზე უფრო მტაცებელი და აგრესიული იყო, მაგრამ მისმა დაცემამ საქართველოც დასცა! **ბიზანტია აფინანსებდა და აქეზებდა ქართველ სეპარატისტებს, საქართველოს ერთიანობას ძირს უთხრიდა. განსაკუთრებით დიდი იყო ბიზანტიის გავლენა საქართველოს ეკლესიაში, სადაც მიზანმიმართულად აწინაურებდნენ და გზას უკაფავდნენ მამათმავლებს, მექრთამეებს და სხვა უმძიმეს დანაშაულებში კომპრომეტირებულ პირებს.** რუის-ურბნისის საეკლესიო კრებაზე **დავით აღმაშენებელმა** სწორედ ის სოდომისტები და გარეწრები მოაშთო, რომლებიც ბიზანტიელმა მსტოვრებმა საქართველოს ეკლესიაში ჩანერგეს... **თუ რუსეთი აფხაზეთსა და ცხინვალს გვძიძგნის, ბიზანტია იმიერტაოსა და ბასიანს გადაღმა ქვეყნებს გვედავებოდა, რასაც 1021 წელს საქართველო-ბიზანტიას შორის დღევანდელი ჩილდირის ტბის მახლობლად, სოფელ შირიმნთან, გიორგი პირველსა და ბასილი კეისარს შორის დიდი ომი მოჰყვა.**

აღარ გავიხსენებთ ე.წ. „დიდ ომიანობას ეგრისში", როცა 554 წელს მდინარე ხობისწყლის პირას ბიზანტიელმა სარდლებმა — **რუსტიკემ** და სხვებმა ქართველებს **მეფე გუბაზ მეორე** მოგვიკლეს!

რაც ყველაზე მთავარია, **ბიზანტია მიზანმიმართულად იბრძოდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მოსასპობად და მცხეთის საკათალიკოსო ტახტის ჩასაყლაპად, მაგრამ 1057 წელს ანტიოქიაში გამართული ცნობილი დისპუტის დროს, როცა დიდმა გიორგი მთაწმინდელმა ბრწყინვალედ დაიცვა საქართველოს ეკლესიის პოზიციები და ბერძნები ფრიად უხერხულ სიტუაციაში ჩააყენა, ამ თემით მანიპულირება ბიზანტიამ ერთხელ და სამუდამოდ შეწყვიტა.** ერთი სიტყვით, ბიზანტიაც ძალიან რთული და აგრესიული მეზობელი იყო, მაგრამ **1453 წლის 29 მაისის შემდეგ, როცა თურქებმა კონსტანტინოპოლი აიღეს, საქართველოსთვის მზე დაბნელდა! სწორედ ასე აფასებს ქართველი მეისტორიე ამ ფაქტს და არც ცდება...**

**ისე არ გამოვიდეს, რომ რუსეთის დაშლით ჩრდილოეთ კავკასიაშიც თურქეთი მივიღოთ! ფიქრობს ვინმე, რა შედეგები შეიძლება მოუტანოს ამან საქართველოს?**

ვიფიქროთ ამაზე...

**ნუ გვგონია შემთხვევითი ის ამბავი, რომ მაშინ, როცა ჩვენ გარშემო ყველაფერს ცეცხლი უკიდია, ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველო მზის ამოსვლას მშვიდობით ხვდება!**

*დიტო ჩუბინიძე*



კიევი. 2014 წელი. აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწე ვიქტორია ნულანდი ფუნთუშებს ურიგებს ე.წ. ევრომაიდნის მონაწილეებს

**ომი უკრაინაში დაიწყო არა 2022 წლის 24 თებერვალს, არამედ 2014 წლის შემოდგომაზე, როცა მეიდანზე თავშეყრილ შეიარაღებულ გადამტრიალებლებს ამერიკელი ემისრები ფუნთუშებსა და ცხელ ყავას ურიგებდნენ და აგულიანებდნენ!**

## გთხოვთ, დაწვრილებით გვიამბოთ ნიკიტა ხრუშჩოვის ოჯახზე, მის ვაჟიშვილებზე, რომელთაგან ერთი დახვრიტეს, მეორე კი ამერიკაში დასახლდა

**ნიკიტა ხრუშჩოვს** ორი ცოლი ჰყავდა. პირველთან — **ეფროსინია პისარევასთან** (გარდაიცვალა 1918 წელს) მას ორი შვილი ეყოლა — ვაჟი **ლეონიდი** და ქალიშვილი **იულია.** იგი კიევის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ქიმიკოს-ლაბორანტად მუშაობდა, გარდაიცვალა 1981 წელს, შვილები არ ჰყოლია. **ლეონიდი** მფრინავი იყო. ომის დასაწყისში მეგობრებთან ერთად ლოთობისას მას შემთხვევით ოფიცერი შემოაკვდა. ამ ამბავს თავის მოგონებებში თვითმხილველი, **ანასტას მიქოიანის ვაჟი,** თავადაც მფრინავი **ალექსეი მიქოიანი** ყვება. მაშინ ხრუშჩოვმა შეძლო შვილის გადარჩენა და საქმე ლეონიდის საჯარიმო ბატალიონში გაგზავნით შემოიფარგლა. გარკვეული ხნის შემდეგ კი ის შეიწყალეს, წოდება აღუდგინეს და ავიაციაში დააბრუნეს. მაგრამ მისი თვითმფრინავი გერმანელებმა ფრონტის ხაზზე ჩამოაგდეს, ლეონიდი ტყვედ ჩავარდა და, როგორც


სერგეი ხრუშჩოვი. 1935-2020

ფაშისტური პროკლამაციები იუწყებოდა, ჰიტლერთან სამსახურის მზადყოფნა გამოთქვა.

სტალინის პირადი ბრძანებით, **არმიის კონტრდაზვერვის** (სმერშის) **თანამშრომლებმა ლეონიდ ხრუშჩოვი გამოიტაცეს, ტრიბუნალმა მას სიკვდილი მიუსაჯა და ხრუშჩოვის ხვეწნა-მუდარის მიუხედავად** (ამბობენ, რომ ის სტალინის წინაშე მუხლებზეც კი ხოხავდა), **1943 წელს დახვრიტეს კიდეც.** იქნებ სწორედ აქ უნდა ვეძიოთ სტალინისადმი ხრუშჩოვის მძაფრი სიძულვილის სათავეები?

მეორედ ნიკიტა ხრუშჩოვი **ნინა კუხარჩუკზე** დაქორწინდა (გარდაიცვალა 1984 წელს). მათ სამი შვილი ეყოლათ: **რადა** (1929 წელს), **სერგეი** (1935 წელს) და **ელენა** (1937 წელს). რადა შემდგომში ცოლად გაჰყვა **ალექსეი აჯუბეის** (50-60-იან წლებში გაზეთ „იზვესტიის" რედაქტორი). მათი შვილების და შვილიშვილების უმრავლესობა ამჟამად ლონდონში ცხოვრობს, სწავლობს და მუშაობს.

**სერგეი ხრუშჩოვმა,** ავტორმა ცნობილი მოგონებებისა **„საკავშირო მნიშვნელობის პენსიონერი",** მოსკოვის ენერგეტიკული ინსტიტუტი დაამთავრა, მამამისის დახმარებით სადოქტორო დისერტაციაც დაიცვა და ნიკიტას მმართველობის წლებში ჯერ სარაკეტო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, შემდეგ კი სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ელექტრონმაშის" გენერალური დირექტორის მოადგილე გახდა. 90-იანი წლებიდან ცხოვრობდა და მოღვაწეობდა აშშ-ში, სადაც 2020 წელს გარდაიცვალა 84 წლის ასაკში. მისი ფერფლი კრემაციის შემდეგ დაფლულია მოსკოვში, ნოვოდევიჩის სასაფლაოზე, მამის გვერდით.


ნიკიტა ხრუშჩოვი ოჯახთან ერთად



## არსებობს ვერსია, რომ ბერია 1953 წლის ზაფხულში არ დაუღუპულა, გაქცევა მოახერხა და ბუენოს-აირესში დამკვიდრდა. ამაზე მისი შვილის სერგო ბერიას წიგნშიც კია საუბარი. რამდენად შეიძლება ამ ვერსიის ნდობა?

სრულ სიმართლეს ბრძანებთ. **სერგო ბერია** წიგნში **„მამაჩემი ლავრენტი ბერია"** მართლაც ყვება, რომ სვერდლოვსკში გადასახლებაში ყოფნისას საფოსტო ყუთში ჟურნალი „ვოკრუგ სვეტა" აღმოაჩინა, გადაფურცლა და ერთ-ერთ გვერდზე მამამისის ფოტო იხილა. სერგო ბერია წერს: **„ფოტოზე ასახული იყო 23 დეკემბერს დახვრეტილი (?!) ლავრენტი ბერია, რომელიც ბანოვანთან ხელკავგაყრილი მისეირნობდა ბუენოს-აირესში მაისის მოედანზე, პრეზიდენტის სასახლის წინ. ფოტოგრაფია 1958 წლით იყო დათარიღებული. დედამაც იცნო ამ ფოტოზე მამა და შოკში ჩავარდა. ეს გამოცანა დღემდე, ათწლეულების შემდეგაც მაწვალებს".**

სერგო ბერია დიდხანს ცდილობდა, გაერკვია, როგორ მოხვდა სურათი ჟურნალში, შეხვდროდა ფოტოგრაფს, მაგრამ ვერაფერი გააწყო.

მოდით, ვიმსჯელოთ, რა იყო ეს — გამოცანა თუ პროვოკაცია? **სერგო ბერია თავადაც ეჭვობდა, რომ ჟურნალში გამოქვეყნებული ფოტო ფალსიფიკაცია გახლდათ. თანაც, იმავე პერიოდში დედა-შვილმა სვერდლოვსკში ანონიმური წერილი მიიღო, რომელიც იუწყებოდა: „ანაკლიაში, ზღვის ნაპირზე დაგელოდებათ კაცი მამათქვენზე მნიშვნელოვანი ინფორმაციით".** ვგონებ, ეჭვს აღარ უნდა იწვევდეს, რომ ეს ყველაფერი კარგად მოფიქრებული პროვოკაცია იყო. **„ქალაქიდან გასვლა აკრძალული გვქონდა, მაგრამ დედამ ქარხანაში საავადმყოფო ფურცელი გააფორმა, მე კი საქართველოში არალეგალურად გადაფრენა მოვუხერხე. რამდენიმე დღე დადიოდა მითითებულ ადგილზე, მაგრამ იქ არავინ მოსულა",** — წერს სერგო ბერია.

ჩვენი აზრით, ჟურნალში გამოქვეყნებული ფოტოც და ანონიმური წერილიც ხრუშჩოვის ხელისუფლებას იმისთვის დასჭირდა, რომ **ნინა თეიმურაზის ასული** და მისი ვაჟი გადასახლებიდან გაქცეულიყვნენ ან რაიმე სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედება ჩაედინათ. **ანაკლიაში ნინა ბერიას გადაფრენა კი პროვოკატორებს ან მხედველობიდან გამორჩათ, ან ადრინდელი გეგმები შეეცვალათ.**

ყოველ შემთხვევაში, ჟურნალში მოთავსებული ფოტო ნამდვილად მონტაჟია ისეთი მნიშვნელობის ფიგურისათვის, როგორიც **ლავრენტი ბერა** გახლდათ, საბჭოთა კავშირიდან გაქცევა სასწაულს უდრიდა. და თუ ეს მაინც მოხერხდებოდა, იგი უთუოდ შეძლებდა თავისიანებისთვის ხმის მიწვდენას, ან ეს ფაქტი სხვა წყაროებიდან გახდებოდა ცნობილი.

## მართალია, რომ სტალინის უმცროს ვაჟს – ვასილის ცოლებისა და საყვარლების მთელი ჰარამხანა ჰყავდა?

**ვასილი სტალინს,** ფაქტობრივად, ოფიციალურად მხოლოდ ერთი ცოლი ჰყავდა — **გალინა ალექსანდრეს ასული ბურდონსკაია,** ჩეკისტის ქალიშვილი. ყველა დანარჩენი ქორწინება ვასილიმ მასთან გაყრის გარეშე გააფორმა. **გალინა ბურდონსკაია** 1921 წელს დაიბადა, იგი ვასილის ტოლი იყო. მათ 1940 წელს იქორწინეს და 1944 წლამდე ერთად ცხოვრობდნენ. ამ ქორწინებიდან ვასილის ორი შვილი ჰყავდა: **ალექსანდრე ბურდონსკი** (დაიბადა 1941 წელს), რუსეთის არმიის თეატრის რეჟისორი და **ნადეჟდა სტალინა** (1943-1995 წ.წ.), რომელიც მწერალ **ალექსანდრე ფადეევის ვაჟის,** „მხატ"-ის მსახიობ **მიხეილ ფადეევის** მეუღლე გახლდათ.

1944 წელს, **გალინა ბურდონსკაიასთან** განქორწინების გარეშე, **ვასილი სტალინმა** ცოლად შეირთო მარშალ ტიმოშენკოს ქალიშვილი **ეკატერინე სემიონის ასული** და მასთანაც ორი შვილი ეყოლა: ვასილი (1945-1964 წ.წ.) და სვეტლანა (1949-1989 წ.წ.). თავად ეკატერინე 1988 წელს გარდაიცვალა.

ასევე უკანონოდ დაქორწინდა **ვასილი** 1949 წელს ცნობილ სპორტსმენზე, ცურვაში საბჭოთა კავშირის ჩემპიონ **კაპიტოლინა გიორგის ასულ ვასილევაზე.** ცოლ-ქმარს საკუთარი შვილები არ ჰყოლიათ. ვასილიმ იშვილა ვასილევას ქალიშვილი პირველი ქორწინებიდან (დაიბადა 1942 წელს) და მას ჯუღაშვილის გვარი მისცა.

ამას გარდა, ყაზანში გადასახლებაში ყოფნისას ვასილიზე მიმაგრებულმა (როგორც ჩანს, „კგბ"-დან) მედდამ **მარია ნუსბერგმა** როგორღაც მოახერხა მასთან ქორწინების გაფორმება და ჯუღაშვილის გვარზე მხოლოდ თვითონ კი არ გადავიდა, პირველი ქორწინებიდან სამი ქალიშვილიც გადაიყვანა.



ამგვარად, ავანტიურისტი (და, შესაძლოა, ჩეკისტი) **ნუსბერგის** ჩათვლითაც კი **ვასილი სტალინს** ოთხი ცოლი ჰყავდა და არა — ჰარამხანა. ალ. ბურდონსკის თქმით, ვასილის სიცოცხლის ბოლომდე თავისი პირველი ცოლი უყვარდა, თუმცა, ყველაზე მეტი ყურადღება პატიმრობისას მის მიმართ **კაპიტოლინა ვასილევამ** გამოამჟღავნა.

რაც შეეხება **ვასილი სტალინის** სასიყვარულო თავგადასავლებს, ასეთი მართლაც მრავლად იყო. ქალებს ძალიან მოსწონდათ იგი. მხოლოდ ერთ მაგალითს მოგიყვანთ. 1942 წელს ვასილიმ ცნობილი კინორეჟისორის **რომან კარმენის** ცოლი, ულამაზესი **ნინა ორლოვა** მოხიბლა, ქმარი მიატოვებინა და მასთან ერთად რამდენიმე კვირა საკუთარ აგარაკზე გაატარა. **რომან კარმენმა** იოსებ სტალინის სახელზე საჩივარი დაწერა, რომელზეც ბელადმა შემდეგი რეზოლუცია დაადო: **„დაუბრუნეთ ეგ სულელი ქალი კარმენს. პოლკოვნიკი სტალინი კი 15 დღით დააპატიმრეთ. ი. სტ."** ასე გადაურჩა დანგრევას კარმენების ოჯახი.

## ცნობილია, რომ ჰიტლერი ვეგეტარიანელი იყო, არც სვამდა და არც ეწეოდა. ლენინიც არ სწყალობდა სასმელს და თამბაქოს. რაც შეეხება სტალინს, მას უხვი სადილები უყვარდა, უარს არ ამბობდა სასმელზე და მთელი ცხოვრება ეწეოდა. რომელ სამზარეულოს, ღვინოებსა და თამბაქოს ანიჭებდა ბელადი უპირატესობას?

**ჰიტლერი** მართლაც ვეგეტარიანელი იყო. ხორცი მან ადრეულ ახალგაზრდობაშივე აიკვეთა, როდესაც ვარშავაში შემთხვევით სასაკლაოზე მოხვდა და საკუთარი თვალით უყურა პირუტყვის ტანჯვას, თუმცა, ამას მისთვის ხელი არ შეუშლია, მსოფლიო სასაკლაო მოეწყო და მილიონობით უდანაშაულო ადამიანი გაენადგურებინა. მან მოწევასაც ადრევე დაანება თავი, რადგან მატერიალურად ძალიან უჭირდა და გადაწყვიტა, როგორც თვითონვე წერს „მაინ კამპფში", სიგარეტის მაგივრად ფული საჭმელზე დაეხარჯა.




ლენინი არ ეწეოდა, სასმელებიდან კი მხოლოდ ლუდს (უპირატესად — ბავარიულს) სწყალობდა.

რაც შეეხება სტალინს, მას მართლაც უყვარდა უხვი სადილების მოწყობა და მუდამ გაფაციცებით ზრუნავდა სტუმრების დანაყრებაზე, თვითონ კი ფრიად ზომიერად იკვებებოდა. უპირატესობას ქართულ სამზარეულოს ანიჭებდა. **მოლოტოვი** მოუთხრობდა მწერალ ფელიქს ჩუევს, რომ გადასახლებისას სტალინი ციმბირულ კერძებსაც შეეჩვია, განსაკუთრებით უყვარდა იქაური თევზი ნელმა, რომელიც გაყინული უმად იჭმებოდა.

სტალინი სმითაც ცოტას სვამდა, თანაც ღვინოს წყლით აზავებდა. მოლოტოვი სტალინის საყვარელ ღვინოებსაც ასახელებს:

> **„სადილს შამპანურით იწყებდა ხოლმე. სვამდა „ქინძმარაულს", „ხვანჭკარას", „ოჯალეშს", ძირითადად, წითელ ღვინოებს. კონიაკიც უყვარდა, მაგრამ იმასაც ცოტას გეახლებოდათ".**

საინტერესო ამბავს იხსენებს თავის მოგონებებში გენერალი **შტემენკო.** ერთ-ერთ სადილზე სუფრასთან იგი ბელადის გვერდით მოხვდა. სტალინს წინ ბროლის გრაფინი ედგა, საიდანაც დროდადრო სასმისს ივსებდა. სუფრას არანაირი სასმელი არ აკლდა, მაგრამ შტემენკომ იფიქრა, რომ გრაფინში რაღაც განსაკუთრებული, უიშვიათესი არაყი ესხა. როდესაც ბელადი გვერდით მჯდომ სტუმარს გაესაუბრა, შტემენკომ დრო იხელთა, სტალინის გრაფინიდან ჭიქა შეივსო და სულმოუთქმელად გადაჰკრა. ეს ჩვეულებრივი ცივი წყალი აღმოჩნდა. საუბრის დამთავრების შემდეგ სტალინი მოუტრიალდა შტემენკოს და ღიმილით ჰკითხა: **„რაო, მაგარი იყო?"** სტალინი უპირატესობას **„ჰერცეგოვინა ფლორის"** თამბაქოს ანიჭებდა. იგი ხან პაპიროსს ეწეოდა, ხან კი ამტვრევდა და თამბაქოთი ინგლისურ „დანჰილის" ფირმის ჩიბუხს ტენიდა. ხალხში ბელადი უფრო ხშირად ჩიბუხს ეწეოდა.

გარდაცვალებამდე მცირე ხნით ადრე სტალინმა მოწევას თავი დაანება და, სვეტლანა ალილუევას მოწმობით, ამით უფრო ამაყობდა, ვიდრე გერმანიაზე გამარჯვებით.

# რისთვის ჩაიყვანა პრეზიდენტმა დუაიტ ეიზენჰაუერმა ნიკიტა ხრუშჩოვი ამერიკაში?

დასაწყისი იხ. „გენერალისიმუსი“ №10-23

***პროფესორი სვიმონ მასხარაშვილი, რომელიც 1959 წლის სექტემბერში ამერიკაში ნიკიტა ხრუშჩოვის ვიზიტს აღწერს, აცხადებს, რომ ექსცენტრული საბჭოთა ლიდერის შტატებში ჩასვლის შემდეგ ორი სუპერსახელმწიფოს ურთიერთობაში ნამდვილი გარდატეხა მოხდა და ამერიკის მოსახლეობის თვალში ერთბაშად დაიმსხვრა მითები საბჭოეთის შესახებ.***



**ისტორიკოსის თვალით ★**



დუაიტ ეიზენჰაუერი და ნიკიტა ხრუშჩოვი

## სვიმონ მასხარაშვილი:

## მთელი ამერიკა დადუმებული მიშტერებოდა ამ ღიპიან კაცს, რომლისგანაც მესამე მსოფლიო ომის გაჩაღებასა და ატომურ დაბომბვას ელოდნენ!

— 1959 წლის 15 სექტემბერს პრეზიდენტ **დუაიტ ეიზენჰაუერის** მიწვევით **ნიკიტა ხრუშჩოვი** ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩაფრინდა, სადაც 27 სექტემბრამდე დაყო... ვიდრე ხრუშჩოვს მოსკოვში ოფიციალურ მიწვევას გადასცემდნენ, მანამდე ამერიკის პრეზიდენტმა განცხადება გააკეთა — **ჩამოვიდეს და შევხვდეთ, ნახოს, რა ხდება ამერიკაშიო!** ამ ყველაფრის წინაპირობა გახლდათ 1955 წელს ნიკიტა ხრუშჩოვის მიერ თითქოსდა დასავლეთის სახელმწიფოთა ელჩებთან გაკეთებული განცხადება — **„ჩვენ თქვენ დაგასამარებთ, რადგან რამდენიმე წელიწადში სოციალისტური სისტემა კაპიტალისტურ სისტემაზე გაიმარჯვებს!“** ეს იყო მარქსის ცნობილი ფრაზის ინტერპრეტაცია... ხრუშჩოვის ამ სიტყვებში რაღაცები შეცვალეს და მაგალითად, **„დაგასამარეს“** ნაცვლად დაწერეს **„დაგმარხავთ“...** მერე ესეც გადააკეთეს და გამოიყვანეს **„დაგხოცავთ“...** მოკლედ, გასაგები მიზეზების გამო დასავლურმა პრესამ ხრუშჩოვის დემონიზაცია იმთავითვე მოახდინა, მაგრამ, თუ კარგად დავაკვირდებით, ეიზენჰაუერის მიერ ამერიკაში ხრუშჩოვის მიწვევა სინამდვილეში ემსახურებოდა არა ამ გამოთქმაზე კომენტარის გაკეთებას, არამედ ნიკიტას დამცირებასა და აბუჩად აგდებას! ეს გამოჩნდა პირველივე პრესკონფერენციაზე, რომელიც შეერთებულ შტატებში ხრუშჩოვის ჩასვლისთანავე გაიმართა.

ამერიკულმა პროპაგანდამ თავიდან ისე აღიქვა, რომ თითქოს **პრეზიდენტი ეიზენჰაუერი** მიზნად ისახავდა ამერიკის ძლევამოსილების წარმოჩენას და ამ ყველაფრით ხრუშჩოვის მონუსხვას, მაგრამ სინამდვილეში ეიზენჰაუერმა მთელ მსოფლიოს დაანახვა, რომ ხრუშჩოვი იყო სულელი, ღიპიანი მასხარა და, აქედან გამომდინარე, შეუძლებელი იყო, ამერიკელ ხალხს ამ მასხარის შინებოდა.

**— ბატონო სვიმონ, 1959 წელს ხრუშჩოვის ამერიკაში ვიზიტი იმავე წელს კუბის გაწითლებასთან თუ იყო კავშირში?**

— არანაირად! ხაზგასმით ვაცხადებ, რომ ხრუშჩოვი ამერიკაში ჩავიდა პრეზიდენტ ეიზენჰაუერის მიწვევით, ხოლო **ფიდელ კასტროს** 1960 წლის სექტემბრამდე, ვიდრე გაეროში არ ჩავიდა და მაგიდაზე ფეხსაცმელი არ უბრახუნა, ნიკიტა საერთოდ არ იცნობდა. კუბის საკითხს ჩვენ ცალკე შევეხებით... კუბის გაწითლება ასე მარტივად არ მომხდარა, რადგან პრეზიდენტ ეიზენჰაუერს **ფულხენსიო ბატისტას** სამარცხვინო, კრიმინალური და გარყვნილი რეჟიმი უკვე ყელში ჰქონდა ამოსული, სადაც ამერიკული მილიარდები უკონტროლოდ გაედინებოდა, ფული „თეთრდებოდა“ და ამერიკის ბიუჯეტს ეს ყველაფერი სერიოზულად ურტყამდა. აღარაფერს ვამბობ იმის შესახებ, რომ კუბიდან დიდი რაოდენობით ნარკოტიკები შემოდიოდა. „ეფ-ბი-აის“ შეფმა **ედგად ჰუვერმა** დათვალა და თეთრი სახლის ადმინისტრაციას მოახსენა, რომ, თუ კუბაში ბატისტას რეჟიმი არსებობას გააგრძელებდა და ამერიკელი მილიარდერები გადასახადების თავის არიდების მიზნით სათამაშო ბიზნესს არა ამერიკაში, არამედ კუბაში ააყვავებდნენ და მილიარდებს იქ გადაქაჩავდნენ, მაშინ შეერთებული შტატები სერიოზული განსაცდელის წინაშე აღმოჩნდებოდა. მეტი არგუმენტი რაღა უნდა მოგიტანოთ — **ლას-ვეგასი აყვავდა მხოლოდ კუბის რევოლუციის შემდეგ, როცა ფიდელ კასტრომ ბანკების ნაციონალიზაცია მოახდინა და ამერიკელ საქმოსნებს კუბაში ფეხი ამოუკვეთა!**

**— ამერიკის მიზნები გასაგებია, მაგრამ რა მიზანს ისახავდნენ იქ ჩასული ნიკიტა ხრუშჩოვი და მისი მხლებლები?**

— ნიკიტას უპირველესი მიზანი იყო, არ შეემჩნია ამერიკის მიღწევები და დაეფიქსირებინა მხოლოდ საბჭოთა წარმატებები. ეს მტკიცდება პირველივე ერთობლივი პრესკონფერენციით. როგორც კი 1959 წლის 15 სექტემბერს **ნიკიტა ხრუშჩოვი** ვაშინგტონში ჩაფრინდა, აურაცხელი ტელეჟურნალისტის თვალწინ **ეიზენჰაუერს** იმ ბუნებრივი თანამგზავრის მცირე მოდელი აჩუქა, რომელიც საბჭოთა კავშირმა ხრუშჩოვის ვიზიტის დაწყებამდე სულ რამდენიმე დღით ადრე კოსმოსში გაუშვა. **ამით ხრუშჩოვმა ამერიკელებს მიანიშნა, რომ კოსმოსში ფავორიტი იყო მოსკოვი და არა — ვაშინგტონი.** ხაზი უნდა გაესვას იმასაც, რომ ხრუშჩოვი ამერიკაში ჩაფრინდა მაშინდელ მსოფლიოში არსებული ერთადერთი დიდი სამგზავრო რეაქტიული თვითმფრინავით — **„ტუ-114“**-ით, რომელსაც მოსკოვიდან ვაშინგტონამდე საწვავის შევსება არ სჭირდებოდა. ეს გახლდათ სამხედრო „ტუ-95“-ის გადაკეთებული, სამოქალაქო ვარიანტი, რომელსაც, სხვათაშორის, გაფრენის წინ მთელი რიგი დეფექტები დაუფიქსირდა, მათ შორის, ძრავაშიც... ხრუშჩოვს ეშინოდა, რადგან არავინ იცოდა, გადაფრინდებოდა თუ არა ეს უზარმაზარი თვითმფრინავი მშვიდობიანად ამერიკის კონტინენტზე. საბჭოთა ლიდერმა მოინდომა, რომ თავად ამ თვითმფრინავის ავიაკონსტრუქტორი **ანდრეი ტუპოლევიც** გაჰყოლოდა ამერიკაში, მაგრამ იგი ავად იყო და ხრუშჩოვს თავისი შვილი გააყოლა მძევლად. **1959 წლის 15 სექტემბერს სპეცთვითმფრინავი ვაშინგტონში მშვიდობიანად დაჯდა და პირველი ეფექტიც მიღწეულ იქნა, რადგან მანამდე ასეთი ზომისა და მახასიათებლების სამგზავრო თვითმფრინავი მსოფლიოში არავის ენახა.** როგორც კი ხრუშჩოვმა ამერიკის მიწაზე ფეხი დადგა, ზარბაზნებმა 21-ჯერ დაიქუხეს, რაც თავიდანვე ხრუშჩოვის აკვიატებული მოთხოვნა იყო.

***— როგორ შეხვდნენ ამერიკელები ხრუშჩოვს?***

— მთელი ამერიკა დადუმებული მიშტერებოდა ამ ღიპიან კაცს, რომლისგანაც ყოველგვარ საშინელებას, მათ შორის, მესამე მსოფლიო ომის გაჩაღებასა და ატომურ დაბომბვას ელოდნენ! ხრუშჩოვს ანახეს „აი-ბი-ემის“ მიერ შექმნილი პირველი კომპიუტერები, რაზეც სულელმა ნიკიტამ გაიცინა — **ამ კლა-**



საბჭოთა ხელოვნური თანამგზავრის მაკეტი, რომელიც ხრუშჩოვმა ეიზენჰაუერს აჩუქა

**„ხრუშჩოვი ამერიკაში ჩაფრინდა მაშინდელ მსოფლიოში არსებული ერთადერთი დიდი სამგზავრო რეაქტიული თვითმფრინავით – „ტუ-114“-ით, რომელსაც მოსკოვიდან ვაშინგტონამდე საწვავის შევსება არ სჭირდებოდა!“**



„ტუ-114“, რომლითაც ხრუშჩოვი ამერიკაში გაფრინდა



ხრუშჩოვი „ტუ-114“-ის სალონში

**პუბლიკაციაში გამოყენებულია კადრები**

# «ამერიკელებს გაუჩნდათ შიში – ვაიმე, ხრუშჩოვმა ღილაკს თითი არ დააჭიროსო!»


ხრუშჩოვის პრესკონფერენცია ჰოლივუდში
მერილინ მონრო


გაეროს ოფისთან ამერიკელები ხრუშჩოვს „წითელ ჯალათს" ეძახიან!

## „ჰოლივუდში სტუმრობის დროს მერილინ მონრომ ხრუშჩოვს ჰკითხა – შეიძლება, გაკოცოთ? ხრუშჩოვმა უარი თქვა – უხერხულია, ცოლი – ნინა პეტროვნა კუხარჩუკი მახლავს და ეწყინება!"

**ვიზებით უნდათ ჩვენზე გამარჯვება?!** თუმცა, როგორც კი საბჭოთა კავშირში დაბრუნდა, მაშინვე გასცა განკარგულება, თბილისსა და ტალინში კიბერნეტიკის ინსტიტუტებისა და ცენტრების გახსნის შესახებ. დღეს ესტონეთის კიბერნეტიკული მიღწევები მთელ მსოფლიოში ცნობილია, ხოლო ჩვენ, ქართველებმა, პეკინისა და ყაზბეგის კუთხეში არსებული კიბერნეტიკის ინსტიტუტი მოვსპეთ, გავანადგურეთ და მის ადგილზე კომერციული ოფისები მოვაწყვეთ.

ხრუშჩოვი ძალიან მოიხიბლა, როცა ანახეს ვაგზლებში დამონტაჟებული შემნახველი საკნები და სეიფები, მოეწონა ჰოთ-დოგებიც, რაც საბჭოთა კავშირისთვის უცხო იყო. კომიკური გახლდათ ხრუშჩოვის აღფრთოვანება სიმინდით. სიმინდის მაგნატი **ბობ ჰარსტი,** რომელიც აიოვას შტატში, დემოინში, ცხოვრობდა, 1955 წელს საბჭოთა კავშირში სოფლის მეურნეობის დარგში ექსპერტად ჩამოიყვანეს. სწორედ მაშინ მოულოდნელად მოსკოვში მას შეხვდა ხრუშჩოვი და მისგან 5 მილიონი კილოგრამი ჰიბრიდული სიმინდის თესლი შეიძინა. ბობ ჰარსტი, რომლის მთელი ქონებაც 300 ათას დოლარს არ აღემატებოდა, უცბად გახდა მილიონერი და ამერიკელ ფერმერს 7 მილიონი დოლარის ქონება გაუჩნდა. გარდა ამისა, ამ კაცმა გაიკეთა უზარმაზარი რეკლამა.

ნიკიტა ხრუშჩოვმა ამერიკაში ვიზიტის დროს მოითხოვა სწორედ ამ **ბობ ჰარსტთან** შეხვედრა. დემოინის ფერმაში მესიმინდე ჰარსტს ხრუშჩოვმა ჭკუის სწავლება დაუწყო, თუ როგორ უნდა მოეყვანა სიმინდი — ძალიან ახლო-ახლო გაქვს დათესილი, ცოტა უნდა დაგეშორებინა ერთმანეთისთვისო! **ჰარსტმა** ძველ ნაცნობს ეს არ გაუტარა და პირდაპირ უთხრა — **სისულელეს ლაპარაკობთ, რაც არ იცით, იმ საქმეში ნუ ერევითო!** ხრუშჩოვი ძალიან დაიძაბა... ამის გამო ბობ ჰარსტს იქვე ჩასაფრებული სამასამდე ჟურნალისტი შემოესია და კითხვები დააყარა. ჰარსტი სიმინდის ფუჩეჩში ახვევდა ფუნას, ჟურნალისტებს ესროდა და მათ შემოტევას ასე იგერიებდა. ხრუშჩოვი კი იდგა და ამ ყველაფრის შემყურე იცინოდა...

საერთოდ, ხრუშჩოვის ამერიკაში ვიზიტს უამრავი ინციდენტი ახლდა, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, რიგ შემთხვევებში ხრუშჩოვს სიტყვა-პასუხი არ ეშლებოდა. მაგალითად, „XX საუკუნე ფოქსის" დირექტორმა ნიკიტას უთხრა: ამერიკაში თქვენზე დიდი შესაძლებლობები გვაქვს — აი, მე, მაგალითად, უღარიბესი ბერძნული სოფლიდან ჩამოვედი და ამოდენა კორპორაციის პრეზიდენტი გავხდიო! ამაზე ხრუშჩოვმა მოსწრებულად უპასუხა — **მეც უღარიბესი ვიყავი, მაგრამ დღეს ამოდენა ძლევამოსილი და უდიდესი ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ვარო!** მოკლედ, აქ ხრუშჩოვმა ამერიკელ მედიამაგნატს მოუგო ისევე, როგორც ლოს-ანჟელესის მერს, რომელმაც ნიკიტას წამოაძახა — თქვენ ჩვენზე თქვით, რომ დაგმარხავთო! არადა, თავის დროზე ხრუშჩოვს ამაზე განმარტება ნამდვილად გაკეთებული ჰქონდა, რომ ეს არ ნიშნავდა ვინმეს მოკვლას ან განადგურებას. მოკლედ, ლოს-ანჟელესის მერს ნიკიტამ უპასუხა — **თქვენ თუ შარზე არ ხართ, მე ამ განცხადებაზე კომენტარი კარგა ხნის წინათ გავაკეთე, რაც გაზეთებშიც გამოქვეყნდა. ეტყობა, თქვენ გაზეთს არ კითხულობთ... ჩვენთან, საბჭოთა კავშირში, ვინც წიგნებსა და გაზეთებს არ კითხულობს, იმას მეორე ჯერზე ქალაქის საბჭოს თავმჯდომარედ არავინ აირჩევსო!** მეორე დღეს ხრუშჩოვმა ლოს-ანჟელესის მერზე ასეთი რამეც თქვა — მერს ეტყობა, გაკ...ება **(ცენზურა ჩვენია. რედ.)** უნდოდა, მაგრამ ჩაისვარაო!

**— ბატონო სვიმონ, ხრუშჩოვი რატომ არ წაიყვანეს დისნეი-ლენდში?**

— უსაფრთხოებას ვერ უზრუნველყოფდნენ და იმიტომ! სხვათაშორის, ხრუშჩოვმა ეს ფაქტი ძალიან კარგად გამოიყენა, ხელზე დაიხვია და ამერიკელებს მიმართა — **მე თქვენ საბჭოთა კავშირში ყველგან მიგიყვანთ, მაგრამ თქვენ უარს მეუბნებით, წამიყვანოთ ერთ სოფელში (დისნეი-ლენდში) და ამ დროს მიმტკიცებთ, თითქოს ამერიკა დიდი და ძლიერი სახელმწიფოა!** ხრუშჩოვი წუწუნებდა — **მანქანაში გყავვართ გამოკეტილი, მზეს არ მანახებთ, ხალხთან მისვლის საშუალებას არ მაძლევთ!** ერთ მშვენიერ დღეს ხრუშჩოვმა თავის ნომერში ისტერიკაც გამართა — **აქედან მივდივარ, ესენი დისნეის არ მანახვებენ, აქ არ გავჩერდები, მანქანიდან არ მიშვებენ, სამეგობროდ ჩამოვედი და მიყურებენ, როგორც მტერს!**

**— ჰოლივუდშიც მოხდა, მგონი, რაღაც ინციდენტი...**

— ხრუშჩოვმა ჰოლივუდში თავისი გამოსვლა ასე დაასრულა — **მე პირველი რუსი ლიდერი ვარ, რომელიც ამერიკაში ჩამოვედი და არსებობს იმის შანსი, რომ შესაძლოა, უკანასკნელი ლიდერიც ვიყო!** ხოლო ლოს-ანჟელესის მერთან პაექრობისას განაცხადა — თქვენ იმდენს იზამთ, ახლა მე აქედან წავალ და მერე სხვანაირად დავილაპარაკებთო! მოკლედ, ამერიკელებს გაუჩნდათ შიში — ვაიმე, ხრუშჩოვმა ღილაკს თითი არ დააჭიროსო! სინამდვილეში ეს ყველაფერი იყო ბლეფი... ლოს-ანჟელესიდან ხრუშჩოვი ჩაიყვანეს სან-ფრანცისკოში, მერე ჩავიდნენ აიოვაში, ხოლო სულ ბოლოს გაიმართა მოლაპარაკება ეიზენჰაუერთან კემპ-დევიდში, სადაც, როგორც მოსალოდნელი იყო, ვერაფერზე შეთანხმდნენ — ვერც გერმანიის გაერთიანებაზე და ვერც შეიარაღების შემცირებაზე! თუმცა, ხრუშჩოვმა პრესკონფერენციაზე დემაგოგიურად განაცხადა — **ჩემი სურვილია, რომ მთელ მსოფლიოში შეიარაღება საერთოდ აიკრძალოსო!**

სან-ფრანცისკოში ხრუშჩოვი მაღაზიაში შევიდა და მოსახლეობასთან მისი კომუნიკაცია, ბოლოს და ბოლოს, შედგა, ხოლო საცხობში, სადაც ჰოთ-დოგი დააგემოვნა და ძალიან მოეწონა, განაცხადა, რომ ჰოთ-დოგს მოუხდებოდა ლუდი... იმ დაწესებულებამ ხრუშჩოვის ვი-

გაგრძელება მე-6 გვერდზე


ხრუშჩოვი ეიზენჰაუერს დასცინის, აქაოდა, კოსმოსში გისწრებთო


ხრუშჩოვი სან-ფრანცისკოს სუპერმარკეტში


ხრუშჩოვმა ჰამბურგერი გასინჯა და მოეწონა

## „1959 წლის 15 სექტემბერს საეცთვითმფრინავი ვაშინგტონში მშვიდობიანად დაჯდა და პირველი ეფექტიც მიღწეულ იქნა, რადგან მანამდე ასეთი ზომისა და მახასიათებლების სამგზავრო თვითმფრინავი მსოფლიოში არავის ენახა!"


ვაშინგტონის აეროპორტი


ამერიკელებმა ხრუშჩოვის მოთხოვნით 21 ზარბაზანი დააქუხეს

## დოკუმენტური ფილმიდან «ХРУЩЕВ УДЕЛЫВАЕТ АМЕРИКУ»



კანკანის მოცეკვავემ ხრუშჩოვთან კაბა წამოიხადა



ხრუშჩოვი ბრაზობს, რადგან დისნეილენდში არ წაიყვანეს

# ისტორიკოსის თვალით ★

## სვიმონ მასხარაშვილი:

# ხრუშჩოვმა თავის ნომერში ისტერიკა გამართა – აქედან მივდივარ, ესენი დისნეის არ მანახვებენ, აქ არ გავჩერდები, მანქანიდან არ მიშვებენ, სამეგობროდ ჩამოვედი და მიყურებენ, როგორც მტერს!

*დასაწყისი მე-4 გვერდზე*

ზიტის შემდეგ უდიდესი მოგება ნახა, რადგან ნიკიტას სტუმრობით უდიდესი რეკლამა გაიკეთა...

**— ხრუშჩოვის ჰოლივუდში სტუმრობის დროს რა მოხდა?**

— ჰოლივუდში სტუმრობის დროს **მერილინ მონრომ** ხრუშჩოვს ჰკითხა — **შეიძლება, გაკოცოთ?** ხრუშჩოვმა უარი თქვა — **უხერხულია, ცოლი — ნინა პეტროვნა კუხარჩუკი მახლავს და ეწყინებაო!** მიუხედავად ამისა, ერთ-ერთმა ჰოლივუდელმა ლამაზმანმა ხრუშჩოვს იმ მოშვლეპილ თავზე ხელი დაადო, რაც ფოტოგრაფებმა მაშინვე გადაიღეს. ამერიკულ პრესაში გამოიფინა სურათები, სადაც ხრუშჩოვი ამ პოზაში ძალიან სულელურად გამოიყურებოდა... ამის შემდეგ ხრუშჩოვი მიიპატიჟეს „ფერნჩ კანკანზე“ და სწორედ მაშინ გადაუღეს სურათები, როცა „კანკანის“ მოცეკვავეებმა მის გვერდით კაბები წამოიხადეს და ნიფხვები გამოაჩინეს. როგორ ფიქრობთ, ვინმე სტალინს თავზე ხელის დადებას და „კანკანის“ მოცეკვავე ქალებთან სურათის გადაღებას გაუბედავდა?

**— ბატონო სვიმონ, ხრუშჩოვს სტალინზე არაფერი ჰკითხეს?**

— ჰკითხეს კი არა, პირველივე დღეს ჟურნალისტებმა ჯოჯოხეთი მოუწყვეს! სხვათაშორის, არცერთ იმ დოკუმენტურ ფილმში, რომელიც ხრუშჩოვის შესახებ რუსებმა გადაიღეს, ეს მომენტი არ არის... ჟურნალისტებმა ხრუშჩოვს ვაშინგტონში გამართულ დიდ პრესკონფერენციაზე ჰკითხეს — **1956 წელს, მეოცე ყრილობაზე, როცა თქვენ სტალინი დაგმეთ, დარბაზიდან მიიღეთ წერილი, რომელშიც ეწერა — სად იყავით თქვენ მაშინ?** თქვენ გამოხვედით და იკითხეთ — **ვინ გამომიგზავნა ეს წერილი?** ხმის ამოღება ვერავინ გაბედა... მაშინ თქვენ გამოხვედით და თქვით — **აი, ჩემი პასუხიც ეგ არისო!** ანუ დარბაზს მიანიშნეთ, რომ თქვენც გეშინოდათ ხმის ამოღებისო! ამაზე ხრუშჩოვი ძალიან გამწარდა და აყვირდა — **შეურაცხყოფას მაყენებთ, სამეგობროდ ჩამოვედი, თქვენ კი რაღაც სისულელეს მეკითხებითო!** ვაშინგტონ-ნიუ-იორკის გზაზე და გაეროს ოფისთან ხალხი ხრუშჩოვს **„წითელ ჯალათს“** ეძახდა, რაც ასევე იმ ფილმებში ნაჩვენები არ არის... ტერმინი — „წითელი ჯალათი“ გაჩნდა 1956 წლის შემდეგ, როცა ხრუშჩოვმა სტალინის შესახებ თქვა, რომ ბელადი „ჯალათი“ იყო... **სტალინს მთელი მსოფლიო პატივს სცემდა და „ჯალათს“ არავინ უწოდებდა, მაგრამ ხრუშჩოვს სიამოვნებით დაუძახეს „წითელი ჯალათი“...**

**— ბატონო სვიმონ, საბოლოოდ როგორ შეაფასებთ ხრუშჩოვის ვიზიტს ამერიკაში?**

— სტალინის სიკვდილის შემდეგ, როცა 1956 წელს ხრუშჩოვმა ბელადი შეურაცხყო და საბჭოთა კავშირს ძირი გამოუთხარა, ამერიკას საბჭოთა კავშირისგან მომდინარე იდეოლოგიური საფრთხე დიდად არ აშინებდა, მაგრამ ამერიკის ადმინისტრაცია ვერაფერს უხერხებდა შიშსა და იმ მითს, რომელიც საბჭოთა კავშირის უძლეველობის შესახებ ამერიკის მოსახლეობაში ნამდვილად არსებობდა. **ეს მითი შექმნა სტალინმა, როცა 1930-1940 წლებში ქვეყანაში ეკონომიკური და ინდუსტრიული სასწაული მოახდინა; ეს მითი ლავრენტი ბერიასთან ერთდ შექმნა სტალინმა, რომელმაც წარმატებით მოიგერია მთელი ევროპის შემოტევა, გაიმარჯვა, ჰიტლერი თავისსავე ბუნაგში მოგუდა და ბერლინის თავზე გამარჯვების დროშა ააფრიალა; ეს მითი შექმნა სტალინმა, რომელმაც „მარშალის გეგმის“ გარეშე, 1946-1953 წლებში, დანგრეული ქვეყანა ააშენა და ეს მითი შექმნა სტალინმა, რომელმაც რუსეთს ბერიასთან ერთად ატომური და წყალბადის ბომბი დაუტოვა.**

ამერიკელებს ეგონათ, რომ საბჭოთა ლიდერები სტალინის შემდეგ უსათუოდ იყვნენ ან მონსტრები, ანდა სუპერმენები, რომლებსაც ყველაფერი შეეძლოთ. **დუაიტ ეიზენჰაუერმა** ხრუშჩოვი ამერიკელებს ახლოდან დაანახვა და მთელი მსოფლიო და, მათ შორის, ამერიკელები დაარწმუნა, რომ **ნიკიტა ხრუშჩოვი** მონსტრი და სუპერმენი კი არა, სინამდვილეში ღიპიანი მასხარა, ნამდვილი „დურაკი“ იყო! **აი, სწორედ ამიტომ ჩაიყვანეს ნიკიტა ხრუშჩოვი ამერიკაში...**

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***



ნიკიტა ხრუშჩოვი და მესიმინდე ბობ ჰარსტი





ბობ ჰარსტი ჟურნალისტებს ფუჩეჩსა და ფუნას ესვრის

პუბლიკაციაში გამოყენებულია კადრები დოკუმენტური ფილმიდან „ხრუშჩოვი სთხრის ამერიკას“

# რა პუნქტებისგან შედგება „დაცვის სიგელი“, რომელიც 1992 წლიდან ამერიკამ მოგვანიჭა?

*საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიას ახსოვს „არაბობა“, „დიდი თურქობა“, „ოსმალობა“ და „ყიზილბაშობა“, როცა ჩვენი წარსული ცხოვრების კონკრეტულ ეტაპზე არაბებმა, თურქ-სელჩუკებმა, ოსმალებმა და ირანელმა ყიზილბაშებმა საშინელი ცოდვის კალო დაატრიალეს და ქვეყანას უდიდესი ვნება მოუტანეს.*


მამა-შვილი ჯორჯ ბუშები

# «დიდი ამერიკელობა» საქართველოში

სამეცნიერო ტერმინები — **„არაბობა“, „დიდი თურქობა“, „ოსმალობა“ და „ყიზილბაშობა“** სახელოვან ქართველ ისტორიკოსს, აკადემიკოს **ნიკო ბერძენიშვილს** ეკუთვნის...

სხვათაშორის, საქართველოს ისტორიას **„ოსიანობა“ და „ლეკიანობაც“** ახსოვს... ოსებმა ჯერ კიდევ შორეულ მეხუთე საუკუნეში, კერძოდ, 451 წელს კასპი დალაშქრეს და **ვახტანგ გორგასლის** მცირეწლოვანი და — სამი წლის **მირანდუხტი** კავკასიონის მიუვალ მთებში გაიტაცეს. **მირანდუხტი თექვსმეტი წლის ვახტანგმა დიდი კავკასიური ლაშქრობის დროს გამოიხსნა და გაათავისუფლა. ეს მოხდა მხოლოდ მას შემდეგ, როცა ქართველთა გმირთაგმირმა მეფემ ოსთა წინამძღოლი და გოლიათი ბაყათარი ორთაბრძოლაში დაამარცხა.**

რაც შეეხება **„ლეკიანობას“**, რომელიც მთელი მე-17 და მე-18 საუკუნეების განმავლობაში სისხლისა და ხორცისგან ცლიდა საქართველოს, მეცნიერულად დამტკიცებულია, რომ, მაგალითად, სახელოვან **ერეკლე მეფეს** ბრძოლის ველზე არ დაუკარგავს იმდენი ჯარისკაცი, რამდენი ბავშვი და მოზრდილიც ლეკთა ქურდული და მარბიელი რაზმების თავდასხმის შედეგად ქართლ-კახეთის სოფლებიდან გაქრა!

**დათვლილია, რომ მხოლოდ მე-17 საუკუნეში და მხოლოდ დასავლეთ საქართველოში გადაგვარებული მეგრელი და იმერელი თავადები და მათთან დაახლოებული თურქეთის აგენტები ყოველწლიურად დაახლოებით 7 ათას ქართველს მაინც იტაცებდნენ და სტამბოლის ბაზარზე ყიდდნენ.** ისიც დათვლილია, რომ, თუ არა სამარყანდელი სოციოპათის თემურლენგის დამანგრეველი შემოსევები, „ლეკიანობა“ და ირანისა და თურქეთის არაადამიანური და შეუწყნარებელი პოლიტიკა, დღეს იმ ტერიტორიაზე, სადაც ისტორიული საქართველო იყო განფენილი, სულ მცირე, **50 მილიონი ქართველი** მაინც იქნებოდა დასახლებული.

სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ ტერმინი **„რუსიანობა“** ქართულ სამეცნიერო ლიტერატურასა და სინამდვილეში ვერ დამკვიდრდა, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის იმპერიამ საქართველოს დიდი ვნება და ტანჯვა-წამება მოუტანა. სამაგიეროდ, დიდია იმის შანსი, რომ ისტორიოგრაფიასა და ჩვენს ყოველდღიურ ლექსიკაში მკვიდრად გაიდგას ფესვი ცნებამ **„დიდი ამერიკელობა“,** რომელიც თავის თავში საქართველოში მოქმედი ამერიკის შეერთებული შტატების ღია თუ ფარული აგენტების მიერ ქართული ცხოვრების წესის, ტრადიციების, ეროვნული ფასეულობებისა და, უპირველეს ყოვლისა, ქართული მართლმადიდებლობის წარწყმედას, გაბიაბრუებას, დამცირებას, არჩევნების გაყალბებას, ერის საამაყო შვილებისა და გმირების აბუჩად აგდებას, შარვალჩახდილი ზურაბ-გირჩი ჯაფარიძისა და იეღოველების ქვასროლია „შპიონის“ გიგა ბოკერიას გაღმერთება-გაფეტიშებას გულისხმობს!


ჯო ბაიდენი

**„არაბობას“, „დიდ თურქობას“, „ოსმალობასა“ და „ყიზილბაშობას“** გამოარჩევს თავისი პოლიტიკური მახასიათებლები, დასაწყისი და დასასრული. ასე, მაგალითად, **„არაბობა“** საქართველოში დაიწყო **654-655 წლიდან,** როცა სომხეთის დაპყრობის შემდეგ არაბი სარდალი **ჰაბიბ-იბნ-მასლამა** ქართლში შემოიჭრა, თბილისი აიღო და **სტეფანოზ ერისთავს** „დაცვის სიგელი“ მიანიჭა. **„დაცვის სიგელის“ თანახმად, ქართველთა სარწმუნოება ხელშეუხებელი იყო; ქართველებს ევალებოდათ სულადობრივი გადასახადის — ჯიზიას გადახდა კომლზე თითო დინარის ოდენობით, აგრეთვე სამხედრო სამსახური.** საგულისხმოა, რომ თუ ქართველი გამაჰმადიანდებოდა, ჯიზიას გადასახადისგან თავისუფლდებოდა, ამასთან არაბებს არ ჰქონდათ უფლება, ჯიზიას გაზრდის მიზნით კომლები გაეყოთ, ხოლო ქართველებს ეკრძალებოდათ კომლების გაერთიანება.


მიხეილ სააკაშვილი და ჯონ მაკ-კეინი

**თურქებმა** ქართველთა სისხლს პირველად 1064 წელს გაუსინჯეს გემო, როცა თურქთა სულთანი **ალფ-არსლანი** საქართველოს შემოესია. 1080 წლიდან ამ შემოსევებმა ინტენსიური სახე მიიღო და სწორედ ამ პროცესს უწოდა აკადემიკოსმა **ნიკო ბერძენიშვილმა „დიდი თურქობა“.** ყველა ამ დამანგრეველ პროცესს თავისი ნიშნები გააჩნდა და გააჩნია. სწორედ ასეა **„დიდი ამერიკელობაც“,** რომელსაც თავისი მახასიათებლები აქვს და **„არაბობას“, „დიდ თურქობასა“ და „ოსმალობა“-„ყიზილბაშობას“** რაღაცით ჰგავს.

და მაინც, როდის დაიწყო საქართველოში „დიდი ამერიკელობა“? სავარაუდოდ, ამ სამხედრო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესის ათვლის წერტილად უნდა მივიჩნიოთ **1991 წლის 19 აგვისტო,** როცა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა **ჯორჯ ბუშმა (უფროსი)** თეთრი სახლის ბაღში გამართულ საგანგებო პრესკონფერენციაზე საქართველოს პირველი პრეზიდენტის მისამართით ასეთი რამ თქვა — **„გამსახურდია დინების საწინააღმდეგოდ მიცურავს!“** ისევე, როგორც **„დიდ თურქობას“, „დიდ ამერიკელობასაც“** აქვს თავისი განვითარების ეტაპები. აქედან გამომდინარე, ბუშის ზემოხსენებული განცხადება შეიძლება შევადაროთ 1064 წლის **ალფ-არსლანის** პირველ შემოსევას საქართველოში, რომელიც თურქთა ინტენსიურ თავდასხმებს 16 წლით უსწრებდა. **თურქთაგან განსხვავებით ამერიკელებს პირველი შემოსევიდან დიდი დრო არ დაუკარგავთ და, სულ რაღაც, ცხრა თვეში, 1992 წლის 26 მაისს, სახელმწიფო მდივან ჯეიმს ბეიკერის სარდლობით, თბილისში დიდი ლაშქრობა მოაწყვეს.** სწორედ მაშინ რესპუბლიკის მოედანზე ამერიკელებმა ქართველებს მოგვანიჭეს **„დაცვის სიგელი“.** ეს მოხდა ფრიად უცნაურ გარემოებაში, რადგან ჯერ თავად **ბეიკერს** მიენიჭა საპატიო მხედრიონელის ტიტული და **ჯაბა იოსელიანის** მიერ დასაჩუქრდა საგანგებო მედლით, რომელზეც გამოსახული იყო ქართული ასო-ნიშანი **„ჯ“.** არადა, ამ დროს, სულ რაღაც, ორასიოდე მეტრში, ფილარმონიასთან, **ბიბა არველაძე და ძმები რურუები** მშვიდობიან საპროტესტო მანიფესტაციას არბევდნენ, მაგრამ ამერიკული დემოკრატია ამ ბარბაროსობაზე დუმდა!

დრომ დაადასტურა, რომ **ამერიკული „დაცვის სიგელი“,** რომელიც ქართველებს 1992 წლიდან მოგვენიჭა, ჰიპოთეტურად გულისხმობს შემდეგ პუნქტებს: **ქართველთა რწმენა ხელშეუხებელია, სანამ ამერიკელების მიერ წახალისებული, გაქეზებული და დაფინანსებული სხვადასხვა სექტები და ე.წ. არასამთავრობოები მოძლავრდებიან, თორემ მერე საპატრიარქოც და წმინდა სინოდიც სულმნათი აკაკის ერთი ლექსისა არ იყოს, „ვირების ბაგად“ უნდა გამოცხადდეს და საქართველოს ეკლესიისა და პატრიარქის შეურაცხყოფა დაკანონდეს;** ქართველები ვალდებული არიან, გადაიხადონ სამხედრო ბეგარა და ამერიკული იმპერიალიზმის მიერ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ატეხილ ომებში გაგზავნონ ქართველი ახალგაზრდები; **არჩევნებს საქართველოში ჩაატარებენ ამერიკის შეერთებული შტატების სპეცსამსახურების მიერ გადაბირებული და დაფინანსებული აგენტები — ეკა ბიბაური, თინა ხიდაშელი, გიგა ბოკერია, დავით უსუფაშვილი, „საია“, ანა ნაცვლიშვილი და სხვა სულწარწყმედილები. ქართველი ერი ვის აირჩევს, ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, მთავარია, ვის სურს ამერიკას. შესაბამისად, არჩევნების შედეგებს დაამოწმებს ამერიკის ადმინისტრაცია და სახელმწიფო დეპარტამენტი.** თუ ეს ამერიკის სამხედრო-პოლიტიკურ ინტერესებში შედის, მაშინ გარყვ-


კელი დეგნანი

*გაგრძელება მე-8 გვერდზე*

**ისტორიის უკეთ გაგებისათვის ★**

*დასაწყისი მე-7 გვერდზე*

ნილი და შიზოიდი **სააკაშვილიც** კი გამოცხადდება „დემოკრატიის შუქურად“, ხოლო დისიდენტი და ხალხის მიერ 87 პროცენტით არჩეული **ზვიად გამსახურდია** — „კავკასიის სადამ ჰუსეინად“ და „ჩაუშესკუდ“; **ქართველები ვალდებული არიან, ამერიკის პოლიტიკური მიზნების დასაკმაყოფილებლად რუსეთთან მიმართებაში გამუდმებით შეასრულონ „სადგისის ფუნქცია“ და საჭიროების შემთხვევაში ამერიკულ და რუსულ იმპერიალიზმს ისევე შესწირონ მსხვერპლად თავიანთი ძირძველი ტერიტორიები, როგორც აცტეკები სწირავდნენ თავიანთ უზენაეს ღმერთს — კეცელკოატლს ესპანელი კონკისტადორების მოფართხალე გულებს!** ქართველები ვალდებული არიან, აიტანონ და იობის მოთმინებით მოითმინონ ამერიკელი მსტოვრების, ელჩების, ექსპერტებისა და ათასი ჯურის კრამერების მიერ ჭკუის სწავლება, შეურაცხყოფა, ჩვენი წესებისა და ტრადიციების ხელყოფა, **ქვეყანაში გამართონ მესაჯდომეთა პარადები. ვინც ამას ხელს შეუშლის, გამოცხადდება კაცობრიობის მტრად, რეტროგრადად და ჰომოფობად. ხოლო თუ ქართველი გახდება სოდომისტი და ზურაბ-გირჩი ჯაფარიძის მსგავსად ქუჩაში შარვალჩახდილი და უკანალწამოხდილი ივლის, მაშინ ის თავისუფლდება ყოველგვარი წნეხისა და ვალდებულებისაგან და ცხადდება „ამერიკის მეგობრად“.**

**რაც შეეხებათ ამერიკელებს, ისინი ქართველების წინაშე არაფრით არიან ვალდებული და დიდი შიშიანობისა და უბედურების ჟამს ყველაზე მეტი რაც შეუძლიათ გააკეთონ ის არის, რომ ამერიკიდან გამოგზავნილი სამხედრო კრეისერით წყალი და პამპერსები ჩამოგვიტანონ!**

გარდა ამ პუნქტებისა, რომელიც საქართველოში **„დიდმა ამერიკელობამ“** მოგვიტანა, ბოლო დროს ჩვენთვის ისიც გახდა ცნობილი, რომ, **თურმე, ამერიკელების გვერდით მაგიდასთან მისაჯდომად საქართველომ კიდევ „რაღაც უნდა გაწიროს“ და რუსეთს სანქციებიც დაუწესოს!** ყოველ შემთხვევაში, სწორედ ასე გამოგვიცხადა **ჯონ მაკ-კეინის** ინსტიტუტის აღმასრულებელმა დირექტორმა **ევლინ ფარკასმა,** რომელიც 2012-2015 წლებში ამერიკის სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილედ მუშაობდა და კავკასიასა და საქართველოს კურირებდა. **ქალბატონი ევლინი,** რომელიც საოცრად ჰგავს **სალომე სამადაშვილს,** ძალიან შეწუხებული ჩანს ამ ბოლო დროს ამერიკის ელჩის **კელი დეგნანის** მისამართით გამოთქმული კრიტიკით და ანჩხლობს — **„ძალიან უარყოფით რაღაცებს ამბობენ ჩვენს ელჩზე, რომელიც არის პრეზიდენტ ბაიდენის წარმომადგენელი, რაც ნიშნავს, რომ პირდაპირ ამბობენ უარყოფით რაღაცებს ჩემს ქვეყანაზე, ჩემს პრეზიდენტზე, რასაც ვერასოდეს წარმოვიდგენდი!“**

ქალბატონი **ევლინის** გასა-**გაემიჯნა და ქალბატონ კელი დეგნანის კეთილების მოკითხვა ყოველკვირეულ რეჟიმში დაიწყო...** ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ გამორიცხული არ არის, საქართველოში **ქალბატონი ევლინის** კეთილებისა და დედ-მამის მოკითხვაც გაჩაღდეს, რადგან ის სიტუტუცე და სიყინჩე, რაც ქართველი ერის მიმართ გამოთქმულ მის წვეტიან აზრებში თავს ვერ მალავს, თავის დროზე არც **იგორ როდიონოვსა** და არც **ისა-ხან ყორჩიბაშს** უკადრებიათ...

# ტერმინი „რუსიანობა“ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურასა და სინამდვილეში ვერ დამკვიდრდა!


ეკა ბიბაური


გიგა ბოკერია


ანა ნაცვლიშვილი

**„არაბობაც“, „დიდი თურქობაც“, „ოსმალობაც“ და „ყიზილბაშობაც“ დაიმსხვრა, გაცამტვერდა და გადაეგო მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ მათ მკვლელად და სამარის მთხრელად მარადიულად არსებობდა „ქართველობა“, რომელიც ქართულ ისტორიოგრაფიაში ასევე დიდი ნიკო ბერძენიშვილის მიერ დამკვიდრებული ტერმინია...**

# «დიდი ამერიკელობა» საქართველოში


სალომე სამადაშვილი


დავით უსუფაშვილი


თინა ხიდაშელი

## ისტორიის უკეთ გაგებისათვის ★

გონად ორ ისტორიულ ფაქტს გავიხსენებთ: **ვერც ხალიფა მანსური და ვერც ხალიფა მაჰდი იფიქრებდნენ და წარმოიდგენდნენ, რომ ქართლის ერისთავი ნერსე მეორე ოდესმე არაბებს აუჯანყდებოდა, მაგრამ ნერსე ერთხელაც აჯანყდა და მეორეჯერაც.** ვერც შაჰ-აბასი იფიქრებდა, რომ იმ დროს, როცა უსაყვარლესი ვაჟიშვილი — პაატა გველების ბუდეში ჰყავდა დატოვებული მძევლად, **გიორგი სააკაძე** გაბედავდა, აჯანყდებოდა და ირანელთა 30-ათასიან არმადას თავის სარდლებიანად მარტყოფთან დაამიწებდა. გიორგიმ გაბედა, რითაც უკვდავებაში შეაბიჯა...

**ასეა, ძვირფასო ევლინ, „დიდმა ამერიკელობამ“ საქართველოში იმდენად სამარცხვინო და აპარტეიდული სახე მიიღო, პოლიტიკოსების ნაწილი მმართველ პარტიას**

**„დიდ ამერიკელობასაც“ „ქართველობა“ მოუღებს ბოლოს!**

აგერ მე და აგერ თქვენ!!!

*დიტო ჩუბინიძე*

# აფხაზებს რუსეთისთვის სიკვდილი უბრძანეს!

***უკრაინასთან ომში არმიის გასაძლიერებლად, რუსეთში ოფიციალურად გამოცხადებული „ნაწილობრივი მობილიზაციის“ გეგმით, 18-50 წლამდე 300 ათასამდე მოქალაქე ჯარში უნდა გაიწვიონ. თუმცა, აქ ჩვენთვის მთავარი და ყურადსაღები ის გახლავთ, რომ უკრაინაში საომრად აფხაზებსა და ოსებსაც გარეკავენ!***

მობილიზაციის გამოცხადების შემდეგ ასიათასობით მამაკაცი მიაწყდა აეროპორტებსა და სასაზღვრო-გამშვებ პუნქტებს ფინეთიდან, ვიდრე მონღოლეთამდე! აღარაფერს ვამბობთ რუსეთის მხრიდან, ლარსის სასაზღვრო პუნქტთან გაჩენილ ავტომანქანების 20-კილომეტრიან რიგზე!

**ასეთ ვითარებაში, როდესაც თავად რუსებს არ სურთ უკრაინაში საომრად წასვლა, დიდი პანიკა ატყდა რუსეთის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში, რადგან ეს მობილიზაცია მათაც ეხებათ — აკი, აფხაზებისა და ოსების 100 პროცენტს რუსეთის პასპორტი უჭირავს ხელში!**

აი, სწორედ ამიტომ გაისმის სულ უფრო და უფრო ხმამაღალი უკმაყოფილო შეძახილები: **რუსეთმა აფხაზებისა და ოსების გენოციდის გეგმა დააკანონაო!**

თან, ეს ზუსტად სოხუმის დაცემის 29 წლისთავზე ხდება, როდესაც აფხაზეთში დიდი მონდომებით ემზადებოდნენ ამ „ისტორიული დღესასწაულისთვის“, **„აფხაზეთის საქართველოსგან გათავისუფლებას“** რომ ეძახიან!

აი, სწორედ ეს შეახსენეს მოსკოვიდან აფხაზებს: **„მობილიზაცია აფხაზებსაც შეეხებათ, რადგან აფხაზეთის მოსახლეობის თითქმის 100 პროცენტი რუსეთის მოქალაქეა. რუსეთმა აფხაზები გადაარჩინა საქართველოსთან ომისას და, როგორც ამბობენ, ვალს გადახდა უნდა“,** — სიტყვასიტყვით ეს განაცხადა რუსეთის თავდაცვის მინისტრის მოადგილემ **ნიკოლაი პანკოვმა** და იქვე ისიც დაამატა, რომ სამხედრო ვალდებულებისათვის თავის არიდება სისხლის სამართლის კოდექსით ისჯება!

მობილიზაცია შეეხებათ ცხინვალის რეგიონში მცხოვრებ ოსებსაც, რომელთა 100 პროცენტი ასევე რუსეთის მოქალაქეა!

**მოკლედ, რუსეთმა „დამოუკიდებელ“ აფხაზებსა და ოსებს ჯერ გამარტივებული წესით ჩამოურიგა რუსეთის მოქალაქეობა, ახლა კი, როგორც თავად აფხაზები და ოსები ამბობენ, „საზარბაზნე ხორცად“ გამოიყენებს და მასობრივად შეაკლავს ნატოს სტანდარტებით შეიარაღებულ უკრაინის არმიას!**

ვალს გადახდა უნდაო — აკი, პირდაპირ უთხრეს ამის შესახებ აფხაზებსა და ოსებს! ჰოდა, სანამ დროა, მათ არჩევანი უნდა გააკეთონ გენოფონდის გარდაუვალ მოსპობასა და გადარჩენას შორის, რაც საქართველოს წიაღში მათი დაბრუნებით მიიღწევა.

ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დროს **არძინბამ** თქვა — **აფხაზებს რუსულ ზღვაში დახრჩობა გვირჩევნია, ვიდრე ქართულ მდინარეშიო!** რუსულ ზღვაში დახრჩობას ვინ გაცლით, ძმებო, უკრაინის შავმიწა ნიადაგში გიპირებენ დასამარებას!

საქართველოში კი თქვენი დახრჩობა კი არა, როგორც ერის გადარჩენა გარანტირებულია! **აღარაფერს ვამბობ ცხინვალელ ოსებზე, რომლებმაც ძალიან კარგად იციან, რომ საქართველოს შიდა რეგიონებში, სამჯერ-ოთხჯერ მეტი საქართველოს მოქალაქე ოსი ცხოვრობს ბევრად უკეთ, ვიდრე ცხინვალის რეგიონში შეკოწიწებულ „დამოუკიდებელ სახელმწიფოში“!**

ასე რომ, სანამ დროა, მიაფურთხეთ ეშმაკს და გადარჩით ერთიან საქართველოში!

## ჭკუით, ოსებო და აფხაზებო! ★

*გიორგი გიგაური*

ასავალ-დასავალი
2022 წლის 26 სექტემბერი, № 24-25 (148-149)

სარედაქციო კოლეგია
„ასავალ-დასავალის“ საგამომცემლო სახლი. ვებ-გვერდი ინტერნეტში: www. asavali.com ელ-ფოსტა: mail@asavali.com ფეისბუქი: www. facebook.com/Asavali.com გამოდის 2003 წლის 7 აპრილიდან.

**ნანა კაკაბაძე**

# აი, რატომ არის ოპოზიცია ფსკერს ქვევით!

***პუტინის მიერ გამოცხადებულ ნაწილობრივ მობილიზაციას რუსეთიდან ბევრი გაექცა, ნაწილი ჩვენკენ წამოვიდა, შესაბამისად, ლარსის გამშვებ პუნქტთან თუ აეროპორტში ჩრდილოელ სტუმართა სიმრავლე იგრძნობა.***

**სადისკუსიო საგნად იქცა — მივიღოთ თუ არა ომს გამოქცეული რუსები?!** ყოველდღიურად ტელევიზორებიდან გვამუნათებენ ჭკუის დამრიგებელი „პოლიტიკოსები“ ან ე.წ. ცნობადი სახეები, რომლებიც თითქოსდა მორალური პრინციპებიდან გამომდინარე „გვიხსნიან“, **რატომ არ უნდა შემოვუშვათ დეზერტირი რუსები საქართველოში.** არადა, თუ ამ კონკრეტული პრობლემის შეფასებისას ქვეყნის ინტერესებიდან გამოვალთ, დავინახავთ, რომ ისევე, როგორც ყველა საქმეში, რადიკალური მიდგომა აქაც ქვეყნისთვის საზიანოა.

**ყველასათვის კარის ჩაკეტვა არ იქნებოდა ჩვენი ერისთვის დამახასიათებელი ჰუმანური გადაწყვეტილება, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ლტოლვილთა რაოდენობამ ჩვენი პატარა ქვეყნისათვის სახიფათო მასშტაბები მიიღო, რა თქმა უნდა, საქართველოს არ შეეძლება ყველასათვის კარის გაღება.**

ეს თითქოს ელემენტარული ჭეშმარიტებაა და ვიღაცამ შეიძლება თქვას — რა დიდი სიბრძნეც ეგ არისო — მაგრამ ჭკუის დამრიგებელთა არასწორი აზროვნება გვაიძულებს, შევაფასოთ და მივუთითოთ ელემენტარულზე — **ჯანსაღი საზოგადოებისთვის ქსენოფობიური მოტივებით ხელმძღვანელობა მიუღებელი და გაუმართლებელია** — აქაოდა, რადგან რუსია, ცუდი ადამიანია და მისი დახმარება არაპატრიოტული საქციელიაო... დიახ,



## მეორე მსოფლიო ომის დროსაც კი მოკავშირეები არ ეომებოდნენ გერმანელ ერს, პირიქით, იფარებდნენ ფაშისტებისგან გაქცეულებს. უნდა ვიცოდეთ, რომ ერების (ებრაელების და სლავების) წინააღმდეგ ბრძოლა მხოლოდ ფაშისტური მოვლენაა!

**საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ გამოსვლისას ჩვენი თაობის დისიდენტებს აზრადაც არ მოსვლიათ რუსების წინააღმდეგ ბრძოლა — ვინაიდან ჩვენ ყველანი ერთად, საბჭოეთში მცხოვრები დისიდენტები** (მათ შორის, რუსები), **ვებრძოდით რეჟიმს და არა რუს ერს!**

ეს ელემენტარული ჭეშმარიტება ჩვენს პოლიტიკანებს არ აინტერესებთ, რადგან მათი აზროვნება ისევე, როგორც ქმედება, სხვა ქვენა გრძნობებითაა ნაკარნახევი.



მოცემულობაა ისიც, რომ **ოპოზიციად წოდებული კრიმინალები ყველაფერს პოლიტიკური დივიდენდების მიღების პრიზმაში ატარებენ.** მაგალითად, როდესაც დღეის მდგომარეობით უცნობია, რა პოზიციას დაიკავებს საქართველოს ხელისუფლება რუს მიგრანტთა მიმართ, დარწმუნებით აცხადებენ: **თუ ხელისუფლებამ შეზღუდა რუსების შემოსვლა, ე. ი. პუტინმა მოითხოვა და თუ არ შეზღუდა, მაშინ ესეც პუტინის შეკვეთილი იქნებაო.** მოკლედ, პუტინის ნებართვის გარეშე ჩვენი ხელისუფლება არაფერს აკეთებსო.

**აი, ასეთი აბსურდული, პრიმიტიული და გონებაშეზღუდული აზროვნების გამო არის ჩვენი „მედასავლეთე“ ოპოზიცია ფსკერს ქვევით!**



# სად გაქრა სამართლიანი და დემოკრატიული ამერიკა?

***მე-20 საუკუნის დემოკრატიული ღირებულებების მებაირახტრე ამერიკა 21-ე საუკუნეში ფაშისტური ღირებულებების დამცველად და გამტარებლად გადაიქცა. არადა, 70-იან წლებში მან სრულად დაძლია რასობრივი უთანასწორობები და მსოფლიო დემოკრატიის თითით საჩვენებელ ქვეყნად იქცა.***

პრეზიდენტ **რონალდ რეიგანის** მმართველობის პერიოდში დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დაცვა პრიორიტეტული იყო, დღეს კი ამერიკა ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს მხოლოდ პოლიტიკურ კონიუნქტურას უქვემდებარებს.

**ბუშის** დროს ამერიკას არ ეთაკილებოდა, მხარი დაეჭირა სააკაშვილის ანტიდემოკრატიული რეჟიმისათვის და „დემოკრატიის შუქურად“ გამოეცხადებინა რეპრესიული მანქანა. ასეა დღესაც. აკი, **ელჩი დეგნანი** ნაცების ანტიდემოკრატიული და სადისტური რეჟიმის მიმართ არნახულ სიმპათიებს გამოხატავს და ცდილობს ხელისუფლებაში მათ დაბრუნებას. **პარალელურად ის სასტიკად გმობს იმ ადამიანებს, რომლებიც ცდილობენ, ხელი შეუშალონ ლგბტ თემის აღვირახსნილ აღლუმებს. ქელი დეგნანი** საქართველოს ხელისუფლებისგან ასევე მოითხოვს, გაემიჯნონ ცალკეულ პოლიტიკოსთა მიერ გამოთქმულ „ანტიამერიკულ“ განცხადებებს, **მაგრამ თვითონ არ ემიჯნება აშშ-ის ბიუჯეტიდან დაფინანსებული მაკ-კეინის ინსტიტუტისა თუ სხვა ორგანიზაციების წარმომადგენელთა მიერ გაკეთებულ მოწოდებებს საქართველოში მეორე ფრონტის გახსნასთან დაკავშირებით.** ის არც იმაზე გვპასუხობს მკაფიოდ და გასაგებად, ერევა თუ არა ელჩი საქართველოს მართლმსაჯულების საქმიანობაში, როდესაც მოსამართლეს მისი სახელით ჯერ პასუხს სთხოვენ კონკრეტული განაჩენის თაობაზე და შემდეგ ამ მოსამართლეს იღებენ აშშ-ში გასამგზავრებელთა სიიდან.

საბჭოთა დროში, როდესაც მოსკოვის დიქტატი არ მოგვწონდა, მის წინააღმდეგ მთელი არსებით ვიბრძოდით, არადა, საქართველოში დღეს არსებული შენობა-ნაგებობები, ინფრასტრუქტურის ძირითადი ობიექტები სწორედ სსრკ-ის დროს არის აშენებული, მათ შორის, საცხოვრებელი სახლები, რომლებიც უსასყიდლოდ გადაეცემოდათ მოქალაქეებს. დიახ, ეს ასე იყო, მაგრამ ამისათვის არასოდეს განგვიდიდებია საბჭოთა კავშირი, ხოლო **აშშ-ის ელჩმა 30 წლის მანძილზე ქვეყანაში ჩადებული რამდენიმე მილიარდი დოლარი წამოგვაძახა, რომლის ნახევარი ქართული ჯარის გაწვრთნასა და აღჭურვას მოხმარდა, ხოლო ეს ინვესტიცია ჩვენი ჯარისკაცების სახით ისევ აშშ-ის საგარეო ომებში იქნა გამოყენებული მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში!** თანხის მეორე ნახევარი მათივე ინტერესების გამტარებელ ენჯეოებსა და ორგანიზაციებზე გაიხარჯა. ინვესტირება არ შეხებია არც წარმოების განვითარებას, არც — ფაბრიკა-ქარხნების მშენებლობას.

## არადა, ჩვენ რატომღაც მადლობლები უნდა ვიყოთ ამერიკის მთავრობის და მასზე ერთი კრიტიკული სიტყვის წარმოთქმაც რუსეთუმეობად გვეთვლება!

ბევრი ჩვენი თანამემამულე ხბოს აღტაცებით გაიძახის — ამერიკა გადაგვარჩენსო და არ უკვირდება, რა ნაწილში შეიძლება დაემთხვეს ერთმანეთს ჩვენი ინტერესები აშშ-ის სტრატეგიულ ინტერესებს და რა ნაწილში შეიძლება შეეწინააღმდეგოს ერთმანეთს.

**რა შეიძლება დაემართოს აშშ-ის ინტერესებზე სრულად მიბმულ ქვეყანას, ეს ამასწინათ ავღანეთის მაგალითზეც დავინახეთ, სადაც მოკავშირეები ტერორისტი თალიბების საჯიჯგნად მიატოვეს.**

ჩვენი პოზიციაა, რომ პოლიტიკური კონიუნქტურის გამო **ე. წ. სტრატეგიული მოკავშირისგან არ უნდა აიტანო ნეოკოლონიალური დამოკიდებულება, არ უნდა აიტანო დამცირება, რაც უკიდურეს ზიანს აყენებს დამოუკიდებლობაზე პრეტენზიის მქონე ქვეყნის იმიჯს!**

## კვირგვინოსნები

**სოზარ სუბარი**
*მოძრაობა „ხალხის ძალის“ წევრი, პარლამენტარი*



რაც წერილების გამოქვეყნება დავიწყეთ, **ქელი დეგნანი** თითქმის ყოველდღე დადის რეგიონებში — ხან ფერხულის ცეკვაში ჩაერთვება სვანეთში, ხან მეტანიებს აკეთებს მცხეთის ჯვარზე.

„TV იმედი“

**გია ხუხაშვილი**
*ექსპერტი*



**ივანიშვილმა** ეს დრო იმას მოანდომა, რომ ხალხს უმტკიცებს, ყველა ოპოზიციონერი ნაგავი და მასზე უარესია. **დავუშვათ, დაუწესეს ბიძინას სანქციები, ამათ რა ხეირი, ერთი გამაგებინეთ.**

„ალია“

**მამუკა არეშიძე**
*ექსპერტი*



**აფხაზეთში გარკვეულწილად კეთილგანწყობაც კი გაჩნდა ქართველებისადმი.** როგორც ჩანს, ქვეცნობიერად მაინც დააფასეს ქართველების მიერ საომარი ნაბიჯის არგადადგმა, თუმცა, ამან ზედმეტი ილუზია არ უნდა შეგვიქმნას.

„თბილისელები“

**არმაზ ახვლედიანი**
*ოპოზიციონერი პარლამენტარი*



საბჭოთა დროს **საბჭოთა აჩრდილი არ ყოფილა ისეთი დამთრგუნველი** და შემაშფოთებელი, დღეს რომ არის — **დემოკრატიის ნარჩენებია აქა-იქ,** რასაც ვხედავთ, მათ შორის, პარლამენტის ასე კოჭლი თხასავით ყოფნა.

„ინტერპრესნიუსი“

**ბექა კობახიძე**
*ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი*



**კარგი ხელისუფლებით** და **ძლიერი ჯარით** დღეს უკვე ვიდგებოდით მდინარე ღალიძგაზე სრულიად უსისხლოდ.

„ალია“

*საქართველოს გენერალური პროკურორის ყოფილი მოადგილე, იუსტიციის გადამდგარი მრჩეველი და სამართლის დოქტორი, პროფესორი* ***ვენედი ბენიძე*** *ჩვენი ქვეყნის უახლესი წარსულის არაერთ საჭირბოროტო და საკვანძო საკითხს იხსენებს და ბევრ გახმაურებულ პროცესთან დაკავშირებით რადიკალურად განსხვავებულ მოსაზრებას გვიზიარებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა ყოფილი გამომძიებელი, ყოფილი მოსამართლე და პროკურორი, რომელმაც კარიერულ კიბეზე თითქმის ყველა საფეხური გაიარა, აცხადებს, რომ ვიდრე ხელისუფლების უმაღლეს მწვერვალებს დაიპყრობდნენ, სააკაშვილსა და ჟვანიას ედუარდ შევარდნაძე უკვე დამორჩილებული და დაქვემდებარებული ჰყავდათ და მთელ ამ პროცესს სინამდვილეში მართავდნენ* ***ლევან რამიშვილი და გიგა ბოკერია****, რომელსაც დღეს კაციშვილი ვერ ეხება:*






# ვენედი ბენიძე:

# ჟიული შარტავა აწამეს. გვამი რომ დავათვალიერეთ, მუხლები გადაყვლეფილი ჰქონდა, ნათრევი იყო!

— 1995 წლის 24 აგვისტოს ახალმა კონსტიტუციამ მოითხოვა ძირეული საკანონმდებლო ცვლილებები და ახალი საკანონმდებლო აქტების მომზადება. ეს პროცესი განსაკუთრებით მტკივნეულად შეეხო სასამართლო ხელისუფლებას, სადაც მოსამართლეთა გამოცდები ორტურად დაინიშნა. მათ ჩატარებას ძალიან ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა, რის გამოც იყო ერთი წივილ-კივილი და უბედურება... როცა საკონსტიტუციო სასამართლომ მოსამართლეთა დანიშვნის ახალი წესი გააუქმა, საკონსტიტუციო სასამართლოსთან კუბოები მიიტანეს. აქციის უკან **„თავისუფლების ინსტიტუტი“, გიგა ბოკერია და ლევან რამიშვილი** იდგნენ... საქართველოს უახლეს ისტორიაში ეს გახლდათ ამაზრზენი სანახაობა, როცა ღირსეულ მოსამართლეებს ასეთი ობსტრუქცია მოუწყვეს!

**— ბატონო ვენედი, შემდეგ ჩვენ ვნახეთ სააკაშვილის მიერ ე.წ. „რეფორმირებული სასამართლო“, სადაც საშინელებები ტრიალებდა. როგორ მივიდა ქართული სასამართლო და პროკურატურა ავადსახსენებელ ზურაბ ადეიშვილამდე?**

— მოგეხსენებათ, სასამართლო რეფორმას შევარდნაძის დავალებით ხელმძღვანელობდა სააკაშვილი...

**— უკაცრავად, აქვე გკითხავთ, 2003 წლის 22 ნოემბერსაც შევარდნაძის დავალებით ხომ არ დალია პარლამენტში შეჭრილმა სააკაშვილმა ედუარდის ჩაი?**

— „შეთქმულების თეორიის“ მომხრე არ ვარ და არც თქვენ დაიჯეროთ, რომ სააკაშვილსა და შევარდნაძეს შორის რამე გარიგება იყო... შევარდნაძემ მოგვიანებით თვითონ თქვა — **ზურაბ ჟვანია თავს მომახვიეს და მერე ჟვანიამ სააკაშვილი მოიყვანაო!** როცა ე.წ. რეფორმირების შედეგად ახალი სასამართლო სისტემა შეიქმნა და პირველი საოლქო სასამართლო ჩამოყალიბდა, რომელსაც დღეს სააპელაციო სასამართლო ჰქვია, დაახლოებით 390 მოსამართლე შეიცვალა და 390-ვე მოსამართლე შევარდნაძემ სწორედ სააკაშვილის წინადადებით დანიშნა. მაშინ მოსამართლეებს პრეზიდენტი ნიშნავდა, მაგრამ ჟვანიასთან შეთანხმებით მათ შერჩევას ახორციელებდა სააკაშვილი... **სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ მოსამართლეთა დანიშვნის საკითხში შევარდნაძე საერთოდ არ ჩარეულა.** სწორედ ასე ამოქმედდა ახალი სასამართლო სისტემა 1999 წლის 15 მაისს.

**— იმ ე.წ. სასამართლო რეფორმის უკან მხოლოდ სააკაშვილი იდგა?**

— იმ რეფორმის უკან **ბოკერია, ლევან რამიშვილი, სააკაშვილი და ჟვანია** იდგნენ. მუშაობის პროცესში ჩნდებოდნენ ამერიკელებიც და გერმანელებიც, რომლებიც მართლაც გვეხმარებოდნენ, გვაკონტროლებდნენ თუ ვითომ გვეხმარებოდნენ. საერთოდ, სასამართლოზე კონტროლს ოდითგანვე ყველა ხელისუფლება ცდილობდა, რადგან, თუ სასამართლოს აკონტროლებ, ფაქტობრივად, ყველაფერი შენია! აი, ამიტომ იკლავენ თავს სასამართლოსთვის. რაც შეეხება **ადეიშვილს,** რომელიც თქვენ ზემოთ ახსენეთ, ეს საკითხთა საკითხია. ადეიშვილი სასამართლოს რეფორმის დროს თვალით არ მინახავს, მერე გამოჩნდა. ადეიშვილი და მერაბიშვილი ტანდემში მოქმედებდნენ და კარგი შემსრულებლები იყვნენ. გახსოვთ, ალბათ, მერაბიშვილმა „ნიუ-იორკ თაიმსში“ წერილი გამოაქვეყნა და შევარდნაძეს სულ კორუმპირებული ეძახა. როგორც კი პრეზიდენტი გახდა, სწორედ ამ ორ კაცს — ადეიშვილსა და მერაბიშვილს სააკაშვილმა მთელი ძალაუფლება ჩააბარა! სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ — **1999-2003 წლამდე ჩვენი სასამართლო მართლა დამოუკიდებელი იყო, მაგრამ 2004 წლიდან დაიწყო უბედურება და სააკაშვილის მიერ დანიშნული მოსამართლეების დიდი ნაწილი, მათ შორის, ძალიან კვალიფიციური კადრები, გაყარეს!** ზურაბ ადეიშვილმა იმ მახინჯი სისტემით აბსოლუტურად დაიქვემდებარა მთელი სასამართლო და პროკურატურა. ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტშიც კი, იურიდიულ ფაკულტეტზე, **ზურაბ ადეიშვილის** თანხმობის გარეშე არავითარი საკადრო გადაადგილება არ ხდებოდა.

**— რა იყო ამ უკანონობის მიზანი?**



ლორიკ მარშანია

**„ლორიკ მარშანიამ გარკვევით მითხრა: ჟიულის ვაფრთხილებდი — პრეზიდენტის განკარგულებაა, რომ დავტოვოთ შენობა და წავიდეთ! ჟიულის ქცევა ფანატიკური იყო და არ დამიჯერა!“**

— მაგათთვის რომ გეკითხათ, პასუხი გამზადებული ჰქონდათ — „ჩვენ სწრაფად უნდა ავაშენოთ დამოუკიდებელი სახელმწიფო!“ ანუ უკანონობით ცდილობდნენ კანონიერების დამყარებას, რაც ჯერ არავის გამოსვლია. ცხადია, **ზურაბ ადეიშვილი და ვანო მერაბიშვილი** ამას დამოუკიდებლად ვერ გაბედავდნენ და ყველაფერი მოდიოდა სააკაშვილისგან, რომელზეც **ლევან რამიშვილსა და გიგა ბოკერიას** უდიდესი გავლენა ჰქონდათ! ტელეკომპანია „იმედზე“ რომ თავდასხმა მოხდა, მაშინ **ლევან რამიშვილს** შინ მიუვარდნენ და იმის შემდეგ აღარ ჩანს, თორემ ეგ იყო ყველაფერი. ჩემი ინფორმაციით, 2007 წლის 7 ნოემბერს სააკაშვილი „იმედში“ შეჭრას არ აპირებდა, მაგრამ **გიგა ბოკერიას** დაჟინებული და კატეგორიული მოთხოვნით ეს ნაბიჯი გადადგა. ასე რომ, **სააკაშვილის უბედურება ის გახლდათ, რომ ბოკერია-რამიშვილის ტყვეობაში იმყოფებოდა!** სააკაშვილთან კიდევ გადაწყვეტდი რაღაცას და შეუთანხმდებოდი, მაგრამ **ლევან რამიშვილთან და გიგა ბოკერიასთან** ამის მიღწევა შეუძლებელი გახლდათ.

**— თქვენ უაღრესად საკვანძო თანამდებობები გეჭირათ საქართველოში და, ბუნებრივია, ბევრ და მნიშვნელოვან ინფორმაციასაც ფლობთ! როგორ გგონიათ, მაინც რის საფუძველზე ჰყავდათ ბოკერიასა და რამიშვილს სააკაშვილი დამორჩილებული? რამე იცოდნენ მასზე და აშანტაჟებდნენ თუ რა ხდებოდა?**

— არა, ამას გამოვრიცხავ! გაიხსენეთ ერთი რამ — **„თავისუფლების ინსტიტუტი“** ვინ შექმნა? ცხადია, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა! მერე მა-

# „აი, სწორედ ამით ატერორებდა ბოკერია სააკაშვილს და აშკარაა, რომ ეს ტერორი დღესაც გრძელდება!“

## კვირგვინოსნები



**გიგა ბოკერია**
*„ევროპული საქართველოს“ ლიდერი*

უკანონო მოსმენები **ივანიშვილის დროს** არ გაჩენილა, **ჩვენ დროსაც** იყო, მაგრამ შემაკავებელი ფილტრიც მოხსნეს ამათ და ყოფილ თანაგუნდელებსაც კი გაუსაჯაროეს კადრები.

„TV პირველი“



**მიხეილ მაჭავარიანი**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*

**ედუარდ შევარდნაძის** დროს **ბრწყინვალე სპეცოპერაციები ტარდებოდა,** მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ხელისუფლება კარგი იყო.

„TV პირველი“



**მამუკა გიორგაძე**
*სახალხო პარტიის თავმჯდომარე*

არც 1917, არც 1990-იან წლებში **საქართველო დამოუკიდებლობისთვის მზად არ აღმოჩნდა.** ახლა მაინც უნდა ვიყოთ მზად.

„ახალი თაობა“



**ანზორ აბრალავა**
*ყოფილი პარლამენტარი*

ოპოზიციონერების ანონსი **რაღაც საპროტესტო აქციებზე** სასაცილოა. მსოფლიო მთლიანად გარდაიქმნა, საქართველოში კი ოპოზიციას იგივე დღის წესრიგი აქვს, რაც 8-9 წლის წინ ჰქონდა.

„ახალი თაობა“



**ლია მუხაშავრია**
*იურისტი*

მხარს კიდევ ერთ **ქალ სახალხო დამცველს დავუჭერდი.** ქალებმა გაამართლეს.

„ახალი თაობა“

გათ შექმნეს **„კმარა“** და ათასი უბედურება... აი, აქ უნდა ვეძებოთ ყველაფრის მიზეზი. დანამდვილებით ვიცი, რომ გიგა ბოკერიას წინააღმდეგ არაერთი სისხლის სამართლის საქმე არსებობს, მაგრამ მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებული არ არის!

**— ბიძინა ივანიშვილმა პირდაპირ დაადო ხელი ბოკერიას, რომ უშიშროების საბჭოს მდივნად მისი მუშაობის დროს ბიუჯეტიდან 30 მილიონი დოლარი გაქრა! მიუხედავად ამისა, კაციშვილი ხელს ვერ ჰკიდებს, რატომ?**

— გიგა ბოკერიას იმიტომ ვერ იჭერენ, რომ მას ამერიკის შეერთებული შტატებისა და დასავლეთის მხარდაჭერა აქვს. აი, სწორედ ამით ატერორებდა ბოკერია სააკაშვილს და აშკარაა, რომ ეს ტერორი დღესაც გრძელდება.

**— მაშინ რა გამოდის, იქამდე მივდივართ, რომ ამ ცოტა ხნის წინათ მედიასივრცეში გამოქვეყნებული ამერიკის სპეცსამსახურების ქართველი აგენტების სია, რომელშიც გიგა ბოკერიას ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უჭირავს, მართალია?**

— დიახ, დიდი ალბათობით, ეს სიმართლეა! მტკიცებითი სამართლის სპეციალისტი გახლავართ და რაიმე საბუთი ხელში არ მიჭირავს, მაგრამ, **დიდი ალბათობით, გიგა ბოკერია და ლევან რამიშვილი დაკავშირებული არიან დასავლეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების გარკვეულ წრეებთან, რაც სააკაშვილის ქცევებზე უდიდეს გავლენას ახდენდა.**

**— ე.წ. „ვარდების რევოლუცია“ საქართველოს უახლეს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე უფრო საკვანძო და სანიშანსვეტო მოვლენაა...**

— არ ყოფილა ეს „ვარდების რევოლუცია“, ეს გახლდათ **კლასიკური გადატრიალება,** რადგან იარაღით შევარდნენ პარლამენტში და შევარდნაძე გამოაძევეს. ჩვენ მაშინ ღმერთმა გადაგვარჩინა, თორემ რუსთაველზე მოხდებოდა უბედურება. **ასლან აბაშიძის მიერ აჭარიდან გამოგზავნილი ხალხი, რომელიც პარლამენტის წინ იდგა, კბილებამდე იყო შეიარაღებული, იარაღი ჰქონდა სააკაშვილის ხალხსაც...** მაშინ პარლამენტში ერთი ტყვიაც რომ გავარდნილიყო, ალბათ, დღესაც სამოქალაქო ომში ვიქნებოდით გახვეული. არ ვიცი, როგორ გადავრჩით, ალბათ, ერი განწირული არ იყო!

**— გქონდათ თუ არა ინფორმაცია იმის შესახებ, რა შეიარაღებას ფლობდნენ სააკაშვილი და მისი მომხრეები, როცა პარლამენტში შევარდნენ?**

— მაშინ გენერალური პროკურორის მოადგილე ვიყავი და ყველაფერი ვიცოდი! კიდევ ერთხელ გეუბნებით —

**სულ ორ-ორი**

## იარაღი ჰქონდათ გარჭობილი, როცა პარლამენტში შევარდნენ და ეს იყო „ვარდების რევოლუცია“?

ეს იყო კლასიკური გადატრიალება და სწორედ ასე ვასწავლი ამ ყველაფერს ჩემს სტუდენტებს!

**— თქვენ გამორიცხავთ, რომ შევარდნაძე ე.წ. „ვარდების რევოლუციის“ ავტორებთან — სააკაშვილთან და ჟვანიასთან გარიგებული იყო?**

— დიახ, ამას გამოვრიცხავ! სხვათაშორის, შევარდნაძეს ჰქონდა ერთი თვისება — ისე კულტურულად „ჩაუშვებდა“ ადამიანს, ვითომც არაფერი! ედუარდმა ერთხელ თქვა — **ზურაბ ჟვანიას** საერთოდ არ ვიცნობდი, მაგრამ ამერიკელებმა, კერძოდ, **მაკ-კეინმა** მითხრა — თუ გინდათ, რომ გვერდში დაგიდგეთ და დაგეხმაროთ, ჟვანია პარლამენტის თავმჯდომარედ უნდა დანიშნოო! მეც ავდექი და, მიუხედავად იმისა, რომ ამ კაცს არ ვიცნობდი, პარლამენტის თავმჯდომარედ დავნიშნეო! ჟვანიამ შემდეგ მოიყვანა სააკაშვილი და მოინდომეს უმაღლესი მწვერვალების დაპყრობა... დაიპყრეს კიდეც... ხაზგასმით ვაცხადებ: **როცა მოსამართლეების დანიშვნა ხდებოდა, შევარდნაძემ სააკაშვილს ვერცერთ საკითხში ვერ გაუწია წინააღმდეგობა.**

**— შევარდნაძე მშიშარა კაცი არ ყოფილა და დავიჯეროთ, სააკაშვილის, ჟვანიასა და ე.წ. „რეფორმატორების“ გუნდმა დააფრთხო?**

— დიახ, შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ასე იყო. აი, მაგალითად, ეკონომიკურ სფეროში რამდენიმე კაცი იყო გათავისუფლებული და ახალი კადრები გახლდათ დასანიშნი. თუ არ ვცდები, საქმე ეხებოდა შემოსავლების მინისტრისა და ფინანსთა მინისტრების ვაკანსიებს... გუშინდელივით მახსოვს, შევარდნაძემ განაცხადა — **სანამ ჟვანია ამერიკიდან არ დაბრუნდება, მანამდე საკითხი ვერ გადაწყდებაო!** შევარდნაძე სწორედ სააკაშვილისა და ჟვანიას მეშვეობით არეგულირებდა დასავლეთთან ურთიერთობას... ეს არ გახლავთ ჩემი მოსაზრება, ეს ფაქტია! იმავე მოსამართლეების დანიშვნის დროს იყო მოსაზრებები, რომ ესა თუ ის პიროვნება არ დანიშნულიყო, მაგრამ სააკაშვილი რასაც იტყოდა, ყველაფერი ისე კეთდებოდა და შევარდნაძე წინააღმდეგობას ვერ უწევდა.



## „სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ნუგზარ საჯაიამ ნამდვილად თავი მოიკლა! არავინ შეგაცდინოთ და დაგარწმუნოთ, რომ ის მოკლეს!“

**— შევარდნაძე პოლიტიკიდან ისე წავიდა, რომ წაუგებელი თამაში ითამაშა... მან დატოვა უმძლავრესი ფინანსური იმპერია, ყველაფრით უზრუნველყოფილი ოჯახი და ა.შ. თუ ლაპარაკობდა ედუარდი თავისი მემკვიდრის შესახებ?**

— შევარდნაძე ისეთი კაცი იყო, მისგან ვერაფერს გაიგებდი — ერთს ამბობდა, მეორეს ფიქრობდა და მესამეს აკეთებდა! რაც მე ინფორმაცია მაქვს, ედუარდი ხან ერთს ჰპირდებოდა, ჩემი მემკვიდრე იქნებიო, ხან — მეორეს და ხანაც — მესამეს, მაგრამ რეალურად ვისზე ფიქრობდა, კაციშვილმა არ იცის. **თუ ჩემი აზრი გაინტერესებთ, ეგ საერთოდ არავისზე ფიქრობდა!** *(იცინის).*

**— ნუგზარ საჯაიამ თავი მოიკლა თუ მოკლეს?**

— სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ **ნუგზარ საჯაიამ** ნამდვილად თავი მოიკლა! არავინ შეგაცდინოთ და დაგარწმუნოთ, რომ ის მოკლეს...

**— რა გაძლევთ ამის თქმის საფუძველს?**

— იმ მექანიზმების გათვალისწინებით, რაც იქ არსებობდა, **ნუგზარ საჯაიას** მკვლელობა შეუძლებელი იყო! ნუგზარ საჯაიამ თავი რომ მოიკლა, თათბირი ჰქონდა დანიშნული და გარეთ ოცი კაცი ელოდებოდა... სხვათაშორის, თვითმკვლელობის შემდეგ პირველი გვამთან მე მივედი... რაც მაშინვე თვალში მომხვდა, ის სტატია იყო, რომელიც მის წინააღმდეგ **თენგიზ კიტოვანმა** გამოაქვეყნა და ათას უბედურებაში ამხილა. არაფერი სხვა მაგიდაზე არ ყოფილა, მხოლოდ ეს სტატია იდო, რაც აშკარად ქმნიდა იმის საფუძველს, რომ ნუგზარ საჯაიამ ეს უმძიმესი გადაწყვეტილება მიიღო. ზუსტად დილის 10 საათზე უნდა დაეწყო თათბირი... ათს რამდენიმე წუთი აკლდა, როცა მასთან მდივანი შევიდა და მოახსენა — **ბატონო ნუგზარ, თათბირისთვის მზად არიანო!** — დამელოდონ ცოტა ხანიო! — უთხრა მდივანს საჯაიამ... აი, სწორედ მაშინ მოიკლა მან თავი... კაცი რომ არ გამოვიდა კაბინეტიდან და თან გასროლის ხმაც გაისმა, შევიდნენ და ნახეს, რა მდგომარეობაშიც იყო.

**— რა არის საქართველოს გენერალური პროკურატურისთვის ცნობილი ჟიული შარტავას დახვრეტის შესახებ?**

— ჟიული შარტავას დახვრეტის საქმეზე პირადად მე დავკითხე **ლორიკ მარშანია,** რომელიც მისი მოადგილე იყო. სხვათაშორის, ჟიულის გვამი რომ გადმოეცათ, შევარდნაძემ მოსკოვიდან ვილაცები ჩარია. **ლორიკ მარშანიამ** ხაზგასმით მითხრა — ჟიულის ვეუბნებოდი, რომ წავსულიყავით, რადგან ისინი ჩვენ არ დაგვინდობდნენ, მაგრამ უარი განმიცხადა და მითხრა — არა, მაგათ უნდა დავხვდე და ვკითხო, ბოლოს და ბოლოს რა უნდათ? **ლორიკ მარშანიამ** გარკვევით მითხრა: **ჟიულის ვაფრთხილებდი — პრეზიდენტის განკარგულებაა, რომ დავტოვოთ შენობა და წავიდეთ! ჟიულის ქცევა ფანატიკური იყო და არ დამიჯერა!**

**— ჟიული შარტავა ნაწამები იყო?**

— დიახ, ჟიული შარტავა აწამეს! გვამი რომ დავათვალიერეთ, მუხლები გადაყვლეფილი ჰქონდა, ნათრევი იყო...

**— არსებობს ძალიან გავრცელებული აზრი იმის შესახებ, რომ ჟიული შარტავა შევარდნაძემ სასაკლაოზე განგებ, მიზანმიმართულად გაგზავნა, რათა უმაღლესი საბჭოს შენობიდან ცოცხალი ვერ გამოსულიყო და თბილისში დაბრუნებულს აფხაზეთის ომზე სიმართლე არ ეთქვა!**

— არა, **ლორიკ მარშანიას** ჩვენების მიხედვით, ასე არ იკვეთება... ჟიულისთან სოხუმის მერი **გურამ გაბისკირია** დარჩა, რომელმაც ის არ მიატოვა... მოგეხსენებათ, გაბისკირიაც მასთან ერთად დახვრიტეს!

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***







## „სააკაშვილის უბედურება ის გახლდათ, რომ ბოკერია-რამიშვილის ტყვეობაში იმყოფებოდა!“

## „დანამდვილებით ვიცი, რომ გიგა ბოკერიას წინააღმდეგ არაერთი სისხლის სამართლის საქმე არსებობს, მაგრამ მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებული არ არის!“

## კვირგვინოსნები

**მიხეილ სააკაშვილი**
*პატიმარი*



ალა პუგაჩოვამ პირველად ღიად დაგმო ომი. რუსეთში ის დიდი ავტორიტეტია და მის სიტყვას უდავოდ აქვს წონა. თანაც **მას ვერავინ დაიჭერს და დააშინებს,** იმდენად დიდი სახელი აქვს *(სხვათაშორის მისი ქმარი მაქსიმ გალკინი ოდესაში პირდაპირ უყურებს ჩემს ბინას).*

„აიპრესი“

**ზურა ყიფშიძე**
*მსახიობი*



იმ საღამოს ერთად ვიყავით. **რეზო გაბრიაძე** ნარდს თამაშობდა, **ბატონი ეროსი** *(მანჯგალაძე. რედ.)* კვერცხს თქვეფდა, თან ღიღინებდა. მე ფეხმძიმე მყავდა ცოლი და ვუთხარი, **ბატონო ეროსი,** ვერ დავრჩები, ლელა მელოდება-მეთქი. მოიცა, კაცო, ლიმონიანი ჩაი დავლიოთო. მალე წამოვედი, იქიდან ხილიანამდე 5-7 წუთი დამჭირდა, მეტი არა. სახლში შევედი და ლელა მეუბნება, არ ინერვიულო, ახლა რასაც გეტყვიო. რა ხდება-მეთქი? **ეროსი აღარ არისო!** ხომ არ გაგიჟდი, იქიდან მოვდივარ ახლა-მეთქი. ამწუთას **რეზო გაბრიაძემ** დარეკა, ზურა რომ გავიდა სახლიდან, ცოტა ხანში სამზარეულოდან დაცემის ხმა გავიგონეთ და რომ შევედით, გული გაჩერებული ჰქონდაო. მაინც არ დავუჯერე და უკან ავბრუნდი. მახსოვს, მისი სახლისკენ ხალხი როგორ გარბოდა, **ელიზერ მაღალაშვილი** როგორ ღრიალებდა. აი, მაშინ ვიგრძენი, როგორ დავობლდი. **ის ჩემთვის მამასავით იყო.**

„კვირის პალიტრა“

**გიორგი კალანდია**
*ისტორიკოსი, ხელოვნებათმცოდნე, სასახლეების გენერალური დირექტორი*



ფაქტია, რომ დადიანების სასახლე ფონდ **„ქართუს“** და **ბიძინა ივანიშვილის** გადარჩენილია.

„საქართველოს რესპუბლიკა“

# სააკაშვილის „ძალის გამოღვიძება“ და რუსთავის საპყრობილეში მიძინება!

## პატიმარ სააკაშვილის ციხეში საკითხავი




***„ასავალ-დასავალი“ აგრძელებს მიხეილ სააკაშვილის ქართულ ენაზე დასტამბული მემუარების მიმოხილვას. ეს წიგნი ნაცთა ფიურერმა ჯერ კიდევ უკრაინაში ცხოვრებისას გამოსცა და იმდენად არის საინტერესო, რამდენადაც სწორედ ამ ნაშრომით გეგმავდა საქართველოში სარევოლუციოდ „ძალის გამოღვიძებას“, როგორც ადოლფ ჰიტლერი თავისი „მაინ კამპფით“, ანუ „ჩემი ბრძოლით“!***

**მიხეილ სააკაშვილი** აგვისტოს ომზე საუბრისას ყველანაირად ცდილობს, რომ პასუხისმგებლობა აიცილოს და ათასი ჭორმართლის გამოგონებით აპირებს „ქვემოდან გამოძრომას“! თუნდაც ქართული ჯარების უკან დახევის მისეული ახსნა ავიღოთ:

***„მიუხედავად იმისა, რომ ხელი მოვაწერეთ დოკუმენტს ცეცხლის შეწყვეტისა და ჯარების გამიჯვნის თაობაზე, რუსული ჯარი მაინც წინ მოიწევდა. ჩვენ დასახლებული პუნქტებიდან ჩვენი შეიარაღებული ძალები გამოგვყავდა, რუსული არმია კი მაშინვე ამ ტერიტორიას იკავებდა. უკან ნებისმიერ შემთხვევაში უნდა დაგვეხია, რადგან ლარსს უახლოვდებოდა რუსეთის სხვა ჯავშანსატანკო კოლონა. ჩვენ რომ თბილისიდან ჩრდილოეთით დავრჩენილიყავით და ის კოლონა რომ შემოსულიყო, მთელი ჩვენი არმია ალყაში აღმოჩნდებოდა. რუსები ცხინვალიდან გორში შევიდნენ და გარკვეული პაუზის შემდეგ თბილისისკენ დაიძრნენ“*** *(მ. სააკაშვილი, „ძალის გამოღვიძება“ გვ. 189).*

რა თქმა უნდა, მემუარისტი მწარედ ცრუობს: სარკოზის დოკუმენტს ხელი 12 აგვისტოს მოეწერა და ქართული ჯარი უკვე 10 აგვისტოსთვის გამოყვანილი იქნა ბრძოლის ველიდან — უფრო სწორად, **გაქცეული მხედართმთავრის** მიერ მიტოვებული!

არავითარი რუსული ჯავშანკოლონა ლარსის მხრიდან არ აპირებდა შემოსვლას, მითუმეტეს, რომ რუსეთმა მიიღო თავისთვის სასურველი პირობებით სარკოზის დოკუმენტი და უკვე ახალგორშიც იყო შესული და კოდორის ხეობაშიც, ანუ იმ ტერიტორიებზე, რომლებიც სააკაშვილმა თავად მოაქცია აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ადმინისტრაციულ საზღვრებში და გაუმზადა კრემლს ოკუპაციისათვის!

**სააკაშვილი** სიამაყით იხსენებს, რომ ომის მიუხედავად, სახელმწიფო ინსტიტუტები გამართულად მუშაობდნენ და ის კი არა, პოლიციელები ჯარიმებსაც კი უწერდნენ ხალხსო:

***„ვითარების გაუარესებას ველოდებოდი და მოსახლეობას ქუჩაში გამოსვლა ვთხოვე. ჩემს მოწოდებას ასი ათასობით თბილისელი გამოეხმაურა. ხალხმა გასაოცარი ორგანიზება გამოავლინა. ყველა სახელმწიფო სამსახური მუშაობდა, პოლიციელები ჯარიმებს უწერდნენ, კომუნალური სამსახური გადასახადებს, ანუ ცხოვრება ჩვეულებრივად გრძელდებოდა. ბანკები ფუნქციონირებდნენ, ვალუტა სტაბილური იყო, სასწრაფო დახმარება და ყველა სახელმწიფო სამსახური პირნათლად ასრულებდა თავის მოვალეობას. ადამიანებს ეს ამშვიდებდა“*** *(იქვე, გვ. 189).*

მემუარისტი შეგნებულად ურევს ერთმანეთში თარიღებს — ხალხი რუსთაველის გამზირზე 10 აგვისტოს გამოიყვანეს, 12 აგვისტოს სარკოზის დოკუმენტის ხელმოწერის შემდეგ კი ყველაფერი დასრულებული იყო!

უბრალოდ, სააკაშვილი იმას არ იხსენებს, როგორ მიაწყდა მთელი სანაცეთის ჩინოვნიკობა წითელ ხიდს საქართველოდან გასაქცევად და ქონების ქვეყნიდან გასატანად! და როგორ გაუშვეს „ხალხის დასამშვიდებლად“ საზოგადოებრივი მაუწყებლით 10 აგვისტოს ცნობილი ჰოლივუდური ფილმი **„ზეციური ქალაქი“** — იერუსალიმის დაცემაზე, როდესაც ჯვაროსნებმა სალაჰადინს ჩააბარეს წმინდა ქალაქი! თუ ვინმეს ჰგონია, რომ ეს ფილმი პირადად სააკაშვილის გადაწყვეტილებით არ უჩვენეს, ძალიან გულუბრყვილოა!

სააკაშვილი იმდენად დიდი გარეწარია, რომ აგვისტოს ომის გმირობებსაც კი საკუთარი ავტორიტეტისთვის მიწერას ცდილობს:

***„ქართული ეროვნული ხასიათის საუკეთესო თვისებები სწორედ აგვისტოს ცხელ დღეებში გამოვლინდა. რუსებმა და ოსებმა, რომლებიც მათთან ერთად მოქმედებდნენ, ტყვედ აიყვანეს დაჭრილი ქართველი ოფიცერი გიორგი ანწუხელიძე. მას აწამებდნენ და წამების პროცესს ვიდეოკამერაზე იღებდნენ. მწვალებლები სიცოცხლის შენარჩუნებას დაჰპირდნენ, თუკი გიორგი პრეზიდენტ სააკაშვილს შეურაცხყოფას მიაყენებდა და დამპყრობლების ფეხდადგმულ მიწას აკოცებდა. გასისხლიანებულმა, უმოწყალოდ ნაცემ-ნაბეგვმა, ამ მოთხოვნების შესრულებაზე გადაჭრით უარი უთხრა. ცემაში ამოხდა სული. სიკვდილის შემდეგ გიორგი საქართველოს გმირის ორდენით დავაჯილდოვე“*** *(იქვე, გვ. 190).*

სამაგიეროდ, სააკაშვილი კრინტს არ ძრავს, როგორ დატოვა ბრძოლის ველზე ათობით დაღუპული ქართველი ჯარისკაცი, რომელთა გადასვენებას რუსული საოკუპაციო არმიის სარდლობა პირდაპირ ტელეეთერებში იხვეწებოდა! და რომ არა **საქართველოს პატრიარქის** ძალისხმევა და ქართველი მღვდელმსახურების შემართება, იმ ზაფხულის ხვატში ველზე დაყრილ ქართველთა გვამებს, ძაღლი და ღორი შეჭამდა!

მემუარისტი იმავდროულად ერთ ძალიან საგულისხმო და ჩვენში ნაკლებად გახმაურებულ ნიუანსს იხსენებს, როგორ აპირებდა აგვისტოს ომისას თურქეთი აჭარაში შემოჭრას:

***„რუსეთის არმია აჭარის ადმინისტრაციულ საზღვართან გაჩერდა. როგორც ეტყობა, თურქეთის შეეშინდათ, რომელსაც შეეძლო, 1920 წლის ყარსის ხელშეკრულებით ესარგებლა და დაეცვა აჭარის ამ ხელშეკრულებით გარანტირებული ავტონომია. თურქეთმა საქართველოს საზღვართან თავი მოუყარა 45000 სამხედრო მოსამსახურესა და დიდი რაოდენობით ჯავშანტექნიკას. დღემდე მე ზუსტად არ ვიცი, რის გაკეთებას აპირებდნენ თურქები. შესაძლებელია, ეს საშტატო განგაში იყო, მაგრამ იქნებ მართლაც შემოსვლას აპირებდნენ. თეორიულად, თუკი რუსები წინ წაწევას შეეცდებოდნენ, თურქებს შეეძლოთ, უბრალოდ, შემოსულიყვნენ და აჭარა დაეკავებინათ“*** *(იქვე, გვ. 191).*

მემუარისტი მორიგ სასწაულ ზღაპარს ყვება, თუ როგორ აიძულა ამერიკა, დაეცვა თბილისი დაბომბვისაგან:

***„ომის დაწყების შემდეგ ვაშინგტონიდან თბილისში ამერიკის ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს ევროპული მიმართულების ხელმძღვანელი მეთიუ ბრაიზა ჩამოვიდა. მორიგი შეხვედრისას მან მაცნობა, რომ რუსები დედაქალაქის აეროპორტის დაბომბვას აპირებდნენ და სთხოვენ ამერიკული სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავის გაყვანას, რომელიც წინა სამხედრო სწავლების შემდეგ ჩვენთან დარჩა. „თქვენ რა უპასუხეთ“? — ვკითხე მე. „ჩვენ თვითმფრინავის გაყვანას ვაპირებთ, მაგრამ შენ არ ინერვიულო. მე დავრჩები და თუ დაგვჭირდა, ხელში ავიღებ ავტომატს და როგორც შენი მეგობარი, თქვენთან ერთად დავიცავ პრეზიდენტის სასახლეს“ — მითხრა მან. „ავტომატით ხელში რომ აპირებ ჩვენს დაცვას, ეს უკანასკნელი რამ არის, რაც ამერიკის წარმომადგენლისგან მინდა, მოვისმინო. ახლა კი გადაეცი ვაშინგტონში, რომ თვითმფრინავის გაყვანა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, და, საერთოდ, ბუშს მინდა, ვესაუბრო“*** *(იქვე, გვ. 191).*

ანუ სააკაშვილი იმდენად შეიჭრა როლებში, რომ სურს, ამხელა აბსურდში დაგვარწმუნოს: **რუსები ამერიკას უთანხმდებდნენ თბილისის აეროპორტის დაბომბვასო!** ვის რაში ანაღვლებდა ამერიკული თვითმფრინავი, როდესაც აეროპორტის მწყობრიდან გამოსაყვანად საკმარისი იყო სულ ერთი რაკეტა ასაფრენი ზოლის დასაბომბად და მორჩა!

და, საერთოდ, ვის რაში სჭირდებოდა თბილისის აბსოლუტურად არამილიტარიზებული სამოქალაქო აეროპორტის დაბომბვა, როდესაც რუსებს ვაზიანის ან მარნეულის სამხედრო აეროპორტებიც კი არ დაუბომბავთ...

რაც შეეხება სააკაშვილის **ჯორჯ ბუშთან** სატელეფონო საუბარს, მემუარისტი ამას ასე აღწერს:

***„ბუში პეკინიდან ცოტა ხნით ადრე დაბრუნდა. მან გვიან საღამოს, დაახლოებით თორმეტის ნახევარზე, როგორც იქნა, ტელეფონის ყურმილი აიღო. ბუში ყოველთვის იუმორით, ოპტიმისტურად მესაუბრებოდა. ახლა მეუბნება — როგორც ეტყობა, შენი საქმეები არცთუ ისე კარგად არის. „ჩემი საქმეები ახლა მთავარი არაა — ვუპასუხე მე, — შენი საქმეები როგორ არის, ჯორჯ?*** *(მე მას ყოველთვის მივმართავდი „მისტერ პრეზიდენტო“ ახლა კი სახელით მივმართე).* ***დაფიქრებულხარ, რომ შენი საქმეებიც ცუდად არის, რომ საბჭოთა კავშირი, რომელიც მამაშენის დროს დაიშალა, შენს დროს ისევ იწყებს აღორძინებას და ეს შენი მემკვიდრეობა იქნება. ვიდრე ჩვენ ვსაუბრობთ, ჩვენთან შეიძლება ყველაფერი გაანადგურონ და არ არის გამორიცხული, რომ ეს ჩვენი ბოლო საუბარია, მაგრამ აქ საქმე ჩემში კი არა, თქვენშია“*** *(იქვე, გვ. 192).*

ანუ, თუ სააკაშვილს დავუჯერებთ, მას, როგორც იტყვიან, ერთი დედა არ უგინებია ამერიკის პრეზიდენტისთვის, თორემ, სხვა ყველაფერი აკადრა!

იქვე, სააკაშვილი იმასაც ამბობს, **ჯორჯ ბუშთან** საუბრის აღწერისას, ჩანართის სახით, როგორ შესთავაზეს, თურმე, ამერიკელებმა ოჯახთან ერთად საქართველოდან გაქცევა:

***„ბუშთან საუბრამდე, ამერიკელებმა დიპლომატიური არხებით მაცნობეს, რომ მზად არიან, მე და ჩემი ოჯახი ქვეყნიდან გაგვიყვანონ, რომ აეროპორტი ღიაა, მე ვუპასუხე, რომ ამაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია“*** *(იქვე, გვ. 192).*

ამის შემდეგ მემუარისტი ისევ აგრძელებს ამერიკის პრეზიდენტთან სატელეფონო საუბრის შესახებ თხრობას:

***„მე ხმას ავუწიე, ბუში მეუბნება: „ნუ მიყვირი, გეთაყვა, დრო მომეცი, ყველას თავს მოვუყრი. ეს თხოვნა — „დრო მომეცი — რამდენჯერმე გამიმეორა...***

*ბუშმა, როგორც დამპირდა, სხდომა მოიწვია, რომლის შემდეგ ამერიკამ სამხედრო ჰუმანიტარული ოპერაციის დაწყება გამოაცხადა. „ჩვენ დავიცავთ საქართველოს დემოკრატიულად არჩეულ მთავრობას“ — განაცხადა ბუშმა.* ***რაისმა გაეროს ლავროვის სიტყვები გადასცა: „აგრესორის მიზანია სააკაშვილის ჩამოგდება, ამერიკელებმა ეს ხელზე დაიხვიეს და გაეროს უსაფრთხოების კომიტეტში*** *( უშიშროების საბჭოზე, მიშიკო — გ.გ.)* ***საქართველოს საკითხი მწვავედ დააყენეს. დემოკრატიულად არჩეული პრეზიდენტის ჩამოგდება ამერიკის ფასეულობებს ეწინააღმდეგება. შეერთებული შტატების პოზიცია კატეგორიული იყო: „ჩვენ ამას არ დავუშვებთ“. ეს გახდა შემობრუნების მომენტი“*** *(იქვე, გვ. 192).*

აი, ასე გააბითურა **სააკაშვილმა** სრულიად ამერიკა: თურმე, ამერიკა აგვისტოს ომისას რუსეთს საქართველოს სუვერენულ ტერიტორიაზე უკანონოდ შეჭრის გამო კი არ დაუპირისპირდა, არამედ „დემოკრატიულად“ არჩეული პრეზიდენტ სააკაშვილის თანამდებობაზე დასატოვებლად!

თანაც სატელეფონო საუბრისას სააკაშვილის მიერ ბუშზე ყვირილის შედეგად! ახლა, გინდ, დაიჯერეთ, გინდ — არა!

***გიორგი გიგაური***

***გაგრძელება იქნება***




## მიხეილ სააკაშვილი:

## თუკი რუსები წინ წაწევას შეეცდებოდნენ, თურქებს შეეძლოთ, უბრალოდ, შემოსულიყვნენ და აჭარა დაეკავებინათ!

***ადამიანის სხეულის ტემპერატურა ბევრ რამეზე მეტყველებს!.. ცნობილი ჰომეოპათი, ექიმი კახა საბახტარიშვილი გვაფრთხილებს, რომ ადამიანისთვის დაბალ ტემპერატურად ითვლება 36 გრადუს ცელსიუსზე დაბალი მაჩვენებელი, რასაც ჰიპოთერმია ეწოდება. ქართველი მეცნიერის განცხადებით, ვისაც გულ-სისხლძარღვთა დაავადებები აწუხებს, მან ცხელი აბაზანისა და საუნის შემდეგ ცივი წყალი ერთბაშად არ უნდა გადაივლოს და ორგანიზმი ამ პროცედურას ნელ-ნელა შეაგუოს!***




## კახა საბახტარიშვილი:

# დაბალი იმუნიტეტის მქონე ადამიანები ნორმაზე დაბალ ტემპერატურას ატარებენ!

— ადამიანის სხეულის ნორმალურ ტემპერატურად ცელსიუსით **36,6 გრადუსს** მიიჩნევენ, სინამდვილეში კი ეს მაჩვენებელი შესაძლოა, 36,1-37,2 გრადუსის ფარგლებში მერყეობდეს. 70 წელს გადაცილებულ ადამიანებში ნორმალური ტემპერატურა შესაძლოა, 34 ან 35 გრადუსი ცელსიუსიც კი იყოს... ეს განპირობებულია იმით, რომ მათ ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლა შენელებულია. სწორედ ამით არის გამოწვეული ის ფაქტი, რომ, თუ ახალგაზრდისთვის 38 და 39 გრადუსი ცელსიუსი ვერავითარ პრობლემას ვერ ქმნის, მოხუცისთვის 37 გრადუსიც კი ძალზე სახიფათოა. ამიტომ ჩემი რჩევაა — **70 წელს გადაცილებულმა ყველა ადამიანმა დაადგინოს, თუ რა არის მისი ნორმალური ტემპერატურა და როცა გრიპის, გაციების ან რაიმე ინფექციის დროს 37 გრადუსი დაუფიქსირდება, მიიღოს საგანგებო ზომები.**




მოხუცებისთვის 37 გრადუსი ტემპერატურა ახალგაზრდის 39 გრადუსს უდრის!

**— ბატონო კახა, არიან ადამიანები, რომლებიც არ არიან მოხუცები, მაგრამ დაბალ ტემპერატურას ატარებენ. რას იტყვით მათ შესახებ?**

— დავიმახსოვროთ, რომ ადამიანისთვის დაბალ ტემპერატურად ითვლება 36 გრადუს ცელსიუსზე დაბალი მაჩვენებელი და მას **ჰიპოთერმია** ეწოდება. ჰიპოთერმია შესაძლოა, ხანმოკლე დროის განმავლობაში განვითარდეს და გამოიწვიოს სხვადასხვა ფაქტორმა: 1) ყინვაში თხელი ტანსაცმლით დიდი ხნის განმავლობაში ყოფნამ; 2) სველი ტანსაცმლის დიდხანს ტარებამ; 3) ცივ წყალში დიდი ხნის განმავლობაში დგომამ და 4) ზოგიერთი ინფექციური დაავადების დროს დიდი რაოდენობით სიცხის დამწევი პრეპარატების მიღებამ. ასეთ დროს თუ შესაბამისი ზომები მიღებული იქნება, ადამიანი თავის ნორმალურ ტემპერატურას მალევე დაუბრუნდება, მაგრამ,

**თუ ადამიანის სხეულის ტემპერატურა ნორმალურთან შედარებით 1-1,5 გრადუს ცელსიუსით მუდმივად დაბალია, ეს უკვე ბევრი საშიში პათოლოგიის**

### „მოხუცებისთვის 37 გრადუსი ტემპერატურა ახალგაზრდის 39 გრადუსს უდრის!“

### „ცხელი აბაზანის შემდეგ ცივი წყლის გადავლება ზედმეტი ცხიმების დასაწვავად და წონაში დასაკლებად შესანიშნავი მეთოდია!“



**მანიშნებელი შეიძლება იყოს!**

ასეთ დროს ადამიანის პულსი დაბალია, გულის შეკუმშვის სიხშირე მკვეთრად მცირდება, წნევა ეცემა და ადამიანი გრძნობს საერთო სისუსტეს. ასიდან 90 პროცენტ შემთხვევაში ასეთ სიტუაციაში ადამიანი, როგორც წესი, კარდიოლოგთან მიდის, რაც არასწორია და დრო იკარგება... თუ ზემოხსენებული სიმპტომები გაწუხებთ, მაშინ აუცილებლად გაიზომეთ ტემპერატურა! **თუ ტემპერატურა ნორმაზე დაბალია, მაშინ უნდა გამოვრიცხოთ შემდეგი დაავადებები — ჰიპოთირეოზი, „ცე“ ვიტამინის ნაკლებობა, ანემია, ანუ სისხლნაკლებობა, თირკმელზედა ჯირკვლის პათოლოგია, თავის ტვინის დაავადებები, ჰიპოგლიკემია და გრიპი...**

გრიპი ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლოა, ნორმაზე დაბალი ტემპერატურით დაიწყოს, რაც იმით არის განპირობებული, რომ ბევრ ადამიანს იმუნიტეტი დაქვეითებული აქვს... ხოლო დაბალი იმუნიტეტის მქონე ადამიანები ნორმაზე დაბალ ტემპერატურას ატარებენ! ამის ნათელი მაგალითია შიდსი... შიდსიან პაციენტებს, როგორც წესი, სხეულის ტემპერატურა ყოველთვის დაბალი აქვთ!

**— როგორი ტემპერატურა ითვლება საშიშ ზღვრად?**

— თუ ადამიანის ტემპერატურა **32 გრადუს ცელსიუსამდე** დაეცა, განგაში უნდა გამოცხადდეს! ასეთ დროს მართალია, ადამიანის წნევა ნორმაშია, გონება საღი და ნათელია, მაგრამ იწყება კანკალი, სისუსტე და ძილიანობა. ტემპერატურის **29 გრადუს ცელსიუსამდე** დაცემის დროს წნევაც მკვეთრად ეცემა, პულსი ძალიან დაბალია, ხოლო გულის მუშაობა — მკვეთრად შენელებული! ასეთ დროს კანკალი სახეზე არ გაქვს, კანი ცივი და მოლურჯოა, შემცივნების გრძნობა ქრება და ადამიანს ძილი ეუფლება. **თუ ტემპერატურა 27 გრადუს ცელსიუსს ქვემოთ დაეცა, ადამიანი კომატოზურ მდგომარეობაში გადადის.** სხვათაშორის, გულის ზოგიერთი რთული ოპერაციის დროს პაციენტს ტემპერატურას ხელოვნურად უგდებენ, რათა გულის მუშაობა მკვეთრად შეანელონ... რაც შეეხება ტემპერატურის ზედა საშიშ ზღვარს, **თუ ტემპერატურამ 39 გრადუს ცელსიუსს გადააჭარბა და სიცხე დაბლა არ იწევს, იწყება ცილების დაშლა, ანუ დენატურაცია, რაც ორგანიზმისთვის დამღუპველია.** ამიტომ ასეთი მაღალი სიცხე აუცილებლად დაბლა უნდა დავწიოთ!

**— ბატონო კახა, რამდენ ხანს შეუძლია ადამიანს ცივ, ყინულოვან წყალში გაძლოს?**

— თუ წყლის ტემპერატურა პლუს **5 გრადუსიდან პლუს 15 გრადუსამდეა,** მაშინ ადამიანი ასეთ წყალში **3,5-4,5 საათის** განმავლობაში გაძლებს, მაგრამ, თუ ეს მაჩვენებლები პლუს **2-დან პლუს 3 გრადუს ცელსიუსამდე** მერყეობს, მაშინ ასეთ წყალში ადამიანი **10-15 წუთი** თუ გაძლებს. თუმცა, არსებობენ ე.წ. მორჟები, რომლებიც ცივ, ყინულოვან წყალში, ფაქტობრივად, ბავშვობიდან „ცხოვრობენ“... გინესის რეკორდების წიგნში დაფიქსირებულია, რომ ყინულოვან წყალში ადამიანმა **2 საათი და 7 წუთი გაძლო!**




**— რამდენად რეკომენდებულია ცხელი აბაზანის ან საუნის შემდეგ ცივ წყალში ბანაობა?**

— ცხელი აბაზანის ან საუნის შემდეგ ცივ წყალში კი არ უნდა ვიბანაოთ, არამედ ცივი წყალი 5-10 წამის განმავლობაში უნდა გადავივლოთ. ასეთი პროცედურა აძლიერებს იმუნიტეტს, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას, ხსნის დაღლილობას, ადამიანის ორგანიზმში გამოიყოფს სიამოვნების ჰორმონ **ენდორფინს** და ა.შ.

**გვახსოვდეს, რომ ცივი წყლის გადავლების შემდეგ მაშინვე უნდა გავიმშრალოთ.**

**ვისაც გულ-სისხლძარღვთა დაავადებები აწუხებს, იმან ცხელი აბაზანისა და საუნის შემდეგ ცივი წყალი ერთბაშად არ უნდა გადაივლოს და ორგანიზმი ამ პროცედურას ნელ-ნელა შეაგუოს!**

ცხელი აბაზანის შემდეგ ცივი წყლის გადავლება ზედმეტი ცხიმების დასაწვავად და წონაში დასაკლებად შესანიშნავი მეთოდია! ბევრმა არ იცის, რომ ადამიანი ორი სახის ცხიმს შეიცავს — თეთრსა და რუხს! რუხი ცხიმი კისრის, ზურგისა და ბეჭების მიდამოებშია განლაგებული, ხოლო თეთრი — თითქმის ყველგან. როდესაც ცივი წყლის ზემოქმედებით ადამიანის ტემპერატურა უცბად ეცემა, რუხი ცხიმი ასრულებს თერმორეგულატორის როლს, „იყენებს“ თეთრ ცხიმს, წვავს მას და ამით ადამიანის ტემპერატურის შენარჩუნებას ცდილობს. ამ პროცესის შედეგად ცხიმის მასა მცირდება და ადამიანი წონაში იკლებს!

**— რომელი თევზი ბინადრობს ყველაზე უფრო ცივ წყალში?**

— ცივ და ყინულოვან წყლებში ბევრი სახეობის თევზი ბინადრობს, მათ შორის, **კალმახი** და **ლოქო...** ყინულოვან წყლებში მობინადრე თევზებს ის საერთო ნიშანი აქვს, რომ დიდი რაოდენობით ცხიმს შეიცავენ. თუ არა ცხიმი, ისინი წყალში, უბრალოდ, გაიყინებოდნენ. რაკი თევზის ცხიმი „ომეგა-3“-ით და „ომეგა-6“-ით ძალიან მდიდარია, ხოლო ზემოხსენებული ცხიმოვანი მჟავები ადამიანისთვის სასიცოცხლოდ არის აუცილებელი, ცივ და ყინულოვან წყალში მობინადრე თევზები განსაკუთრებით მარგებელი და სასარგებლოა! ამიტომაა, რომ, მაგალითად, ნორვეგიული ორაგული, რომელიც სწორედ ნორვეგიის ყინულოვან წყლებში ბინადრობს, მთელ მსოფლიოში დელიკატესად ითვლება და ძვირად ფასობს.

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

*ავტორთა ჯგუფის — თინათინ საღუნიშვილი, ინეზა მაისაია, ქეთევან ბაცაცაშვილი, შალვა სიხარულიძე, თამაზ დარჩიძე — მიერ წარმოდგენილი და მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიერ (2021 წ. თბილისი) გამოცემული წიგნი „საქართველოს აგრარული კულტურა“ ეხება მეტად მნიშვნელოვან და აქტუალურ თემას — საქართველოს იშვიათი და გადაშენების პირას მყოფი მარცვლოვანი, ფეტვნაირი, პარკოსანი, საზეთე-ბოჭკოვანი კულტურების ისტორიას, ბოტანიკურ დახასიათებას, გავრცელებას, დამუშავების ქართულ ხალხურ წესებს, აგროტექნიკას, გამოყენებას ყოფასა და ხალხურ მედიცინაში. ნაშრომში ასახულია თითოეული კულტურის ისტორია, არქეობოტანიკური და ეთნობოტანიკური მონაცემები, გავრცელება არამხოლოდ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, არამედ მის საზღვრებს მიღმაც, კერძოდ, ლაზეთში, საინგილოში და ა.შ.*

# წიგნი, რომელიც იმსახურებს განსაკუთრებულ ყურადღებას:




# «საქართველოს აგრარული კულტურა»

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს იმ ტრადიციული ცოდნისა და წარმოების პრაქტიკის წარმოჩენა, რომელიც მნიშვნელოვანწილად მივიწყებულია და რომლის გარეშე შეუძლებელია უძველესი ქართული სამეურნეო კულტურების დაბრუნება წარმოებაში.

**მონოგრაფია მოიცავს უაღრესად დიდ და ყოვლისმომცველ, მისხალ-მისხალ შეგროვებულ და ერთად თავმოყრილ ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის, ბოტანიკის, ლინგვისტიკის, ბიოქიმიისა და სხვა მრავალი წყაროს მასალების დამუშავების საფუძველზე მომზადებულ და საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებ უხუცესთა მონათხრობით შევსებულ ინფორმაციას,** სადაც საუბარია თითოეული — როგორც უძველესი ენდემური, ასევე უცხოური — სხვადასხვა ზემოთ აღნიშნული კულტურების გავრცელებასა და მნიშვნელობაზე, მათი მოყვანის წესებზე და ა.შ.

ჩვენი ქვეყანა ტერიტორიული განსხვავებულობის თავისებური კალეიდოსკოპია, რეგიონული სიჭრელისა და განსხვავებულობის მიხედვით საქართველოს ცოტა ანალოგი თუ მოეძებნება მსოფლიოში. ცალკეულ რეგიონებს შორის მკვეთრი განსხვავება ისეთ მნიშვნელოვან მახასიათებელში გამოიხატება, როგორიცაა, ბუნებრივ-კლიმატური, ბუნებრივ-რესურსული, ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალი, ყოფითი ტრადიციები, ადათ-წესები, კულტურა და სხვ. სწორედ ეს ხდის მას მიმზიდველს როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო ტურისტებისათვის, სწორედ ეს განაპირობებს საქართველოს უნიკალურობას მსოფლიო ტურიზმის რუკაზე. ავტორთა მიერ წარმოდგენილი ეს უნიკალური წიგნი კიდევ უფრო მძაფრ ინტერესს აღუძრავს მკითხველს საქართველოს რეგიონების მოსანახულებლად.

**მონოგრაფიას წითელ ხაზად გასდევს, რომ მუდმივ დაცვასა და აღდგენას საჭიროებს საქართველოს მდიდარი და უნიკალური ბიომრავალფეროვნება და ფიტოგენოფონდი, რადგან ნადგურდება ან განიცდის ცვლილებას სხვადასხვა სტიქიური ან ანთროპოგენური ზემოქმედების შედეგად.** მრავალი მცენარე თანამედროვე პირობებში გადაშენების პირას არის მისული, მიმდინარეობს უძველესი გენეტიკური რესურსის განადგურების პროცესი, შესაბამისად, აუცილებელია ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების უზრუნველყოფა. გენეტიკური და სახეობრივი მრავალფეროვნების შესანარჩუნებლად აუცილებელია ენდემური ან იშვიათი და გადაშენების პირას მყოფი მცენარეების მოძიება — სისტემატიზაცია, მონიტორინგი, გავრცელების არეალის დადგენა, რაციონალური და მდგრადი გამოყენების სფეროების გაფართოება, არსებული მონაცემთა ბაზის გაფართოება და ეკოლოგიურად სუფთა სანედლეულო ბაზის შექმნა.

**მონოგრაფიაში განსაკუთრებით საინტერესოდაა გაშუქებული ხორბლის გამოყენების მნიშვნელობა ყოფასა და ხალხურ მედიცინაში — განხილულია საქართველოს სხვადასხვა მხარეში თუ როგორ მკურნალობდნენ სტომატიტს, სასუნთქ გზებს და ორგანიზმის სხვადასხვა ანთებით პროცესებს, ჭრილობებს, კუჭის დაავადებებს, ენდოკრინოლოგიურ სისტემას** და სხვ.

ულამაზესი თხრობითაა წარმოდგენილი ხორბლის კულტურის დამუშავების უძველესი ქართული ხალხური წესები. წარმოდგენილია სრული და ნათელი სურათი იმისა, თუ როგორ ხდებოდა ხორბლის და სხვა კულტურათა გამოყენება სხვადასხვა ბუნებრივი მცენარეების დამატებით, სხვადასხვა გემოვნური თვისებების მატარებელი და ამავდროულად სამკურნალო პროდუქციის მიღება საქართველოს სხვადასხვა კუთხესა თუ სოფელში. ავტორთა მიერ ნათლადაა წარმოდგენილი ქართულ ხალხურ დღეობათა კალენდრის მიხედვით, თუ რა სახის პროდუქცია მზადდებოდა ხორბლისა და სხვადასხვა მარცვლოვანი კულტურებისაგან საქართველოს სხვადასხვა მხარეში. მონოგრაფიაში აღნიშნულია, რომ რელიგიურ დღესასწაულებზე განსაკუთრებული პურეული ცხვებოდა (მამაპაპისეული შტამპით გამოსახავდნენ ზემოდან ჯვრის ან ქართულ ბორჯღალოს გამოსახულებით). პურთანაა დაკავშირებული მრავალი რიტუალი — რიტუალური პურების ცხობა. ყოველივე ეს კი კიდევ უფრო მიმზიდველს და მომხიბვლელს ხდის საქართველოს, როგორც სხვადასხვა მიმართულების, მათ შორის, კულტურული, რელიგიური, აგროტურიზმის მიმზიდველობის ცენტრს.

წიგნში მოცემულია კერძების დამზადების სხვადასხვა ტექნოლოგია, განხილულია საკვებად ვარგისი სხვადასხვა სახეობის მარცვლოვანი კულტურების და მათი მოვლა-მოყვანის აგროტექნოლოგია.

**მონოგრაფიაში აღნიშნულია, რომ მარცვლის ხარისხის მართვა შესაძლებელია აგროტექნიკური ღონისძიებებით და რომ ის იცვლება კლიმატის და ნიადაგის მიხედვით, განოყიერების წესისა და დოზის და, ცხადია, ჯიშების მიხედვით. პურეულთა მარცვლის სასურსათო ღირებულება განპირობებულია მათი ქიმიური შედგენილობით.** აღნიშნულია, რომ მიზანშეწონილია, ქართული ტრადიციული კულტურები ისტორიულად წარმოშობის ადგილებზე დაითესოს, სადაც ისინი რამდენიმე ათეული წლებია, უკვე აღარ გვხვდება; ეს ხელს შეუწყობს არა მხოლოდ გენოფონდის დაცვას, არამედ ხალხში თავისი ტრადიციული თვითმყოფადობის აღდგენას და უნიკალური ქართული გენოფონდის დაკარგვის საშიშროება ნაკლებად იარსებებს. მონოგრაფიაში ნათქვამია, რომ ამ გენოფონდით ფართოდ სარგებლობენ უცხოეთის ქვეყნები, და რომ ამ ხორბლეულის დახმარებით გამოჰყავთ მაღალმოსავლიანი ჯიშები.

ავტორთა მიერ დიდი შრომაა გაწეული წიგნის არსებული სახით მკითხველთათვის წარსადგენად. წიგნი დასურათებულია ფერადი ილუსტრაციებით, რაც განუმეორებელ ელფერს სძენს მას. წიგნი დაწერილია სამეცნიერო-პოპულარული, ადვილად გასაგები ენით — იგი საინტერესოა როგორც სამეცნიერო წრეებისთვის, ასევე მკითხველთა ფართო სპექტრისთვის, მათ შორის, მოსწავლე-ახალგაზრდობისთვის, რომელსაც, სამწუხაროდ, მწირი ცოდნა გააჩნია თავისი ქვეყნის კულტურული მრავალფეროვნების შესახებ. **მონოგრაფია მნიშვნელოვან სამსახურს გაუწევს მათ ცნობიერების ამაღლებაში, საქართველოს უმდიდრესი და ულამაზესი ბუნებისა და ტრადიციების მრავალფეროვნების შეცნობასა და აღმოჩენაში. მონოგრაფია დიდ დახმარებას გაუწევს აგრეთვე აგრარულ სექტორში დასაქმებულ ფერმერებს, მეცნიერ-სპეციალისტებს** და სხვ.

*ნოდარ ბრძოლიშვილი — ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი; ი. ჟორდანიას სახ. საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრი — უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი; საერთაშორისო ექსპერტი რეგიონული ეკონომიკისა და ტურიზმის საკითხებში.*

*ლაურა ქვარაცხელია — ქიმიის დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი; ი. ჟორდანიას სახ. საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრი — მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი.*

## საეკლესიო კალენდარი

✝ 26 სექტემბერი. ორშაბათი. **ენკენია, რომელ არს ხსენება ქრისტეს აღდგომის წმიდა ტაძრის განახლებისა იერუსალიმს. წინადღესასწაული უფლის პატიოსანი და ცხოველმყოფელი ჯვარის ამაღლებისა.** წმიდისა დიდმოწამისა, საქართველოს მნათობისა, კახეთის დედოფლისა ქეთევანისა; მღვდელმოწამისა კორნილი ასისთავისა; მოწამეთა: კრონიდესი, ლეონტისა და სერაპიონისა; მოწამეთა სელევკისა და სტრატონიკესი; მოწამეთა მაკროვოსი და გორდიანესი; მღვდელმოწამეთა: ელიასი, ზოტიკესი, ლუკიანესი და ვალერიანესი.

✝ 27 სექტემბერი. სამშაბათი. **მსოფლიო ამაღლება პატიოსნისა და ცხოველმყოფელისა ჯვარისა. ჯვართამაღლება. მიცვალება იოანე ოქროპირისა, კონსტანტინოპოლელი პატრიარქისა.**

✝ 28 სექტემბერი. ოთხშაბათი. **შემდგომი დღესასწაული ჯვართამაღლებისა.** აბბა იოსებისა, ალავერდელი ეპისკოპოსისა; დიდმოწამისა ნიკიტასი; პოვნა წმიდათა ნაწილთა აკაკი აღმსარებელისა, მელიტინელი ეპისკოპოსისა; მოწამეთა: მაქსიმესი, თეოდოტესი და ასკლიადისა; მოწამისა პორფირისა; პოვნა წმიდათა ნაწილთა პირველმოწამისა მთავარდიაკონისა სტეფანესი; ღირსისა ფილოთეოზ ხუცისა, მცირეაზიელისა, სასწაულმოქმედისა.

✝ 29 სექტემბერი. ხუთშაბათი. მოწამეთა ძმათა ისააკ და იოსებ ქართველთა, კარნუქალაქს წამებულთა; დიდმოწამისა ევფემია ყოვლადქებულისა; მოწამისა სევასტიანესი; მოწამისა მელიტინასი; მოწამეთა ვიქტორისა და სოსთენისა; ღირსისა დოროთესი, მეგვიპტელი მეუდაბნოისა; მოწამისა ლუდმილასი, ჩეხთა დედოფლისა.

✝ 30 სექტემბერი. პარასკევი. მოწამეთა: **პისტისა, ელპიდისა, აღაპისა და დედისა მათისა სოფიოსი;** მოწამეთა თეოდოტიასი და აღათოკლიასი. 156-თა მოწამეთა: პელისი და ნილოსისა, მეგვიპტელ ეპისკოპოსთა, ზენონ ხუცისა, პეტერმუთისი, ელიასი და სხვათა.

✝ 1 ოქტომბერი. შაბათი. **წმიდისა დიდმოწამისა ბიძინა ჩოლოყაშვილისა და წმიდათა ორთა ძმათა მოწამეთა შალვასი და ელიზბარისა, ქსნის ერისთავთა;** ღირსისა ევმენი სასწაულმოქმედისა, ჰორტინელი ეპისკოპოსისა; მოწამისა არიადნასი; მოწამეთა სოფიოსი და ირინესი; მოწამისა კასტორისა.

✝ 2 ოქტომბერი. კვირა. მოწამეთა: ტროფიმესი, საბატიოსისა და დორიმედონტისა; მოწამისა ზოსიმე მეუდაბნოისა.

## არამხოლოდ სტატისტიკა

# ნახევარი

დრო ისეთი რამეა — ამა თუ იმ მოვლენიდან ხან — **100,** ხან — **70,** ხან — **60,** ხანაც სულ რაღაც **50 წელი** გადის, ანუ უფრო წონიანად თუ ვიტყვით, **მთელი ნახევარი საუკუნე!** ჰოდა, ჩვენც ამ **ნახევარსაუკუნოვანი გადასახედიდან** თუ გადავავლებთ თვალს წარსულს, აღმოვაჩენთ, რომ **1972 წლის 29 სექტემბერს** საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმს თვით **ედუარდ შევარდნაძე** მოურთმევია ხონჩით საქართველოს მოსახლეობისათვის, ხოლო რესპუბლიკისათვის დამაშვრალი **ვასილ პავლოვიჩი,** თითქოსდა საკუთარი სურვილით, თანაც პენსიაზე გასვლის






### ამხანაგ ვასილ პავლეს-ძე მჟავანაძეს

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო სულით და გულით გილოცავენ თქვენ, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს თვალსაჩინო მოღვაწეს, თქვენი სამოცი წლისთავის დღეს.

გისურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და შემდგომ ნაყოფიერ მუშაობას საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

### ბრძანებულება

#### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**ამხ. ვ. პ. მჟავანაძისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ**

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატის ამხ. ვ. პ. მჟავანაძის დაბადების სამოცი წლისთავთან დაკავშირებით და კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე მისი დიდი დამსახურების აღსანიშნავად მიენიჭოს ამხ. ვასილ პავლეს-ძე მჟავანაძეს სოციალისტური შრომის გმირის წოდება და გადაეცეს ლენინის ორდენი და ოქროს მედალი „ნამგალი და ურო“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წ. 21 სექტემბერი.

# საუკუნეთის წინ და უკან

მუხლით, ამოუგდია საქართველოს ხელმძღვანელთა რეესტრიდან. დიახ! მხოლოდ რეესტრიდან ამოუგდია და არა მშრომელთა გულებიდან, სადაც მისი სახელი სამუდამოდ ჩადუღაბდა. არადა, თითქოს გუშინ იყო, როცა **ვასილ მჟავანაძეს,** როგორც რესპუბლიკის თავკაცს, სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის **1962 წლის 2 სექტემბრის ბრძანებულებით,** სოციალისტური გმირის წოდება მიენიჭა და გაზეთი „კომუნისტიც" ტრადიციულად სცემდა დაფდაფებს, ხოლო კიდევ 10 წლის უკან, **1952 წლის 19 სექტემბერს,** იგივე გაზეთი რესპუბლიკის ხელმძღვანელად **აკაკი მგელაძის** მოსვლას გვამცნობდა... **კიდევ 10 წლით ადრე** სამამულო ომი მძვინვარებდა, **კიდევ 10 წლით ადრე,** 1932 წელს, სტალინის მეუღლე გამოეთხოვა წუთისოფელს, **კიდევ 10 წლის უკან** კი საბჭოთა კავშირის შექმნის ცნობა ედებოდა მსოფლიოს... იმ შორეული **1922 წლიდან** უკვე საუკუნე გასულა და რუსთხელმწიფე თითქოს ხელახლა ეპოტინება „თავისუფალ ერთა მძლე კავშირის" იდეას. **დიახ, საბჭოთა კავშირი მართლაც 100 წლის წინათ შეიქმნა, ანუ შევარდნაძის 50 წლის წინანდელ მოსვლას კიდევ 50 წელი რომ გამოვაკლოთ...** ეს ხომ მთლად **2 ედუარდია,** თუმცა, საქართველოსთვის, ვგონებთ, ერთიც საკმარისზე მეტი იყო... მოდით, სსრკ-ის შექმნის თარიღზე — **1922 წლის 30 დეკემბერზე** — 10 წლით უკან ნუღარ წავალთ, თორემ მთლად **1912 წელს მივადგებით,** როცა ლეგენდარული „ტიტანიკი" შეასკდა აისბერგს, **ნურც შევარდნაძის პირველი მოსვლიდან, ანუ 1972 წლიდან ვივლით 10-10 წლის ინტერვალით, თორემ ჯერ 1982 წელს ლეონიდ ბრეჟნევის გარდაცვალებასთან მივალთ, ხოლო 1992 წელს — იგივე შევარდნაძის მეორე მოსვლასთან საქართველოს სათავეში,** რასაც წინ ზვიად გამსახურდიას დამხობა უსწრებდა. მოკლედ, **10-10 წლით,** გნებავთ, **50-50 წლით წინ და უკან სიარული** ფრიად საშიშია, **მთლად რამე ლენინური რომ არ გამოგვივიდეს!**

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

**კომუნისტი**

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

30 სექტემბერი შაბათი 1972 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 56 (15269)

## საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

თბილისი, 29 სექტემბერი. (საქინფორმი). აქ გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა დააკმაყოფილა ამხ. ვ. პ. მჟავანაძის თხოვნა ასაკის გამო პენსიაზე გასვლის შესახებ და ამასთან დაკავშირებით გაათავისუფლა იგი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნისა და ბიუროს წევრის მოვალეობისაგან.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად არჩეულია ამხ. ე. ა. შევარდნაძე, რომელიც მანამდე პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად მუშაობდა.





პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

**კომუნისტი**

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО КОМИТЕТА КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР ☆ გამოცემის 33-ე წელი

№ 223 (9383) | პარასკევი, 19 სექტემბერი, 1952 წ. | ფასი 20 კაპ.

## საინფორმაციო ცნობა
## საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

1952 წლის 18 სექტემბერს გაიმართა საქართველოს კომპარტიის V ყრილობის მიერ არჩეული საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პირველი პლენუმი.

პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად პლენუმმა აირჩია ამხ. ა. ი. მგელაძე.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნად არჩეულია ამხ. ვ. გ. ცხოვრებაშვილი, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნად — ამხ. ვ. დ. ბუჯიაშვილი.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრებად პლენუმმა აირჩია ამხანაგები ა. ი. მგელაძე, ზ. ნ. კეცხოველი, ზ. ნ. ჩუბინიშვილი, ვ. გ. ცხოვრებაშვილი, ვ. მ. ბაქრაძე, ვ. დ. ბუჯიაშვილი, ა. ი. კოჭლავაშვილი, კ. დ. ბუჯიაშვილი, მ. კ. ბალავაძე, შ. დ. გეთია, ი. დ. კოჭლამაზაშვილი.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატებად არჩეული არიან ამხანაგები ვ. კ. ბალავაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, რ. ს. კანდელაკი.

რესპუბლიკური გაზეთების რედაქტორებად პლენუმმა დაამტკიცა: „კომუნისტისა" — ამხ. გ. ი. მერკვილაძე, „ზარია ვოსტოკასი" — ამხ. ნ. ვ. პავჩინსკი და „სოვეტაკან ვრასტანისა" — ამხ. ზ. ნ. პოღოსიანი.

გაიმართა საქართველოს კ. პ. (ბ) სარევიზიო კომისიის პირველი სხდომა, რომელზედაც სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ამხ. ა. დ. გიორგაძე.

### ბოლოთქმა

საქართველოს ხელისუფლებაში **ედუარდ შევარდნაძის პირველი მოსვლიდან** გასული ნახევარი საუკუნე ამ ქვეყნისათვის ნამდვილ საუ**კუნეთად** იქცა, რადგან პოლიტიკური **უკუნეთი** და წკვარამი, რომელიც „თეთრმა მელამ" მოიტანა, დღემდე სანახევროდაც არ არის გაფანტული. დიახ, სააკაშვილი და მისი ნაციონალური მოძრაობა, რომლებიც კვლავ ძალაუფლებას ეპოტინებიან და ცდილობენ, საქართველო უკან — თავიანთ 9-წლიან ჯოჯოხეთში შეათრიონ, თავის დროზე სწორედ შევარდნაძის საუ**კუნეთში** იშვნენ! საუბედუროდ, „ქართულმა ოცნებამ", რომელსაც რამდენიმე დღეში მმართველობის **10 წელი** უსრულდება, ვერ შეძლო საფუძვლიანად გაენათებინა შევარდნაძის საუ**კუნეთი,** რადგან ქართული პოლიტიკური სივრციდან ვერ თუ არ განდევნა სააკაშვილის სექტა — შევარდნაძის საუ**კუნეთში** გამოჩეკილი საგველისწიწილეთი!



# იოდის ნაკლებობა ადამიანის ორგანიზმში

***იოდის დეფიციტი ყოველთვის იყო პრობლემური საკითხი, რადგანაც ეს არის ფაქტორი, რომელიც უშუალოდ უკეთებს ლიმიტირებას ბავშვთა ჯანმრთელობას, ფიზიკურ განვითარებასა და გონებრივ პოტენციალს. კიდევ უფრო პრობლემურია საკითხი, რომელიც ამ ელემენტით ადამიანთა სწორ, კვალიფიცირებულად მომარაგების გადაწყვეტას ეხება.***

ბავშვთა დიდი ნაწილი, რომელიც განიცდის **იოდის დეფიციტს,** ავადდება **ჰორმონალურ ნივთიერებათა მოუწესრიგებლობით** და სხვა მრავალი დაავადებით; ეს გასაკვირიც არაა, რადგანაც მათ ორგანიზმში ამ ელემენტის ძირითადი მომმარაგებელი **ფარისებრი ჯირკვალია,** რომელიც თავისი გავლენით კურირებს **თავის ტვინს, ნერვულ და ენდოკრინულ სისტემას,** და რაც მთავარია, აკონტროლებს **ბავშვთა ზრდას და გონებრივ განვითარებას.** 15-20 წლის ასაკში **იოდის** ნაკლებობა უარყოფითად მოქმედებს **სასქესო სისტემის ფორმირებაზე,** რასაც შეიძლება შედეგად **უნაყოფობა** მოჰყვეს. ბავშვებს, რომლებსაც დიდი ხნის განმავლობაში კვება უხდებათ იმ სახის საკვებით, რომლებშიც **იოდი** საკმარისი რაოდენობით არ შედის, ხშირ შემთხვევაში სკოლაში პრობლემურები არიან. კერძოდ, არიან დაბნეულები, ძნელად რეაგირებენ პედაგოგებთან და ბავშვებთან საუბარზე, ძნელად ასრულებენ საშინაო დავალებებს, ძნელად ითვისებენ ასევე ახალ ინფორმაციასაც. არაკომუნიკალურები არიან ახალ სიტუაციებთან და ადამიანებთანაც საერთო ენის გამონახვა უჭირთ; უჭირთ სწავლა და აბსტრაქტული აზროვნება.

არცთუ ისე იშვიათია, რომ ამ საკითხის მოგვარებას არასწორო, თვითშემოქმედებითი პრინციპებით ახდენენ, **იოდის დეფიციტის** შევსების მიზნით აძლევენ აფთიაქიდან აღებულ იოდის ქიმიურ პრეპარატს, რომელიც გროვდება რა ორგანიზმში, ძალიან იოლად შეუძლია გამოიწვიოს კიბოს დაავადება.

ჯანმრთელობის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ ზუსტი ანგარიშითაა წარმოდგენილი იოდის რაოდენობის ის დღეღამური მოთხოვნილება, რომელსაც ადამიანი უყენებს ამ ელემენტს:

**1 წლამდე — 50 მკგ; 1 წლიდან 7 წლამდე — 90 მკგ; 7-დან 12 წლამდე —120 მკგ; 12 წლიდან და უფროსი ასაკის — 150 მკგ.**

## თუ ბავშვს სწორად ვკვებავთ, ფარისებრი ჯირკვალიც ჯანმრთელია



**5 თვემდე ბავშვები** საჭიროა, ხშირად ვკვებოთ იოდით გამდიდრებული რძიანი ნარევებით. **2 წელზე უფროსი ბავშვების** კვება საჭიროა იმ პროდუქტებით, რომლებიც მდიდარია ბუნებრივი **იოდით.** წარმოდგენილია რამდენიმე სახის პროდუქტი და მათში იოდის შემცველობის დონე განზომილებით **მკგ%/100 გ** პროდუქტზე გადაანგარიშებით:

1. კულინარიული დამუშავების შემდეგ ზღვის პროდუქტებში **თევზი, ხიზილალა** — 200-300;
2. **მტკნარი წყლის თევზი** (შემწვარი) — 50;
3. **ქაშაყი** (მარილიანი) — 40;
4. **კრევეტი** (შემწვარი) — 10;
5. **რბილი პროდუქტები** (რბილი ყველი, ბრინზა, ნატურალური რძე) — 10;
6. **ხორცის სუბპროდუქტები** (ღვიძლი, თირკმელი, გული) — 5;
7. **მარცვლეულის ფაფები** (წიწიბურა, შვრია, ხორბალი) — 5;
8. **ქათმის კვერცხი** — 8;
9. **პური** — 7;
10. **კარტოფილი** — 4;
11. **ახალი ხილი და ბოსტნეული** (ხურმა, ფეიხოა, ლეღვი) — 30-50;
12. **მწვანე კაკალი** — 60.

**იმის მიხედვით, როგორც ამას განსაზღვრავს მკურნალი ექიმი და დადგინდება ადამიანის ორგანიზმში იოდის დეფიციტის დონე, უნდა მიეცეს პაციენტს რაციონის რომელიმე ფორმა, რითიც თავისუფლად შეიძლება მოეხსნას იოდის დეფიციტი.**

თუ ასეთი შესაძლებლობა არ იქნება, აუცილებელია, წელიწადში სამჯერ თითო თვე მიეცეს **ვიტამინურ-მინერალური კომპლექსი,** ან სპეციალური **ბიოდანამატები,** რომელთა შემადგენლობაში მოცემული იქნება კონკრეტული მომენტისათვის ამ ადამიანის ასაკისათვის საჭირო იოდის რაოდენობა.





## „იოდირებული მარილი“

**იოდი** ქიმიიდან ცნობილია, რომ იგი ძალიან სწრაფად ორთქლდება; აქედან გამომდინარე, როდესაც გვინდა, შევიძინოთ **იოდირებული საჭმელი მარილი,** აუცილებელია, შევამოწმოთ მისი გამოშვების დრო, რადგანაც **3-4 თვის** შემდეგ ამ ვითომ **„იოდიან“ საკვებ მარილში,** ფაქტიურად იოდი აღარ არის; რაც შეეხება იოდიანი მარილის შენახვას, იგი შენახული უნდა იქნეს მჭიდროდ დახურულ, აუცილებლად მინის ქილაში. **იოდიანი მარილი** აუცილებელია, საკვებს დაემატოს მხოლოდ მისი დამზადების დამთავრების შემდეგ **(უკეთესია თუ მარილი დაემატება განელებულ სადილს).**

## მწვანე ჩაი

**მწვანე ჩაი** დიდი რაოდენობით შეიცავს ადვილად შესათვისებელი ფორმის ბუნებრივ **იოდს,** რომელიც ბავშვებისთვის მეტად სასარგებლოა.

## იოდის ნაკლებობით გამოწვეული ნიშნები

**იოდის ნაკლებობა** ადამიანის ორგანიზმში გამოავლენს თავისთავს დამახასიათებელ ნიშნებს, რომელიც არ არის ძნელი ამოსაცნობი და იგი შეიძლება პაციენტმა თვითონაც დაადგინოს:

1. უხასიათობა, მეტად გამოხატული ძილის სურვილი;
2. **გულმავიწყობა, დაბნეულობა, სკოლაში ცუდი მოსწრება;**
3. ხშირად უჩივის თავისა და კუნთების ტკივილს, ხშირად ავადმყოფობს გაციებით, გრიპით და სხვა დაავადებით;
4. **სისხლში ჰემოგლობინის დაბალი მაჩვენებელი;**

როდესაც ადამიანი შენიშნავს, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ნიშნებიდან ერთი მაინც გამოვლინდა, აუცილებელია ენდოკრინოლოგის კონსულტაცია, რათა კლინიკურად იქნეს დადგენილი **იოდის** არამარტო ნაკლებობა, არამედ დეფიციტის რაოდენობრივი დონეც, რის შემდეგაც ხდება მხოლოდ იოდშემცველი პრეპარატების დანიშვნა.

## როგორ გავთვალოთ, არის თუ არა ადამიანის ორგანიზმში მისთვის საკმარისი იოდის რაოდენობა?

**ეს შეიძლება განისაზღვროს ძალიან მარტივი და პრიმიტიული ცდით. კერძოდ, ვიღებთ იოდის ხსნარს და სხეულის ნებისმიერ ადგილზე ბადის ფორმით ვხატავთ უჯრედებს. ვახდენთ დაკვირვებას, რამდენ ხანს იქნება შემონახული აღნიშნული იოდით დახატული ბადე-უჯრედები. თუ ვნახავთ, რომ ორი საათის შემდეგ ჩვენგან დახატული ბადე მთლიანად გაქრება, ვასკვნით, რომ სახეზეა იოდის დეფიციტი. იმისათვის რათა აღნიშნული დეფიციტი გასწორდეს, აუცილებელია, ადამიანმა თავის კვების რაციონში ჩართოს იოდის შემცველი პროდუქტები, კერძოდ თევზი, ზღვის კომბოსტო, ზღვის პროდუქტები, ჭარხალი, იოდირებული მარილი და სხვა.**





## გემრიელი იოდი

*არის ხილის ისეთი სახეობები, რომლებიც ისევე, როგორც ცხოველური საკვები პროდუქტი, ჭარბად შეიცავენ **იოდის** გარკვეულ რაოდენობას. აღნიშნული სახის ხილის სახეობებიდან გამოყოფენ განსაკუთრებით ორს, კერძოდ **ხურმას** და **ფეიხოას** და ამ მხრივ მათ თვლიან ჩემპიონებად.*

ნებისმიერი ხილი ბაზარში შესაბამისად სხვადასხვა დროს შემოდის. ამიტომაა პრობლემური საჭიროებისამებრ მთელი წლის განმავლობაში ამ ხილის საკვებად გამოყენების შესაძლებლობა.

**საკვებად ხურმისა და ფეიხოას გამოყენებას კომპენსაციას უკეთებს ამ ხილის ჭარბად მიღება მათი სრული სიმწიფის პერიოდში, მითუმეტეს დაჩირვის, მშრალი ფორმით, ამ ხილის მიღების შესაძლებლობისათვის ზამთრის სხვა დროისათვისაც არ არსებობს პრობლემა.**

ყველა ზემოთქმულიდან გამომდინარე, ფეიხოასა და ხურმის ნაყოფებს ადამიანი სამკურნალოდ ყოველთვის იყენებდა როგორც ტრადიციული, ისე კლასიკური მედიცინის მიმდევრები.

**ფეიხოას** ნაყოფი უაღრესად გემრიელია, რადგანაც მის ნაყოფში ჰარმონიული შეფარდებითაა წარმოდგენილი **მარწყვისა და ანანასის** გემო, მაგრამ გარდა ამისა მისი ნაყოფის რბილობში ჭარბად შედის **ასკორბინის მჟავა, ორგანული მჟავები, პექტინი და სხვა ნივთიერებები. ფეიხოას ნაყოფის ზემოთ აღნიშნული ყველა ღირსება აშკარაა, მაგრამ ყველაზე მთავარი ისაა, რომ მისი ნაყოფის რბილობი დიდი რაოდენობით შეიცავს იოდს, რომლის გემოც მისი საკვებად გამოყენების დროს აშკარად იგრძნობა. ფეიხოას** ნაყოფის კვებითი ღირებულების მნიშვნელობას კიდევ უფრო მაღლა სწევს მასში ჰიპერტონიის სა-

## კვირგვინოსნები

**გვანცა დარასელია**
*ყოფილი ტელეწამყვანი*



დედა სიმღერების ავტორიც არის, ლექსებსაც წერს. ასეთი ოჯახიდან გამოსულისთვის სიმღერა უცხო არ არის. რომ მკითხოთ, **რა მანიჭებს დიდ სიამოვნებას,** პირველად სიმღერას დაგისახელებთ. შეიძლება, დადგეს დრო და ამ საქმეს სერიოზულად მოვეკიდო.

„სარკე“

**თამარი ბზიავა**
*მსახიობი, ქეთი დოლიძის ქალიშვილი*



ჩვენს ქვეყანაში ნებისმიერ დონეზე დაუფასებელია ხელოვანის შრომა, პირველ რიგში, სახელმწიფოსგან. **კულტურას ყველაზე ნაკლები ყურადღება ექცევა, არადა, ეს არის ჩვენი ყველაზე დიდი კაპიტალი,** მონაპოვარი, სიმდიდრე, რითიც შეგვიძლია ვიამაყოთ, წარვუდგინოთ ჩვენი თავი მსოფლიოს და გავაოცოთ.

„სარკე“

**თემო პაპარიძე**
*იურისტი, „ვანოს შოუს“ მსახიობი*



პოლიტიკაში არ ვხედავ ჩემს თავს, მით უფრო, ასეთ მდგომარეობაში, როცა **ერთი მხარე** თუ აირჩიე, **მეორე მხარე** გწყევლის და ეზიზღები.

„სარკე“

**აჩიკო სოლოღაშვილი**
*მსახიობი, ტელეწამყვანი*



**რაც მამა გავხდი, რაღაცების შემეშინდა.**

„სარკე“

**პენელოპა კრუსი**
*ესპანელი კინოვარსკვლავი*



რთულია, კარიერა **მხოლოდ გარეგნობის წყალობით** აიწყო და გახდე სერიოზული მსახიობი. არავინ აღიქვამს ლამაზებს სერიოზულად.

„სარკე“

წინააღმდეგო ვიტამინი P და ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების შემცველობა. ყველა ამ ნივთიერებათა ზემოქმედებით ადამიანებში მკვეთრად იზღუდება გულსისხლძარღვოვანთა სისტემის დაავადებები; **ფეიხოაში ვაშლის მჟავას ჭარბი რაოდენობით შემცველობა უადრესად უწყობს ხელს საჭმლის მონელებას, ამცირებს წყურვილის სურვილს, ხოლო მასში პექტინის ჭარბი შემცველობით ორგანიზმიდან გამოიდევნება მავნე ნივთიერებები და ამაგრებენ სისხლძარღვოვანი სისტემის კედლებს. ფეიხოა** საუკეთესო საშუალებაა **ვენების ვარიკოზული გაფართოების** სამკურნალოდ. გარდა ამისა, ფეიხოა კარგად მოქმედებს პიელონეფრიტზე. **ფეიხოა,** როგორც მატონიზირებელი საშუალება, **კუჭის დაქვეითებული სეკრეტორული ფუნქციის დროს, კარგად მოქმედებს ქრონიკულ გასტრიტზე.**

როგორც ზემოთაა აღნიშნული **ფეიხოას** ნაყოფი მდიდარია მრავალი სასარგებლო ნივთიერებით, მაგრამ მის სამკურნალო მნიშვნელობას ყველაზე მეტად მაღლა სწევს მასში ბიოლოგიურად ხელმისაწვდომი **იოდის** ნაერთები. **ფეიხოას** ნაყოფის ქსოვილში **იოდის** შემცველობა შეადგენს 3 მგ%-ს;



**ფეიხოას ნაყოფის კვებითი ღირებულების მნიშვნელობას კიდევ უფრო მაღლა სწევს მასში ჰიპერტონიის საწინააღმდეგო ვიტამინი P და ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების შემცველობა. ყველა ამ ნივთიერებათა ზემოქმედებით ადამიანებში მკვეთრად იზღუდება გულსისხლძარღვოვანთა სისტემის დაავადებები**

**იოდის აღნიშნულ რაოდენობას არცერთი სხვა წარმოშობის პროდუქტი არ შეიცავს. აქედან გამომდინარე ფეიხოას საკვებად გამოყენება, ფაქტობრივად, საუკეთესო საშუალებაა ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის მოშლის დროს.**



**ხურმა** არის მცენარე, რომლის მიერ მოცემული ნაყოფი ძალიან ხშირი დაავადების სამკურნალოდ გამოიყენება, რომელთაგანაც შეიძლება გამოვყოთ **ფარისებრი ჯირკვალი, ქრონიკული გასტრიტი, ქრონიკული ფილტვის ანთება, გაცივება ხველებით, სისხლის დენა, წნევის რეგულირება და სხვ. ხურმის** ნაყოფის კვებითი ღირსება უკიდურეს კონკურენციას უწევს ისეთ ხილეულ ტიტანებს, როგორებიცაა ლეღვი და ყურძენი. **ხურმაში** წარმოდგენილი შაქრის თვისობრივ-რაოდენობრივი შინაარსი სასარგებლოა **გულით დაავადებული ადამიანებისთვის,** განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც ადამიანი დაავადებულია **გულის მანკით.** ამ მხრივ **ხურმის შაქარი** ძალიან დიდ ფუნქციას ასრულებს გულის კუნთების მუშაობის სტიმულაციისათვის. გულით დაავადებულმა ადამიანმა უნდა იცოდეს, რომ **ხურმის ნაყოფის** ქსოვილში ჭარბი რაოდენობით შედის **კალიუმი.**

ამას კი მაშინ აქვს უდიდესი მნიშვნელობა, როდესაც პაციენტი ჭარბად ღებულობს სითხის მდენ პრეპარატებს, რომლის დროსაც ადამიანი სითხის დაკარგავასთან ერთად, დიდი რაოდენობით კარგავს ასევე **კალიუმსაც,** რაც, ფაქტობრივად, ადამიანის ორგანიზმში ღრმად არღვევს და იწვევს ელექტროლიტურ დისბალანსს, რისი აღდგენის აუცილებლობაც საჭიროა, რაშიც **ხურმის** საკვებად გამოყენება, აღნიშნული დისბალანსის გამოსწორებისათვის საუკეთესო საშუალებაა. აქედან გამომდინარე, როდესაც კვებაში ექიმები გულსისხლძარღვოვანი სისტემით დაავადებულ პაციენტებს **ხურმით თერაპიას უნიშნავენ** და ურჩევენ დღეში საკვებად მიიღონ ამ ხილის 3-4 ნაყოფი, შუშმარიტი და გამართლებულია.

შარდკენჭოვანი დაავადების დროს **ხურმის** სამკურნალოდ გამოყენება ძალიან სასარგებლოა. **მკვლევარების მიერ დამტკიცებულია, რომ ხურმის ნაყოფი მდიდარია მაგნიუმით.** აქედან გამომდინარე ლოგიკურია, რომ **ხურმის** საკვებად გამოყენებამ აშკარად უნდა შეამციროს **კენჭების** წარმოშობის პროცესი. დასაბუთებულია, რომ **ხურმა** ორგანიზმიდან გამოდევნის **ნატრიუმს.** ამიტომაც, **ხურმა ჭეშმარიტად ამცირებს თირკმლების დატვირთვით მუშაობას.**

ამრიგად, **ხურმა** თავის ქსოვილში ჭარბად შეიცავს და მრავალ ხილს უწევს კონკურენციას **კალიუმის, კალციუმის, ნატრიუმის, ფოსფორის, მაგნიუმის, რკინისა** და სხვა **მაკრო** და **მიკროელემენტების** შემცველობით, რომლებიც ესოდენ მნიშვნელოვანია ადამიანის ორგანიზმისათვის. ისრაელი მეცნიერების მიერ დადგენილია, რომ **ხურმის** ნაყოფი გაცილებით მეტ **ანტიოქსიდანტებს** შეიცავენ, ვიდრე **ციტრუსები. ვაშლს** იგი აღემატება უთუოდ მხოლოდ და მხოლოდ **სპილენძისა** და **თუთიის** შემცველობის მხრივ და რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს, **ხურმაში** მეტია **კაროტინები,** ვიდრე **სტაფილოში.**

ცნობისათვის, **ხურმისაგან** ამზადებენ კონსერვირებული სტაბილიზატორის სახით როგორც წამალს, რომელშიც **იოდი** შედის 40 პროცენტამდე; აღნიშნული პრეპარატი წარმატებით გამოიყენება მსუბუქი და საშუალო ფორმის **თირეოტოქსიკოზის** სამკურნალოდ.

როდესაც საუბარი მიდის **ხურმის** ახალი ხილის სამკურნალოდ გამოყენებაზე, სასურველია, მისი ტექნიკური სიმწიფისა და შესანახი რეგლამენტის მთელ პერიოდში ადამიანმა ყოველდღე საკვებად გამოიყენოს 2-3 ცალი ხურმის ნაყოფი.

**იმის გამო, რადგანაც ხურმა, როგორც ხილი, ჩვენს ქარმიდამოს არცთუ ისე ხანგრძლივად ამშვენებს, მიტომაც ადამიანმა უნდა იქცეოს, იგი რაც შეიძლება მაქსიმალურად და ხანგრძლივად გამოიყენოს საკვებად, იმ პერიოდისათვის მაინც, სანამ იგი ჭარბადაა საკუთარ ბაღში, ან ბაზარში.**

ზემოთ წარმოდგენილი მასალა აშკარად იმაზე მიანიშნებს, რომ **ხურმის** ნაყოფი ადამიანის მრავალი დაავადების ნაწილობრივ ან მთლიანად განკურნებისთვის დიდ როლს თამაშობს. მიუხედავად ამისა, აღნიშნული მასალები იმას ამტკიცებს, რომ **ხურმის** ნაყოფის სამკურნალოდ გამოყენების შესაძლებლობების დიდი პროცენტი დამოკიდებულია მის ქსოვილში ელემენტ **იოდის** ჭარბად შემცველობაზე. სწორედ ამან განაპირობა, რომ მკვლევარების მიერ ჩამონათვალი დაავადებებიდან, რომელთა განკურნებაზედაც **ხურმის** ნაყოფი აშკარად დადებითად მოქმედებს, ამ ზემოქმედების მაღალი პროცენტი მიდის **ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის ნორმალურ მუშაობაზე.** ამდენად, ეს ზემოქმედება ენდოკრინოლოგიური მნიშვნელობის მატარებელია. **ხურმის** დადებითი გავლენა **ფარისებრი ჯირკვლის** ნორმალურ ფუნქციონირებაზე არაა მხოლობითი და არსებობს მეცნიერთა საკმაოდ დიდი ჩამონათვალი, რომელიც ზემოქმედებაც ენდოკრინოლოგიური პროფილის მატარებელია და გარკვეულწილად ისინიც, ისე როგორც **ხურმის** კულტურა, გავლენას ახდენენ ადამიანის ორგანიზმში ენდოკრინოლოგიური დაავადებების ნაწილობრივ, ან სრულად განკურნების პროცესზე.

## ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგია და მისი მკურნალობა

*აქ წარმოდგენილი ფიტოთერაპიული რეცეპტი **ფარისებრი ჯირკვლის** ძალიან ბევრ დაავადებას ხსნის. მანამ, სანამ გამოიყენებდეთ აღნიშნულ რეცეპტს, სასურველია, კონსულტაცია მივიღოთ ენდოკრინოლოგისაგან, რადგანაც გათვლილი იქნეს დაავადების ნებისმიერი წვრილმანი და თავისებურება.* ***აღნიშნული რეცეპტი ასეთი შინაარსისაა:***

**1.** ჭინჭარი ორსახლიანი — 1 წილი;
**2.** ვარდკაჭაჭა — 1 წილი;
**3.** ქვათესლა — 1 წილი;
**4.** ორფერი — 2 წილი;
**5.** ოშოშა — 2 წილი;
**6.** ჟუნჟრუკი — 3 წილი;
**7.** ღორის ბირკა — 3 წილი;
**8.** თესლგამოცლილი ლობიოს პარკი — 4 წილი;
**9.** კოთხუჯი — 1-2 წილი.

აღნიშნულ 9 ჩამონათვალს ვაგროვებთ ცალ-ცალკე, ვაქუცმაცებთ რაც შეიძლება წვრილად, ვაშრობთ ჩრდილში და ვინახავთ ნაჭრის ტომარაში ცალ-ცალკე. საჭიროების შემთხვევაში თითოეული მათგანიდან ვიღებთ მინიშნებულ რაოდენობას ფარდობითობით, ვურევთ ენერგიულად ერთგვაროვანი მასის მიღებამდე, საიდანაც ვიღებთ ამ ნარევის 1 ჩაის კოვზს, რომელზეც ვასხამთ 0,5 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალს, ვახურავთ თავს და შეფუთულს, შალის ნაჭერში ვაყოვნებთ ოთახის ტემპერატურაზე 24 საათი, რის შემდეგაც ვახდენთ გაწურვას.

**მიღება: ჩაის ჭიქის 1/3 დღეში 2-3-ჯერ, ჭამამდე 0,5 საათით ადრე, სანამ მთლიანად არ გაიხარჯება დანამზადები.**



**წიწიბურას თესლით ფარისებრი ჯირკვლის მკურნალობა მაღალეფექტურია**

**წიწიბურას თესლი,** გარდა იმისა, რომ საკვებად უაღრესად სასარგებლო პროდუქტია, იგი სამკურნალო მასალასაც წარმოადგენს. აწესრიგებს და არეგულირებს პრობლემებს, რომლებიც ექმნება **ფარისებრ ჯირკვალს.** აქ წარმოვადგენთ ერთ-ერთ უძველეს რეცეპტს, სადაც მონაწილეობს თვითონ წიწიბურას თესლი, კაკლის გული და ასევე წიწიბურას ყვავილისაგან დამზადებული თაფლი.

**აღნიშნული რეცეპტი მზადდება შემდეგნაირად:** ვიღებთ 1 ჩაის ჭიქა წიწიბურას თესლს, ჰაერზე ვაშრობთ კარგად და ვფქვავთ ყავის საფქვავში; ვიღებთ ამდენივე რაოდენობის კაკლის გულს დაქუცმაცებულს და ასევე 1 ჩაის ჭიქა წიწიბურას ყვავილისაგან დამზადებულ თაფლს (წიწიბურას მცენარის ყვავილიდან დამზადებული თაფლის შეძენა შეიძლება მაღაზიებში და აუცილებლად ქარხნული წესით დაფასოებული). აღნიშნულ კომპონენტებს კარგად ვურევთ ერთმანეთში და ნარევი გადაგვაქვს თავდახურულ მინის ჭურჭელში.

**მიღება:** კვირაში გამოვყოფთ მხოლოდ ერთ დღეს და დამზადებულ ნარევს მთლიანად ვღებულობთ **3-ჯერ საუზმის, სადილისა და ვახშმის წინ;** მიღების დროს შეიძლება წყლის დაყოლებაც.



## ფარისებრი ჯირკვლის დაავადების დროს იოდის ნაკლებობისა და ნორმალური ზრდა-განვითარების აღდგენა

**ვაშლის თესლში** ჭარბად შედის **იოდი;** მასში ჭარბად შედის ვიტამინი ლეტრილიც (B17), რომელიც კიბოს საწინააღმდეგოა და მისი ენდოსპერმიალური სისტემა ასევე მდიდარია ფიტონციდებით.

კარგად მოსული, დამწიფებული ვაშლის 5 ნაყოფიდან ვიღებთ თესლებს და ვაშრობთ. ასეთ გამშრალ თესლებს ვაქუცმაცებთ რაც შეიძლება წვრილად, ვასხამთ 1/2 ჩაის ჭიქა ზეითუნის ზეთს და 1 საათის განმავლობაში ვდგამთ $50^0$C-იან წყლის აბაზანაზე. ამის შემდეგ ნაყენს 12 საათის განმავლობაში ვაყოვნებთ ოთახის ტემპერატურაზე, რის შემდეგაც ვახდენთ მის გაწურვას ნაჭერში და ვინახავთ გრილად.

**მიღება:** დღეში 3-ჯერ 1 ჩ/კ, ჭამამდე 1 საათით ადრე.

**ამავე რეცეპტითვე შეიძლება მოხდეს გულისა და თავის ტვინის მუშაობის გაუმჯობესება.**

## კვირგვინოსნები

**ნოდიკო ტატიშვილი**
*მომღერალი*



გოგოებიც ნადირობენ **ფულიან ბიჭებზე** და ბიჭებიც — **ფულიან გოგოებზე.** ჩემთან ახლოს ამ თემას არ ჩაუვლია, თან, სიმართლე გითხრათ, ნამდვილად არ ვარ ისეთი შტერი, რომ ვიღაცას ასე გამოვაყენებინო თავი.

„თბილისელები“

**თათული ელიშერაშვილი**
*მსახიობი*



ყოფილა შემოთავაზებები, როგორც მსახიობისთვის მეტ-ნაკლებად საინტერესო, მაგრამ მიფიქრია, შეიძლება ჩემს მეუღლეს არ მოეწონოს-მეთქი და უარი მითქვამს. **როგორც ის თმობს ჩემთვის** ბევრ რამეს, ასევე **მეც შემიძლია მისთვის დავთმო,** რადგან სხვანაირად არ გამოვა.

„სარკე“

**ნელი აგირბა**
*ყოფილი ტელეწამყვანი*



ორი წელია, მშვიდად ვარ. არ ვეძებ ურთიერთობებს. **სიმშვიდე მარტო ყოფნაში ბევრად მარტივია, ვიდრე ურთიერთობაში.** ამ დროის განმავლობაში **განდეგილი ბერივით** ვიმუშავე საკუთარ თავზე.

„თბილისელები“

**ვახო ჩაჩანიძე**
*მსახიობი*



**შურის** შეგრძნება იმდენად განგრევს, რომ მისი მეშინია კიდეც.

„თბილისელები“

**კახა მიქიაშვილი**
*მსახიობი*



თეატრში მაქვს სრული თავისუფლება. **არ ვარ მონა** და შემიძლია, უარი ვთქვა როლზე, თუ არ მომეწონა.

„სარკე“

# მიხეილ ცაგარელი: ზოდიაქოს ნიშანი, მბრძანებელი პლანეტა და კარმული განვითარების მიმართულების არჩევა



*— კარმული მბრძანებელი პლანეტა პლუტონი ღრიანკალს რით აჯილდოებს? რა უნდა ისწავლოს და რა არის მისი ბედნიერების გარანტი? მშვილდოსნის მფარველი პლანეტა იუპიტერი რა განსაკუთრებულ ვალდებულებებს ანიჭებს? მისი კეთილდღეობა უშუალოდ რას უკავშირდება და რა არის უმთავრესი მისია? თხის რქისგან რას ითხოვს კარმული მბრძანებელი პლანეტა სატურნი? რასთან უწევს მუდმივი ბრძოლა, რა არის დაუშვებელი და რა შემთხვევაში იხსნება გზა სასურველი მიზნებისა და ბედნიერებისაკენ? რა წარმოადგენს მერწყულის კარმულ ამოცანას? მჭიდროდ რას უნდა დაუკავშირდეს და რა უნდა შემოიტანოს ადამიანთა ცხოვრებაში? თევზების კარმული მბრძანებელი პლანეტა ურანი რას განაგებს, რას ითხოვს და რა არის ამ ნიშნით დაბადებულთა ბედნიერებისაკენ სავალი უტყუარი გზა? ამ და სხვა საკითხებზე ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი გვესაუბრება.*

**— როგორც აღვნიშნეთ, საკუთარი ზოდიაქოს ნიშნის კარმული მბრძანებელი პლანეტის მოთხოვნების შესრულების შემთხვევაში ადამიანებს შესაძლებლობა ეძლევათ, სწორი არჩევანი გააკეთონ, სრულყოფილად განვითარდნენ, სოციალურ საფეხურზე ამასვლა შეძლონ და, რაც მთავარია, დადებითი კარმა გამოიმუშაონ. განვაგრძოთ ამ მიმართულებით ზოდიაქოს თითოეული ნიშნის დახასიათება.**

**8.** **ღრიანკალის ნიშნით დაბადებულთა კარმული მბრძანებელია პლანეტა პლუტონი,** რომელიც მას აჯილდოებს საოცარი წინათგრძნობით, ამტანობით, ადამიანებზე ზეგავლენის მოხდენის უნარით. **ღრიანკალი** თავისი უმაღლესი გამოვლინებისას იღებს არამარტო კოსმოსის მფარველობას, არამედ აზრების სისუფთავესა და ძალას, მაგრამ მანამდე კარმული ვალები უნდა დააბრუნოს. ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, წარსულის შეცდომების გამოსწორებაზე უნდა იზრუნოს და ადამიანებს მოექცეს ისე, როგორც წმინდა წიგნები გვასწავლიან. ამგვარად **ღრიანკალის ნიშნით დაბადებულმა უნდა ისწავლოს პატიება, სიყვარული და გარშემო მყოფებს დახმარება გაუწიოს. არავინ განსაჯოს, სამაგიეროდ არავის გადაუხადოს და მუდმივად აკონტროლოს აგრესიულობა და იმპულსურობა.** ნიშანდობლივია ისიც, რომ საკუთარი ამოცანისა და კარმის სრულად აღქმა და გააზრება იქნება მისი წარმატებული და ბედნიერი ცხოვრების გარანტი.

**9.** **მშვილდოსნის ნიშნით დაბადებულთა კარმული მბრძანებელი პლანეტა იუპიტერია,** ამიტომ იღბალს უზენაესი ძალები განაგებენ და იცავენ, რაც განსაკუთრებულ ვალდებულებებს ანიჭებს. **მშვილდოსნისთვის აუცილებელია, პატივისცემით განიმსჭვალოს უზენაესი ძალების მიმართ, რომელნიც მას უმთავრეს ამოცანათა შესრულებაში ეხმარებიან.** ნიშანდობლივია ისიც, რომ მისი კეთილდღეობა უშუალოდ დაკავშირებულია იმ ვითარებასთან, თუ რამდენად დაემორჩილება ცხოვრებისეულ კანონებს. ამ ნიშნით დაბადებულთა კარმული მისია მოითხოვს, რომ საკუთარმა წარუმატებლობამ გული არ გაუტეხოს, ფარხმალი არ დააყრევინოს, რამეთუ ზეციური ძალების დახმარებით ნებისმიერი დანაკარგი განსაკუთრებული ძალისხმევის გარეშე იქნება აღდგენილი. მისი უმთავრესი მისია კი გახლავთ სულიერი ზრდა-განვითარება, სრულყოფა და სხვა ადამიანთა მოტივირება, რათა კეთილი საქმეები აკეთოს.

**10.** **თხის რქის ნიშნით დაბადებულის კარმული მბრძანებელია დიდი და მკაცრი მასწავლებელი პლანეტა სატურნი,** რომელიც ვალების სრულად დაბრუნებას მოითხოვს და თითოეულს სამართლიანად, რაც დაიმსახურა იმას მიაგებს. **ამიტომ თხის რქას მუდმივად უწევს ბრძოლა წარმოქმნილ გარემოებასთან, პირად სისუსტეებთან და მანკიერებასთან. ამ ნიშნით დაბადებულისთვის დაუშვებელია სიზარმაცე, წარსულში ქექვა და გარშემო მყოფების მიბაძვა.** მას გამოცდილების მიღება და დაგროვება მოუწევს მხოლოდ საკუთარი შეცდომების გაანალიზებით, რაც მთავარია, შუაგზაზე არ უნდა გაჩერდეს, არაფრის არ უნდა შეეშინდეს და მუდამ ლოგიკითა და ნათელი გონებით იხელმძღვანელოს. ზოგ შემთხვევაში კარმული პროგრამის შესრულებას თან სდევს სხვადასხვა სახის შეზღუდვები, რამეთუ ამგვარად **სატურნის** თვისებები ვლინდება. ვისაც სურს **სატურნის** კეთილგანწყობის მოპოვება, უნდა შეასრულოს სატურნისეული მოთხოვნები ან ყველაფერი აიტანოს, მოითმინოს, გადალახოს და მხოლოდ ამის შემდეგ აუცილებლად გაიხსნება გზა სასურველი მიზნებისა და ბედნიერებისკენ.

**11.** **მერწყულის ნიშნით დაბადებულთა კარმული მბრძანებელია პლანეტა ურანი,** რომლის გავლენის სფერო უკავშირდება ახალ მიმდინარეობებს, ტექნიკურ სიახლეს, ავანგარდულ გამოგონებებს. გარდა ამისა, **მერწყულის კარმული ამოცანაა, მუდამ მჭიდროდ იყოს დაკავშირებული თავისი ქვეყნის, ერის, გარშემო მყოფების, სამუშაო ჯგუფის კარმასთან. ამისათვის სულაც არ არის აუცილებელი, ის პოლიტიკოსი, მწერალი, ლექტორი ან მქადაგებელი იყოს.** პლანეტა **ურანისთვის** მნიშვნელოვანია არა მოქმედების მასშტაბი, არამედ მოქმედების მიმართულება, ამიტომ **მერწყულისთვის** მთავარია, მხოლოდ საკუთარი პრობლემებით არ შემოიფარგლოს და მეტი ინტერესი გამოიჩინოს სამყაროს, რელიგიისა და ფილოსოფიის მიმართ, რათა თავის ამოცანებს უფრო ადვილად გაუმკლავდეს. მეტად მნიშვნელოვანია, არ ეძიოს დასაყრდენი საკუთარ წარსულში, არამედ პირიქით, ეცადოს ჰორიზონტი გააფართოოს, მომავალს შიშისა და ეჭვის გარეშე შეხედოს და იგი თამამად გაკვალოს. მან პრომეთე-ამირანის მსგავსად სხვათა ცხოვრებაში სინათლე უნდა შემოიტანოს.

**12.** **თევზების ნიშნით დაბადებულთა კარმული მბრძანებელი პლანეტა ნეპტუნია,** რომელიც გრძნობებსა და განწყობებს განაგებს და ძალუძს, მღელვარება და უგუნებობა გამოიწვიოს. პირველ რიგში, **თევზების კარმული ამოცანაა, შიში დაძლიოს, სამყაროს მიენდოს, სულიერად განვითარდეს, რელიგიური ცოდნა-გამოცდილებას ეზიაროს. შინაგან ხმას, აღმაფრენას მოუსმინოს და შემოქმედებითად იცხოვროს.** თევზების ნიშნით დაბადებული გარშემო მყოფებთან ენერგიის მიმოცვლას ახორციელებენ — ხელოვნების ფართო სპექტრის, მხატვრული სახეობის, პოეზიის, მუსიკის, წარმოსახვის უნარის დახმარებით. მას არანაკლებ წარმატებით შეუძლია სახლშიც თავისი მისიის შესრულება, თუ შემოქმედებითად მიუდგება შვილების აღზრდას, გამოიყენებს პიროვნების განვითარების სულიერ გზას, გადასცემს მომავალ თაობას პირად ცოდნასა და გამოცდილებას. თევზებისთვის ბედნიერების უტყუარ გზას წარმოადგენს შემოქმედებითი რეალიზაცია და სულიერი ჰარმონიის მოპოვება.

*რუბრიკას უძღვება*

***მარინა მერკვილაძე***

## 26 სექტემბერი – 2 ოქტომბრის ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** (21.03-20.04)
**ენერგიული იქნებით და გაბედულად დაიწყებთ მოქმედებას. კარგი პერიოდია სამსახურის შეცვლაზე ფიქრისთვის და ახალი შემოსავლის წყაროს საძიებლად. ახლად გაცნობილებთან ურთიერთობისას ბევრ ახალ ინფორმაციას შეიტყობთ, რაც ახალი იდეების საწინდარი გახდება. სასიყვარულო კავშირი კი წვრილმანი გაუგებრობების მიუხედავად, უფრო გულახდილი და მეგობრული გახდება. გადადგილებებისას ყურადღებას ნუ მოადუნებთ, რათა არ დაშავდეთ.**

**კურო** (21.04-20.05)
**შესაძლოა, მარტო ცხოვრება ან საცხოვრებელი ადგილის შეცვლა ან გაუმჯობესება მოინდომოთ. ამ კვირაში მიღებული გადაწყვეტილება სასიკეთო იქნება არამარტო თქვენთვის, არამედ თქვენი ნათესავებისთვისაც. ეცადეთ, ემოციური სტაბილურობა შეინარჩუნოთ, რათა ფარული მტრები არ გაააქტიუროთ. უარი თქვით ფარულ საქმეებზე და გარიგებაზე, რადგან ამ შემთხვევაში შესაძლოა, ბევრი დაკარგოთ. ახლო მანძილზე მოგზაურობა კი დასვენების კარგი საშუალება იქნება.**

**ტყუპი** (21.05-22.06)
**ბევრ ადამიანთან ურთიერთობით თქვენი პოპულარობა მოიმატებს, რის შედეგადაც ახალ პარტნიორებს მოიზიდავთ. შესაძლოა, ახლობელმა დახმარება ითხოვს. ეცადეთ, სხვათა მიმართ გულისხმიერი იყოთ. გზებზე გადაადგილების შემთხვევაში სიფრთხილე გამოიჩინეთ, რამეთუ თქვენი ენერგობალანსი დაბალია. შესაძლოა, უცხოელი ან სხვა ქალაქში მცხოვრები თქვენით დაინტერესდეს, რაც მოგვიანებით ახალი რომანის საბაბი შესაძლოა, გახდეს. სასიკეთო იქნება ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმება და დიეტის დაწყება.**

**კირჩხიბი** (23.06-22.07)
**რთულ ცხოვრებისეულ სიტუაციაში წარმატების მისაღწევად აუცილებელი იქნება მოთმინება და თვითკონტროლი. ერთბაშად ყველაფრის მიღებას მოისურვებთ, რაც არასასურველ პრობლემებს გამოიწვევს. სხვისი ფულით მანიპულიერებას მოერიდეთ. საბუთების შევსებისას ყურადღება გამოიჩინეთ, სახლის საქმეები და ვალდებულებანი ბევრ ენერგიას მოითხოვს. ამ პერიოდში მოგზაურობა წარმატებას არ მოგიტანთ, მაგრამ სჯობს, თავისუფალი დრო სახლში დასვენებას დაუთმოთ.**

**ლომი** (23.07-23.08)
**ეცადეთ, საკუთარი შესაძლებლობებისთვის მიზნები დაისახოთ, რათა მათი განხორციელება არ გაგიჭირდეთ. ნუ იეჭვიანებთ და შეყვარებულის სურვილებიც გაითვალისწინეთ. ფსიქოსომატური ბალანსის დაქვეითება ხშირად გაღიზიანებას გამოიწვევს, რაც გარშემო მყოფებთან უსიამოვნებათა რაოდენობას გაზრდის. მოგზაურობა შესაძლოა, ჩაიშალოს. სამაგიეროდ, უცხოეთში მყოფი ახლობლები დახმარებას გაგიწევენ.**

**ქალწული** (24.08-23.09)
**ფინანსური მდგომარეობა რეალურად შეაფასეთ და ფული შესაბამისად ხარჯეთ. ბევრ ადამიანთან ურთიერთობა, ცხოვრების სტილისა და რითმის შეცვლა პრობლემებს შექმნის როგორც ოჯახის წევრებთან, ისე შეყვარებულთან. გარდა ამისა, ზღვარგადასული დროსტარება შესაძლოა, ტრავმის მიზეზი გახდეს, ამიტომ ალკოჰოლსაც მოერიდეთ. გადაადგილებების რიცხვი შეამცირეთ და ინტრიგებსა და გარისკვას მოერიდეთ.**

## 26 სექტემბერი – 2 ოქტომბრის ასტროლოგიური პროგნოზი

**სასწორი** (24.09-22.10)
**ავანტიურასა და ფარულ საქმიანობას მოერიდეთ, განსაკუთრებით ახალგაცნობილებთან. კრედიტებიც პრობლემებს შეგიქმნით. დაძაბული საუბრები და გულგრილობა გაიძულებთ, კონფლიქტის თავის არიდების მიზნით მეტი დრო მეგობრების გარემოცვაში ან სამსახურში გაატაროთ. ჯანმრთელობის გაუარესების შემთხვევაში ისარგებლეთ ხალხური ან არატრადიციული მედიცინის საშუალებებით და მოერიდეთ მოგზაურობასა და მივლინებებს.**

**ღრიანკალი** (23.10-22.11)
**პარტნიორთან და თანამშრომლებთან ემოციების გამოვლენისა და კამათისაგან თავი შეიკავეთ, რადგან კონფლიქტი ცუდად იმოქმედებს როგორც პირად და საქმიან ურთიერთობებზე, ასევე ჯანმრთელობაზე. ახალი ნაცნობობა და მიღებული ინფორმაცია ძველი პრობლემების გადაჭრაში დაგეხმარებათ. კარგი პერიოდია როგორც მივლინებისთვის, ისე დასასვენებლად გამგზავრებისთვის, მითუფრო, თუ გვერდით საყვარელი ადამიანები იქნებიან.**

**მშვილდოსანი** (23.11-21.12)
**ინტუიციას უსმინეთ და თავი აარიდეთ კონფლიქტს, განსაკუთრებით ბავშვებთან და სასიყვარულო პარტნიორთან. ეცადეთ, ოჯახსა და სასიყვარულო ურთიერთობაში ჰარმონია შეინარჩუნოთ. მატერიალური მდგომარეობა დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენად დროულად შეასრულებთ ადრე აღებულ სამუშაოს. კარგი პერიოდია მოგზაურობისთვის, ახალი კავშირების დასამყარებლად და სწავლისთვის. ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად სპორტს მეტი დრო დაუთმეთ.**

**თხის რქა** (22.12-19.01)
**შემოსავლები სტაბილური არ იქნება და დაუკავშირდება თქვენს განწყობასა და ჯანმრთელობის მდგომარეობას. ახლობლები ხელს შეგიწყობენ ფინანსების მოზიდვაში. რჩევები გაითვალისწინეთ. ნათესავებთან ურთიერთობა ზედმეტად ემოციური იქნება, რაც საქმის ერთობლივ წარმოებას ხელს შეუშლის. მიზნის მიღწევას, შესაძლოა, ხელი შეუშალოს ფარულმა გარემოებამ. სასიყვარულო ურთიერთობისას კი მეტი ტაქტი და მოთმინება გამოიჩინეთ.**

**მერწყული** (20.01-18.02)
**ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად არაოფიციალურ გაერთიანებებსა და ორგანიზაციებს მიენდობით, ინფორმაციის მიღება სჯობს ახლობლისა და ნათესავისაგან, თუმცა, მისი გამოყენება გადაუმოწმებლად არ არის რეკომენდებული. იურიდიული საქმეები პოზიტიურად წარიმართება. მოგზაურობა წარმატებას არ მოგიტანთ, ამიტომ სჯობს, თავისუფალი დრო სახლში დასვენებას დაუთმოთ.**

**თევზები** (19.02-20.03)
**ფანტაზიებს ნუ აჰყვებით და ნურაფერს დაგეგმავთ, რადგან სხვადასხვა გარემოების გამო შესაძლოა, სულ სხვა მოვლენებს ჰქონდეს ადგილი. კონტაქტები და შეხვედრები დამღლელი იქნება და შესაძლოა, ოჯახის წევრთა უკმაყოფილებაც გამოიწვიოს. ქონებრივი ან სახლის კეთილმოწყობის საკითხი კი წინა პლანზე წამოიწევს და ფინანსების ხარჯვას დაუკავშირდება. სტუმრიანობაც გახშირდება. მოგზაურობისას სიფრთხილე გმართებთ, არ დაშავდეთ ან არაფერი დაკარგოთ.**



მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია
26,27,29 სექტემბერი და 2 ოქტომბერი
26 სექტემბერი – ახალმთვარეობა;
9 ოქტომბერი – სავსემთვარეობა.

# რას ურჩევს ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი ზოდიაქოს თორმეტივე ნიშნით დაბადებულებს?

## 26 სექტემბერი, ორშაბათი

**მზე** იმყოფება სასწორის ზოდიაქოში. ამოდის 05.52 საათზე, ჩადის 17.52 საათზე. **მთვარე** სასწორის ზოდიაქოშია. ამოდის 06.06 საათზე, ჩადის 18.20 საათზე (**ახალმთვარეობაა,** პიკი — 01.52 საათზე. ამ დროს იწყება I დღე და I ფაზა. მე-2 დღე იწყება 07.40 საათზე). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** ახალმთვარეობის მძიმე ენერგიების დღეა. მაღალია დეპრესია-აგრესიის გამოვლენის, ტრამვების, კონფლიქტების, ცდუნებების, შეცდომების, ჯანმრთელობის გაუარესების და სხვა ნეგატიური მოვლენების ალბათობა. სასიკეთოა ლოცვა, ოთახებში სანთელ-სარკმევლის შემოტარება. კარგი დღეა შემოქმედებისთვის, გეგმის დასახვისთვის. არ არის სასურველი რაიმეს შეძენა, ფულის სესხება-გასესხება, ვაჭრობა, მჭრელი საგნების და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება. **ჯანმრთელობა.** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, თირკმლები, კანი. **ქვები:** ნეფრიტი, ლაზურიტი, ჟადეიტი, ფირუზი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, ტყუპისთვის, ლომისთვის. **ნეგატიურია** კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის, თხის რქისთვის.

## 27 სექტემბერი, სამშაბათი

**მზე** იმყოფება სასწორის ზოდიაქოში. ამოდის 05.53 საათზე, ჩადის 17.50 საათზე. **მთვარე** სასწორის ზოდიაქოშია. ამოდის 07.13 საათზე, ჩადის 18.42 საათზე (მთვარის მე-3 დღე იწყება 09.04 საათზე. I ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 20.21 საათიდან 23.59 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს ბავშვებს მეტი დრო დაუთმეთ. კარგი დღეა ქორწინებისთვის, ხელოვანთათვის და ჟურნალისტებისთვის, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის, ავეჯის, მუსიკალური აპარატურის, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის, პარფიუმერია-კოსმეტიკის, აქსესუარების შესაძენად, კბილების სამკურნალოდ, თირკმლების წერტილოვანი მასაჟისთვის, კონსულტაციისა და მკურნალობის დასაწყებად. არ არის სასურველი კამათი, ალერგიის გამომწვევი პრეპარატების მიღება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, კანი, თირკმლები. **ქვები:** ნეფრიტი, ლაზურიტი, ჟადეიტი, ციტრინი, ტოპაზი. **პოზიტიური დღეა** სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, ღრიანკალისთვის.

## 28 სექტემბერი, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება სასწორის ზოდიაქოში. ამოდის 05.54 საათზე, ჩადის 17.48 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (03.16) ღრიანკალის ზოდიაქოშია. ამოდის 08.23 საათზე, ჩადის 19.07 საათზე (მთვარის მე-4 დღე იწყება 10.31 საათზე. I ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 00.00 საათიდან 03.16 საათამდე. **ტენდენციები:** კარგი დღეა ვაჭრობისთვის, კომერციული პროექტების განხილვისთვის, ავტომობილის ყიდვა-გაყიდვისთვის, სამეცნიერო კვლევების, პარტნიორებთან მჭიდრო და სანდო ურთიერთობის დამყარებისთვის. ამავდროულად იმატებს ილუზიების, ცდუნებების, პროვოკაციების ალბათობა. არ არის სასურველი მგზავრობა, ახალი საქმის დაწყება, სესხის აღება, ბინის შეცვლა, ინტიმური კონტაქტი. ეფექტურია კბილების, ყელყურ-ცხვირის მკურნალობა, კოსმეტიკური პროცედურები. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია შარდსასქესო სისტემა. **ქვები:** ოპალი, ტოპაზი, ზურმუხტი, მარგალიტი. **პოზიტიური დღეა** თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ტყუპისთვის, ლომისთვის, ვერძისთვის.

## 29 სექტემბერი, ხუთშაბათი

**მზე** სასწორის ზოდიაქოშია. ამოდის 05.55 საათზე, ჩადის 17.47 საათზე. **მთვარე** ღრიანკალის ზოდიაქოშია. ამოდის 09.36 საათზე, ჩადის 19.37 საათზე (მთვარის მე-5 დღე იწყება 12.02 საათზე. I ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს სიყვარულისა და ხელოვნების მფარველი პლანეტა **ვენერა** გადაინაცვლებს სასწორის ზოდიაქოში (23 ოქტომბრამდე), რაც გააძლიერებს დიპლომატიურობას, კომპრომისის და მიღწევის უნარს, მშვიდობისკენ მიდრეკილებას, ასევე მერყეობაგაორებას, სულსწრაფობას. კარგი დღეა ქორწინებისთვის, შემოქმედებისთვის, პრაქტიკული საკითხების განხილვისთვის, კულტურულ-გასართობი ღონისძიების ჩატარებისთვის. არ არის სასურველი სერიოზული საქმის განხილვა ან განხორციელება, სხივური თერაპია, ახალი საქმის დაწყება, სესხის აღება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია შარდსასქესო სისტემა. **ქვები:** ოპალი, ტოპაზი, იასპი, მარჯანი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.

## 30 სექტემბერი, პარასკევი

**მზე** იმყოფება სასწორის ზოდიაქოში. ამოდის 05.56 საათზე, ჩადის 17.45 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (08.05) მშვილდოსნის ზოდიაქოში. ამოდის 10.50 საათზე, ჩადის 20.12 საათზე (მთვარის მე-6 დღე იწყება 13.36 საათზე. I ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 01.20 საათიდან 08.05 საათამდე. **ტენდენციები:** ყურადღებით იყავით, მოტყუებისა და თვითმოტყუების მაღალი ალბათობაა. მიღებული ინფორმაცია გადაამოწმეთ. არ არის სასურველი მშენებლობა, სისხლის გადასხმა. კარგი დღეა უსარგებლო ნივთებისგან გასათავისუფლებლად, მგზავრობისთვის, პარტნიორთან მტკივნეული საკითხების განსახილველად, სპორტული ღონისძიებებისთვის. ეფექტურია ფილტვების, მხრების, ხელების, მეტყველების დარღვევის მკურნალობა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, საზარდული, მენჯ-ბარძაყის სახსარი. **ქვები:** ფირუზი, ლაზურიტი, საფირონი, იაგუნდი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, ტყუპისთვის, ლომისთვის. **ნეგატიურია** თხის რქისთვის, თევზებისთვის.

## 1 ოქტომბერი, შაბათი

**მზე** იმყოფება სასწორის ზოდიაქოში. ამოდის 05.58 საათზე, ჩადის 17.43 საათზე. **მთვარე** მშვილდოსნის ზოდიაქოშია. ამოდის 12.04 საათზე, ჩადის 20.58 საათზე (მთვარის მე-7 დღე იწყება 15.08 საათზე. I ფაზა). **ტენდენციები:** დღეს კვლავ მაღალია ჭორებისა და თვითმოტყუების ალბათობა. იყავით ყურადღებით. მთლიანობაში ხელი შეუწყვეთ იდეებისა და გეგმების განხორციელებას. პარტნიორთა მიმართებით მოერიდეთ კრიტიკას, საყვედურებს, აგრესიულობას. სასიკეთოა წყლის პროცედურები, ხელების, მხრების, ფილტვების მკურნალობა, მასაჟი. კარგი დღეა სპორტული შეჯიბრებებისთვის, მგზავრობისთვის, სამედიცინო კვლევებისთვის, ხელშეკრულების დადებისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, საზარდული, მენჯ-ბარძაყის სახსარი. **ქვები:** ფირუზი, ლალი, აკვამარინი, ლაზურიტი. **პოზიტიური დღეა** სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის.

## 2 ოქტომბერი, კვირა

**მზე** იმყოფება სასწორის ზოდიაქოში. ამოდის 05.59 საათზე, ჩადის 17.42 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (11.39) თხის რქის ზოდიაქოში. ამოდის 13.14 საათზე, ჩადის 21.54 საათზე (მთვარის მე-8 დღე იწყება 16.28 საათზე. I ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 01.46 საათიდან 11.39 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეიდან ინტელექტისა და კომუნიკაციების მმართველი პლანეტა მერკური დირექტიული ხდება, რაც ხელს შეუწყობს მოლაპარაკებების წარმოებას, მგზავრობას, ურთიერთგაგებას, საკომუნიკაციო აპარატურების გამართულად მუშაობას, აქტიური ინფორმაციის მოძიებას. დღეს ეცადეთ, აზრთა ქაოსი არ დაუშვათ (რაც საქმის ქაოსს გამოიწვევს). ურთიერთობისას მეტი ტაქტი, მოთმინება გამოავლინეთ, მკვეთრი მოძრაობების და სიმძიმეების აწევას მოერიდეთ. კარგი დღეა მავნე ჩვევებისგან გასათავისუფლებლად, სარესტავრაციო სამუშაოებისთვის, ავტომობილის შესაძენად, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ძვლოვანი სისტემა, ხერხემალი, სახსრები, კბილები. **ქვები:** მარჯანი, ონიქსი, ოპალი, აქატი. **პოზიტიური დღეა** თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპისთვის.






საქართველო- ისრაელის ერთობლივი კლინიკა
გიდმედი
გქონდეთ ჩვენი იმედი!
ნებისმიერი ქირურგიული და უროლოგიური პათოლოგია
თბილისი, ლუბლიანას ქ. 2/6, მეხუთე სართული. 591 35 33 55

ელის უნიკალური კრემი და სასწაულმოქმედი სამკურნალო მალამო თქვენი სილამაზისა და ჯანმრთელობისთვის!


თბილისი, ფალიაშვილის 81, ვაკის პარკთან
599-22-59-09

მაღაზია «ბუკვიცა»
ყიდულობს და ყიდის რუსულ და ქართულ ანტიკვარულ წიგნებს, დაბეჭდილს 1945 წლამდე.
მისამართი: დ.უზნაძის №15, ქურდიანის №2.
574-73-46-96, 243-01-17
555-68-82-90





ᲗᲐᲠᲐᲖᲣᲚᲐᲓ: **1. კაზინოს მოსამსახურე; 7. შაქრის ლერწმის ჭრა კუბაში; 10. ქალაქი ლატვიაში; 11. საგნის კონტური; 12. ევროპის სახელმწიფო; 13. სალოცავი ლექსები მართლმადიდებელ ეკლესიაში; 14. მართლმსაჯულების ბერძენი ქალღმერთი; 17. წყვილთა ცეკვა; 18. კუნძულ კრეტის მითოლოგიური მეფე; 21. იტალიელი დიზაინერი; 22. აფრიკის სახელმწიფო; 24. ბრძოლის მომზადებისა და წარმოების თეორია და პრაქტიკა; 25. ამერიკელი რეპერი; 26. ყავის სახეობა; 27. იტალიური მაკარონი; 28. იმამის ხელისუფლება; 32. ქვედა ყბა; 33. ქალის საბანაო სამოსი; 36. რისამე შუაგული; 37. სიცოცხლესთან დაკავშირებული რთული სიტყვის ნაწილი; 39. მკრთალი შუქის რკალი მთვარის ირგვლივ; 40. თუთიყუშის სახეობა; 41. დამარცხებულის მიერ სამაგიეროს გადახდა; 42. ჩრდილოეთი; 43. ზღვრული ნორმა; 44. მღვდლის სამოსი.**

ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ: **2. ფრანგი მწერალი; 3. ჭადრაკის ფიგურა; 4. „უმაღლესი“ საზოგადოება; 5. კაცის სასიმღერო ხმა; 6. სამკურნალო ნივთიერება, სალბუნი; 7. შეხვედრა უმაღლეს დონეზე; 8. ქვეითი ჯარის საბრძოლო წყობა ძველ საბერძნეთში; 9. ესპანეთის ავტონომიური ოლქი; 14. გარანტი; 15. მოკლელულიანი ქვემეხი; 16. ღია საშუბლე გვირგვინი; 18. სხვადასხვა რასის წარმომადგენელთა შვილი; 19. ყვავილების ტკბილი წვენი; 20. მცირე ზომის კლავესინი; 22. ქიშმიში; 23. ინგლისელი მწერალი; 29. მოახლე, ხელზე მოსამსახურე ქალი (ძვ.); 30. ბამბის თეთრი ქსოვილი; 31. სხვადასხვა თანამდებობის პირის სახელწოდება ძველ რომში; 33. უმაღლესი ხარისხის ბროლი; 34. ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონის“ პერსონაჟი; 35. რისამე დიდი სურვილი; 37. ლოტოს მსგავსი თამაში ევროპის ქვეყნებში; 38. ხუროთმოძღვრების ძეგლი ისტორიულ კლარჯეთში.**

### 32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:

ᲗᲐᲠᲐᲖᲣᲚᲐᲓ: 1. კოლონია; 6. ბორდო; 12. რაფია; 13. პლუტონი; 14. ნირვანა; 15. ლონგე; 16. გორდა; 17. როინიში; 18. უბარაქო; 19. ტეიდე; 20. ნესტო; 21. ტრაპეზი; 22. იმამატი; 26. ნაირა; 28. შიკი; 30. წიწილა; 33. მისტერია; 34. შალკე; 35. მურწა; 36. რენომე; 37. მეგობარი; 38. პლედი; 39. ლანჩი; 40. ლაიკა; 41. სირინოზი; 45. ტვიდი; 47. ჭიგო; 49. პინია; 52. რეკორდი; 53. ლავრა; 54. რენტა; 55. რემბო; 56. ონავარი; 57. ციურიხი; 58. ორბი; 59. სესხი; 60. აბაშიძე; 61. აპატიტი. ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ: 1. კონფუცი; 2. ლარნაკა; 3. ნიაგარა; 4. არაგონი; 5. აფერისტი; 6. ბალატონი; 7. რანჟირი; 8. ოპერეტა; 9. სურინამი; 10. ბოტიჩელი; 11. პირიქითა; 23. მოირები; 24. მეტეორი; 25. ტორნადო; 27. რელიეფი; 28. შამილი; 29. კორუნდი; 30. წერილი; 31. წანდილი; 32. ლამპარი; 34. შაპიტო; 41. სარკომა; 42. რეკლამა; 43. ნარვალი; 44. ზაირი; 46. დავრიში; 47. ჭანარი; 48. გრაცია; 49. პარისი; 50. ნამუსი; 51. აგონია; 53. ლაუდა.

**მარტინიკაპიკოლონიაგარაჟილეტიციალიკანიბალი**
**კარატისტიმულინერონინიპელიკანიონილიანაბარი**

### ამავე გვერდზე გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

ᲗᲐᲠᲐᲖᲣᲚᲐᲓ: 1. კრუპიე; 7. საფრა; 10. ლიეპაია; 11. აბრისი; 12. მალტა; 13. ტროპარი; 14. თემიდა; 17. ტანგო; 18. მინოსი; 21. ვერსაჩე; 22. ჩადი; 24. ტაქტიკა; 25. ემინემი; 26. მოკო; 27. სპაგეტი; 28. იმამატი; 32. ჩანა; 33. ბიკინი; 36. ცენტრი; 37. ბიო; 39. ბაკმი; 40. კაკადუ; 41. რევანში; 42. ნორდი; 43. ლიმიტი; 44. ანაფორა. ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ: 2. რაბლე; 3. პაიკი; 4. ელიტა; 5. ტენორი; 6. მალამო; 7. სამიტი; 8. ფალანგა; 9. არაგონი; 14. თავდები; 15. მორტირა; 16. დიადემა; 18. მეტისი; 19. ნექტარი; 20. სპინეტი; 22. ჩამიჩი; 23. დიკენსი; 29. მხევალი; 30. მიტკალი; 31. ტრიბუნი; 33. ბაკარა; 34. კვირია; 35. ნატვრა; 37. ბინგო; 38. ოპიზა.

| კუნძული ველინგტონდოთში | პატარა ფლეიტა | ჩანჩქერი ჩრდილოეთ ამერიკაში | უსახელო და უსაყელო სამოსი | ციმციმი | კაციჭამია, ველური |
|---|---|---|---|---|---|

| გაზაფხულის თვე | სახის ნაწილი | დაპყრობილი ქვეყანა | მანქანების სადგომი | მოდელი ... კასტა | ქართული მინერალური წყალი | კურკოვანი ხილი |
|---|---|---|---|---|---|---|




თარაზულად: 1. იმპერიალისტური სახელმწიფოს მიერ დაპყრობილი ქვეყანა; 6. ერთგვარი წითელი ღვინო; 12. აფრიკული პალმა; 13. მზის სისტემის დიდი პლანეტა; 14. უმაღლესი ნეტარება ბუდიზმში; 15. ძვ. ბერძენი მწერალი; 16. დ. თორაძის ბალეტი; 17. გერმანული როიალი; 18. რასაც ბარაქა არა აქვს — უნაყოფო; 19. ვულკანი კანარის კუნძულებზე; 20. ცხვირის ნაწილი; 21. სადილი, ნადიმი; 22. იმამის ხელისუფლება; 26. მწერალ გელაშვილის სახელი; 28. მოჩვენებითი, გარეგნული ბრწყინვალება; 30. ახლად გამოჩეკილი ქათამი; 33. საიდუმლო რელიგიური წესების შესრულება ანტიკურ ხანაში; 34. გერმანიის საფეხბურთო კლუბი; 35. თევზის სახეობა; 36. რეპუტაცია; 37. გულითადი ამხანაგი; 38. კუბოკრული დიდი შალი; 39. მეორე საუზმე; 40. ერთგვარი რბილი ტყავი; 41. ზღვის ნიმფა ბერძნულ მითოლოგიაში; 45. საკოსტიუმე ქსოვილი; 47. ვაზის სარი; 49. იტალიური ფიჭვი; 52. უმაღლესი მიღწევა სპორტში; 53. მამათა დიდი მონასტერი; 54. რეგულარული შემოსავალი, რომელსაც იძლევა კაპიტალი, მიწა; 55. ფრანგი პოეტი; 56. ანცი, ცელქი; 57. ქალაქი შვეიცარიაში; 58. მტაცებელი ფრინველი; 59. კრედიტი; 60. ქართველი პოეტი; 61. სასასუქე მინერალი.

შვეულად: 1. ჩინელი მოაზროვნე; 2. ქალაქი კვიპროსში; 3. ჩანჩქერი ჩრდილოეთ ამერიკაში; 4. ფრანგი მწერალი; 5. ყალთაბანდი; 6. ტბა უნგრეთში; 7. ჯარისკაცების მწკრივში დაწყობა; 8. მიუზიკლი; 9. სამხრეთ ამერიკის ქვეყანა; 10. იტალიელი ფერმწერი; 11. პირიქით მდებარე; 23. ბედისწერის სამი ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში; 24. კოსმოსური წარმოშობის გავარვარებული სხეული; 25. სმერჩი; 27. დედამიწის ზედაპირის უსწორმასწორობის ერთობლიობა; 28. კავკასიელი მთიელების მეთაური; 29. ძალიან მაგარი მინერალი; 30. უსტარი; 31. თაფლით შეზავებული მოხარშული ხორბალი; 32. ალადინის ჯადოსნური ხელსაწყო; 34. მოძრავი ცირკი; 41. ავთვისებიანი სიმსივნე; 42. ღონისძიება მყიდველის მიზიდვის მიზნით; 43. დელფინების ოჯახის ცხოველი; 44. სახელმწიფო აფრიკაში; 46. მოხეტიალე მუსლიმანი ბერი; 47. თევზის სახეობა; 48. სინარნარე, მოხდენილობა; 49. ტროას მეფე პრიამეს ვაჟი, რომელმაც მოიტაცა ელენე; 50. სინდისი; 51. სიკვდილის წინა მდგომარეობა; 53. ფორმულა 1-ის პილოტი.

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 31-ე გვერდზე*

| კარატეს მოჭიდავე | საქარგავი ძაფი | პატრონდაკარგული სამურაი | ვარხვი | NBA-ს კალათბურთელი | ბანკში შეტანილი ფული |
|---|---|---|---|---|---|

| ძვირფასი თვლების წონის ერთეული | ბიძგი რაიმე მოქმედებისათვის | რომის იმპერატორი | მილების გადასაბმელი მილაკი | ღრმა, ვიწრო ხეობა | მსახიობი ... ასათიანი | პატარა სასაუზმე |
|---|---|---|---|---|---|---|

## ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...

სასიამოვნო, სასიკეთო დღე.

პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.

მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.

ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.

მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.

მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.

მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.

მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.

რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.

ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.




WWW.ASAVALI.COM
mail@asavali.com

რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.

შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.

კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.

მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.

წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.

სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.

ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.

შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.

შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.

გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.

იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.

დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს
დამოუკიდებელი და ზეპარტიული
ასავალ დასავალი
2022 წლის 26 სექტემბერი – 2 ოქტომბერი №40 (1452)
გამოდის ორშაბათობით
2 009882 637296

მედიაჰოლდინგი "ასავალ-დასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"
სარედაქციო კოლეგია

*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*

წერილები გამოგზავნეთ მისამართზე: **თბილისი, 0160, „ასავალ-დასავალი“.**
ტელეფონები: **215-25-25; 215-35-35; (+995) 570-50-50-50; (+995) 570-50-50-70**
„ასავალ-დასავალის“ ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com**
ელ-ფოსტა: **mail@asavali.com** ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე:
**www. facebook.com/Asavali.com**
გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის“ სტამბაში.**

